F-567
1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილოსოფიური კრებული



1983

5

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრალური მოამბე

5

1983

სექტემბერი—ოქტომბერი

წელიწადი 26-ე

საქართველოს
თეატრალური
საზოგადოების
ბიულეტენი

თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორის მაგიერ
გურამ გათიაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ია გამრეკელი,
ნოდარ გურაგანიძე,
ოთარ ეგაძე,
ვასილ კიკნაძე,
გადრი კოგგახიძე,
ლილი ლომთათიძე,
როგერტ სტურუა,
ერემია ქარელიშვილი,
ვახტანგ ქართველიშვილი,
ნინო შვანგირაძე,
თემურ ჩხეიძე,
გიორგი ციციშვილი
თამაზ ჭილაძე,
დიმიტრი ჯანელიძე.

რედაქციის მისამართი
თბილისი-380007
კიროვის ქ. № 11-ა
ტელეფონი
99-90-96

საქართველოს თეატრალური საზოგადოება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

გ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოვების შესახებ

სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში საქართველოს მშრომელთა მიერ მოპოვებული წარმატებებისათვის და რუსეთისა და საქართველოს მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების მე-200 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

F5074

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ი. ანდროპოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი

მოსკოვი, კრემლი, 1983 წლის 28 ოქტომბერი

ს. ... სახ. საბ. ... ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებს

ტალანტების დღესასწაულით, მაღალი ხელოვნების ზეიმით, შემოქმედებითი ურთიერთობის სიხარულით ცხოვრობდა საქართველო მთელი ამ დღეების განმავლობაში. საბჭოთა რუსეთის, მისი შესანიშნავი ადამიანების ცხოვრებისა და მიღწევების შესახებ დიდებული მოთხრობა გახდა რუსეთის სფს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები, ბრწყინვალე კონცერტები, გამოფენათა დიდი ექსპოზიციები, დაუვიწყარი შემოქმედებითი შეხვედრები.

განთქმულმა მხატვრულმა კოლექტივებმა და შემსრულებლებმა, საქვეყნოდ ცნობილმა ლიტერატორებმა, სახვითი ხელოვნების, თეატრისა და კინოს ოსტატებმა, რომლებიც საბჭოთა კულტურის საუკეთესო წარმომადგენლები არიან, არა მარტო დაგვანახვეს რუსეთის შემოქმედებითი გენიის დაუშრეტელი საგანძურის მკაფიო პანორამა, არამედ ახალი ძალით დაადასტურეს, თუ რა ურყევია ძმური კავშირი, რა ფართო და ამოუწურავია რუსული გულის სიუხვე, გამოიჩინეს მხურვალე ინტერესი ჩვენი ხალხის სულიერი ღირებულებებისა და შრომითი მიღწევებისადმი, მის მისწრაფებებთან წილნაყრობა, რამაც რუსეთის ფედერაციის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები გადააქცია უდიდესი მნიშვნელობის მოვლენად რესპუბლიკის ცხოვრებაში. გულითადი მადლობა ამისათვის!

მადლიერების ყველაზე კეთილი სიტყვებით მივმართავთ რუსეთის სფსრ წარმომადგენლობითს დელეგაციას, რომელმაც თავისი მონაწილეობით დაამშვენა მეგობრობისა და ძმობის ეს შთამბეჭდავი დღესასწაული.

ჩვენს მეგობრობას აცისკროვნებს რუსეთისა და საქართველოს შვილების დიადი სახელები. ერთიანობის, ურთიერთგამდიდრების ფასდაუდებელი ტრადიციები მტკიცდება, ვითარდება, ახალ-ახალ მასშტაბს იძენს. ამის ერთ-ერთი დამაჯერებელი დადასტურებაა ახლანდელი მოვლენა და კანონზომიერია, რომ იგი გახდა გეორგიევსკის ტრაქტატის — რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის ისტორიული მანიფესტის 200 წლისთავის დღესასწაულის საზეიმო პროლოგი.

მოხარული ვართ, რომ რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებმა ესოდენ ვრცელი პროგრამის მიუხედავად, შეძლეს კიდევ უფრო ახლო გასცნობოდნენ ჩვენს რესპუბლიკას, შეეგრძნოთ მისი შრომითი რიტმი, საქმიანი განწყობილება და დარაზმულობა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, რომელთა მიზანია საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება და ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერების განმტკიცება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლიერი საქართველო, მისი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ხალხური ინტელიგენცია ყველა ჩვენს ძვირფას სტუმარს უსურვებენ შემდგომ შემოქმედებით გამარჯვებებს სამშობლოს სადიდებლად, ქვეყნად მშვიდობისა და პროგრესის ინტერესებისათვის.

საბჭოეთის ხალხთა მხატვრულ აღმოჩენათა უმდიდრესი საუნჯე, საბჭოთა ხელოვნების მთელი მრავალფეროვნება და მრავალხმიანობა, ერთიანდება მძლავრ სიმღერად აღმშენებლობისა და მშვიდობის შესახებ. იმის საჭიროება, რომ გავამაგროთ ჩვენი პოზიციები მშვიდობის განმტკიცების საკითხებში, რომელიც ასეთი დამაჯერებლობით და ძალით არის გამოხატული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებაში, დღეს განსაკუთრებით აქტუალურს ხდის მთელი ჩვენი მრავალეროვნული კულტურის წარმომადგენელთა კეთილშობილურ მისიას, ხალხთა ურთიერთგაგების დამკვიდრებას რომ ისახავს მიზნად.

ასეთია სახელოვანი საბჭოთა ტრადიცია, რომ ჩვენი დღესასწაულებიც ხელს უწყობს საერთო საქმეს, გვრაზმავს, უფრო თვალსაჩინოს ხდის ჩვენს წარმატებებს, გვმატებს მხნეობას და ენთუზიაზმს მომავალი მიღწევებისათვის, და როგორც შესანიშნავმა პოეტმა ნიკოლოზ ტიხონოვმა თქვა, გულიდან გულამდე აგებს ჩვენი დიადი მეგობრობის ხიდს!

ურყევია ჩვენი ერთიანობის თვით ისტორიის შექმნილი, ერთიანი და თანასწორი ხალხების ინტერნაციონალური კავშირისათვის ლენინური ზრუნვით შედუღაბებული, საბჭოთა ადამიანების რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი თანამეგობრობით ნაწრთობი ამ ხიდის საძირკველი და წმინდად ვიცავთ იმის ხსოვნას, რომ გზა ამ ხიდზე დიდმა რუსმა ხალხმა გაკვალა.

ყოველი ახალი დღე მკაფიო ფურცელს წერს ძმობის მანიფესტში. წითელ სტრიქონად აღიბეჭდება მასში ჩვენი საერთო დღესასწაულის, ცხოველმყოფელი და ყოვლისმძლე ერთიანობის დღესასწაულ-სიმბოლოს ეს დაუვიწყარი დღეებიც

საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელის სახელით ერთხელ კიდევ გულითად მადლობას მოვახსენებთ რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებს — შემოქმედებითი კავშირებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მხატვრულ კოლექტივებსა და მათს ხელმძღვანელებს, კომპოზიტორებსა და დირიჟორებს, ყველა შემსრულებელს, ბალეტის მსახიობებს, ვოკალისტებს, მუსიკოსებს, მსახიობებს, რომლებმაც ეს ნათელი დღესასწაული გვაჩუქეს.

დაე, მარად იმარჯვებდეს და კიდევ უფრო მტკიცდებოდეს საბჭოთა ხალხების ძმობა, რომლებიც გულდაჯერებით აშენებენ მშვიდობასა და ბედნიერებას ლენინიზმის დიადი დროშით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

გულითადი საუბარი

(ე. ა. შევარდნაძე ესაუბრა რუსეთის ფედერაციის დელეგაციას)

5 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ მიიღო რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ე. მ. ჩეხარინის მეთაურობით ჩამოსული რუსეთის ფედერაციის დელეგაცია, რომელიც რესპუბლიკაში იმყოფებოდა საქართველოში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეებთან დაკავშირებით.

რუსეთის კულტურის დღესასწაულმა საქართველოში, მიმართა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ სტუმრებს, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და ღრმა კვალი დატოვა რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებაში. რუსეთის ფედერაციის ლიტერატურისა და ხელოვნების, მისი შემოქმედებითი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს ამ დღეებში მასპინძლობდა მშრომელი საქართველო. მასპინძლობდა როგორც უძვირფასეს ადამიანებს, მათი სახით უცხადებდა სიყვარულსა და მადლობას მთელ რუსეთს, რომელთანაც დამოყვრების დღესასწაული გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი გასცილდა რესპუბლიკის ფარგლებს.

ილაპარაკა რა იმაზე, თუ როგორ ეგებებიან საქართველოს სსრ რესპუბლიკის მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია, საიუბილეო დღესასწაულს, როგორ ასრულებენ მთლიანად და გადაჭარბებით ხუთწლედის შუაგული წლის დავალებებს, ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ხაზი გაუსვა, რომ მიღწეული წარმატებანი შესაძლებელი გახდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, უწინარეს ყოვლისა, რუსეთის სფს რესპუბლიკის დახმარებისა და მხარდაჭერის მეოხებით. საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ყურადღებით სწავლობენ და ითვისებენ რუსეთის ფედერაციაში შექმნილ პროგრესულ გამოცდილებას. მაგალითად, როცა ორგანიზაციას უწევდა მუშაობას სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ გამოყენებისათვის, რესპუბლიკა შეიარაღდა მოსკოველთა და ლენინგრადელთა მიერ შეძენილი გამოცდილებით. მრეწველობის მართვის დარგში, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ფოთის ექსპერიმენტი, ბევრი რამ გადავიღეთ დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციისაგან.

ასევე ღრმა და მრავალფეროვანია კონტაქტები სულიერი ცხოვრების, მხატვრული კულტურის სფეროში. აღმავლობის გზაზე მდგომი საქართველოს ლიტერატურა და ხელოვნება რესპუბლიკაში ასრულებენ წინა ხა-

ზის ძალების როლს, არსებითს გავლენას ახდენენ საქმის ვითარებაზე ეკონომიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საზოგადოების ფსიქოლოგიურ კლიმატზე, აქტიურად მონაწილეობს რა კულტურათა დიალოგში, მხატვრულ ღირებულებათა გაცვლაში, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური კულტურა განამტკიცებს ურთიერთობას საბჭოთა კავშირის ხალხთა მოძმე კულტურებთან. საქართველოში ახლა მიმდინარე რუსეთის სფს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები ბრწყინვალედ ასრულებს ამ უდიდეს სოციალურ და სულიერ-ესთეტიკურ მისიას. მოვლენები, რომელთა მოწმენი და მონაწილენი ჩვენ ვართ, ძვირფასია თითოეული ჩვენგანისათვის იმითაც, რომ ცხადყოფს სსრ კავშირის ხალხთა ურყევ შეკავშირებას ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

რუსეთის ფედერაციის დელეგაციის მეთაური, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. მ. ჩეხარინი მთელ ქართველ ხალხს მიესალმა რუსეთის სფსრ ხელმძღვანელების, ყველა მისი მშრომელის სახელით და მხურვალე მადლობა მოახსენა გულითადობისათვის, სტუმართმოყვარეობისათვის, ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების კარგი ორგანიზაციისათვის. მან დამსწრეთ გაუზიარა საქართველოში შეხვედრების დროს მიღებული შთაბეჭდილებანი და თქვა, რომ მათ შთამბეჭდავად დაადასტურეს, თუ რაოდენ ღრმა და ძლიერია სიყვარული რუსეთისადმი. ხალხთა ძმობა. საქართველოს მუშათა კლასის, გლეხობის, შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლებთან რუსეთის კულტურის ოსტატთა უშუალო ურთიერთობამ ბევრი რამ გვამცნო, გვიჩვენა თუ რაოდენ დიდი და მდიდარია ჩვენი დიადი მეგობრობის საერთო ისტორიული და თანამედროვე მონაპოვარნი.

ამხ. ე. მ. ჩეხარინმა მადლობა გადაუხადა რესპუბლიკის ხელმძღვანელებს იმისათვის, რომ გაზეთებში გამოქვეყნდა წერილი საქართველოში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებისადმი, რომელშიც მაღალი პარტიული შეფასება ეძლევა ამ მოვლენას. ამ მოვლენის მნიშვნელობა მარტო ის კი არ არის, რომ იგი ამდიდრებს მოძმე ხალხების სულიერ კულტურას, არამედ ისიც, რომ ამკვიდრებს სიმართლეს მათი ერთიანობის შესახებ, რომელიც სულ უფრო მტკიცდება იმ საფრთხის წინაშე, მსოფლიოს რომ ემუქრება.

საუბარში მონაწილეობდნენ ამხანაგები: გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, გ. ვ. კოლბინი, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ს. ე. ხაბეიშვილი. აქვე იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები: ლ. ი. მგალობლიშვილი, ნ. შ. ჯანბერიძე. რესპუბლიკის მხატვართა და მწერალთა კავშირების ხელმძღვანელები ე. დ. ამაშუკელი და ნ. ვ. დუმბაძე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. ვ. თაქთაქიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება მხატვრული კოლექტივების საქართველოს სს რესპუბლიკაში რსფს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში, მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში წვლილისათვის და საქართველოს სს რესპუბლიკაში გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ რსფს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ შემდეგი მხატვრული კოლექტივები:

სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სიმფონიური ორკესტრი;
სვერდლოვსკის სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი;
სახელმწიფო აკადემიური ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერიოზკა“
კრასნოიარსკის ციმბირის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი;
ა.ა. იურლოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური რესპუბლიკური რუსული საგუნდო კაპელა;
სახელმწიფო რესპუბლიკური რუსული ხალხური ანსამბლი „როსია“;
ვლადიმირის ფილარმონიის სიმღერისა და ინსტრუმენტული, ქორეოგრაფიული ანსამბლი „რუსი“;
იაროსლავლის სახელმწიფო ფილარმონიის კამერული ანსამბლი „ბაროკო“, როსკონცერტის არფების კვარტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე პ. გილაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება რუსეთის სფსრ შემოქმედებითი კავშირებისა და სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში, მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში შეტანილი წვლილისათვის და გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს სს რესპუბლიკაში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების წარმატებით მოწყობასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირი;

რუსეთის სფსრ მხატვართა კავშირი;

რუსეთის სფსრ კომპოზიტორთა კავშირი;

რუსეთის სფსრ არქიტექტორთა კავშირი;

სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე პ. გილაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღ-ლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვს

საბჭოთა საქართველოს მიწა-წყალზე დიდი დღესასწაულია. რესპუბლიკა ზეიმით აღნიშნავს გეორგიევსკის ტრაქტატის, იმ ხელშეკრულების 200 წლისთავს, რომელმაც სამარადჟამოდ დაუკავშირა საქართველოს სვე-ბედი რუსეთს. ეს იყო გადამწყვეტი ისტორიული აქტი, რომელმაც ჩვენი ხალხი იხსნა ფიზიკური განადგურების გამუდმებული საფრთხისაგან. წინამძღვრები შეუქმნა ეროვნულ კონსოლიდაციას, დასაბამი მისცა საქართველოს ეკონომიკურ, სოციალურ და სულიერ აღორძინებას.

საქართველოს მთელი შემდგომი ისტორია ადასტურებს გაკეთებული არჩევანის სისწორეს, ამ ღირსსახსოვარი მოვლენის წარუვალ მნიშვნელობას, რომელმაც, სხვა საარსებოდ მნიშვნელოვან დადებითს შედეგებთან ერთად, განმსაზღვრელწილად შეუწყო ხელი ქართველი ხალხის, ამიერკავკასიის ყველა ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შერწყმას დიდი რუსი ხალხის ბრძოლასთან სოციალური სამართლიანობისათვის, ექსპლოატაციის ხუნდებისაგან შრომის განთავისუფლებისათვის.

გეორგიევსკის ტრაქტატი ორი მოძმე ხალხის — რუსი და ქართველი ხალხების ურთიერთობის მთელი წინანდელი ისტორიის კანონზომიერი შედეგი იყო. იგი საქართველოსა და რუსეთის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანმა განვითარებამ განაპირობა და ორივე ხალხის ძირეულ ინტერესებს და მისწრაფებებს ესატყვისებოდა.

ჩვენ ვდღესასწაულობთ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს, რამეთუ ეს ხელშეკრულება გახდა ობიექტური წინამორბედი დიადი პროგრესული პროცესისა, რომელმაც, გამოატარა რა განმათავისუფლებელი ბრძოლის საუკუნეები, ოქტომბრის რევოლუციის ბრძმედში, რუსი ხალხის, რუსეთის სახელოვანი პროლეტარიატის მხარდამხარ და გულდაგულ მოიყვანა ქართველი ხალხი თანასწორთა ერთიან ძმურ ოჯახში.

ჩვენი დღესასწაული გამოხატავს ხალხთა კავშირის გამარჯვებას. კავშირისა, რომელმაც ერთიანად შეადუღაბა წარსული და აწმყო და მთელი არსებით ესწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაფვის მერმისს. კავშირისას, რომლის საფუძველს, რომლის ურყევ საძირკველს შეადგენს ხალხთა მეგობრობა, ძმობა და კეთილ ნება.

ჩვენ ვდღესასწაულობთ მიღწევათა შემართებას, დიდ რუს ხალხთან დამოყვრებას, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან მეგობრობასა და ძმობას. მეგობრობას, რომელიც ფოლადივით იწრთობოდა პირველი ხუთწლედების მშენებლობაზე, ახალი საკოლმეურნეო ცხოვრების სადაგ დღეებში. მეგობრობას, რომელიც იზრდებოდა და მტკიცდებოდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. მეგობრობას, რომელიც ნაცარტუტიდან აღორძინებდა ქარხნებს, ტეხდა ყამირს, ლაშქრავდა კოსმოსს, მეგობრობას, რომელიც დღეს აშენებს ბამსა და ენგურჰესს, ბაღნარად აქცევს უდაბნოებს, აშენებს ქალაქებს, ამშვენებს და გარდაქმნის დაუღალავი გარჯით ჩვენს გარემომცველ სამყაროს.

უდიდესი მადლიერების და სოციალისტური სამშობლოსათვის სიამაყის გრძნობით აღავსო რესპუბლიკის ყველა მშრომელი, კომუნისტები, კომკავშირლები, პარტიისა და შრომის ვეტერანები მისალმებამ, რომელშიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, საბჭოთა მთავრობამ აღნიშნეს ჩვენი წარმატებანი და გამოთქვეს რწმენა, რომ რესპუბლიკა კვლავაც შემატებს თავის წვლილს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების, ჩვენი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძლიერების განმტკიცების საქმეს.

სამშობლოს კიდევ ერთი უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი მიენიჭა საქართველოს სს რესპუბლიკას. მრავალეროვანი საბჭოთა საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი მას აღიქვამენ თავიანთი გარჯის უმაღლეს დაფასებად, მიიჩნევენ მოწოდებად არ დასჯერდნენ მიღწეულს, განაგრძონ წინსვლა, დალაშქრონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახალ-ახალი მიჯნები. კვლავაც განამტკიცონ შეგნებული კომუნისტური დისციპლინა, გააძლიერონ თითოეულის პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის, საყოველთაოდ დაამკვიდრონ ყოველგვარი ნაკლოვანებების, საბჭოთა ცხოვრების წესის ნორმებისა და პრინციპებისაგან გადახრების შეუწყნარებლობის ატმოსფერო, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის სულისკვეთება, და ყველგან მუშაობასა და ცხოვრებაში, დიდსა და მცირედში მხარი უსწორონ მოწინავეებს, ნოვატორებს.

აღვუთქვამთ მშობლიურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვს, რომ მუდამჟამს ყველაფერში ვუერთგულებთ ლენინის ანდერძს, ლენინის განაწესს, ინტერნაციონალური ძმობისა და პროლეტარული სოლიდარობის დიად იდეალებს, ოქროს ასოებით რომ არის წარწერილი ლენინიზმის დროშაზე.

საბჭოთა ადამიანებს, ინტერნაციონალისტ ლენინელებს, რომლებმაც დიდი რუსი ხალხის მეთაურობით სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში მხარდამხარ გამოიარეს ბრძოლისა და მკაცრი განსაცდელის გზა, განსაკუთრებით ნათლად ესმით თუ რაოდენ აქტუალურია კაცობრიობის წინაშე მდგომი ამოცანა დავიცვათ მშვიდობის საქმე, ამოცანა ასე დამაჯერებლად და ძალუმად რომ არის გამოთქმული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებაში.

და საქართველოს მშრომელები კვლავ და კვლავ უერთებენ თავიანთ ხმას საბჭოთა ხალხის მრავალმილიონიან ხმას, საქვეყნოდ აღგითქვამენ, რომ ყოველდღიური თავდადებული შრომით განამტკიცებენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძლიერებას და თავდაცვისუნარიანობას, პლანეტაზე მშვიდობისა და უშიშროებისა
დამკვიდრებისათვის.

თავის ახლანდელ დღესასწაულს რესპუბლიკა ახალი შრომითი გამარჯვებებით
ეგებება. ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრი-
სა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებს, საბჭოთა საქართვე-
ლოს კომუნისტებს, ყველა მშრომელს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყველგან,
დღენიადაგ დაამკვიდრონ საქმიანი განწყობა, ამრავლონ თავიანთი წვლილი საერ-
თო-სახალხო საქმეში. ჩვენთვის, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანისათ-
ვის, მთავარი ამოცანა, მთავარი მიზანია წარმატებით შევასრულოთ მეთერთმეტე
ხუთწლედის დავალებები, ღირსეულად შევხვდეთ ლენინური პარტიის XXVII
ყრილობას.

მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულების 200 წლისთავის დღესასწაულის
შესანიშნავი, დიდებული პროლოგი და რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხე-
ლოვნების დღეები საქართველოს სს რესპუბლიკაში, რომლებმაც, ისევე როგორც
მანამდე რუსეთის ფედერაციაში გამართულმა საქართველოს სს რესპუბლიკის
დღეებმა, კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს ჩვენი კავშირის ურყევობა, ძმური თანა-
დგომის ურღვეობა, ინტერნაციონალიზმის გამარჯვება.

ჩვენი ახლანდელი დღესასწაული უდავოდ ესალბუნება სოციალიზმის დიადი
სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენელთა გულს.

დაე, მარად გამარჯვებული ვიდოდეს მძლავრი, ბედნიერი და ურყევი საბ-
ჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი!

დაე, მრავალუამიერ მტკიცდებოდეს ერთიანი და თანასწორი საბჭოთა ხალ-
ხების ძმობა!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას. ყველა ჩვენი გამარჯვების
სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

რუსეთისა და საქართველოს მეგობრული გეორგიევს-
კის ხელშეკრულების 200 წლისთავისადმი მიძღვნილი
საზეიმო სხდომის მონაწილენი.

თბილისი, 1983 წლის 29 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამარადჟამოდ ერთად

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა

ორი საუკუნის წინათ საქართველომ თავისი ბედი რუსეთს დაუკავშირა. ამ არჩევანის მნიშვნელობა, არსი, მისი პროგრესული შედეგები მთელი სისრულით წარმოჩნდა დღეს, რუსეთისა და საქართველოს მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღეებში.

ახლანდელ დღესასწაულს აცისკროვნებს სამშობლოს უმაღლესი ჯილდოს — ლენინის ორდენის ნათელი, რომელიც რესპუბლიკას მიენიჭა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული დიდი წარმატებისათვის და რუსეთისა და საქართველოს მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავის აღსანიშნავად.

ჩვენ ლენინური მეგობრობითა ვართ ძლიერნი. — ამ აზრით იყო გამსჭვალული თბილისში 29 ოქტომბერს გამართული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელების, საბჭოთა არმიის მეომრების წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელიც რუსეთისა და საქართველოს მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავს მიეძღვნა.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი დარბაზი. ავანსცენის თავზე დღესასწაულის ემბლემაა. გვერდით მოჩანს ორდენები, რომლებითაც დაგვირგვინდა საბჭოთა საქართველოს სამოცი წლისაზე მეტი ხნის გზა. ამომავალი მზისა და კრემლის მაცხოვრის კოშკის ფონზე რუსეთის სფსრ და საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშებია. დროშებთან საპატიო ყარაული გარინდულა.

დილის 11 საათია. პრეზიდიუმში სხდებიან მოსკოვის დელეგაციის ხელმძღვანელი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, დელეგაციათა ხელმძღვანელები: რუსეთის ფედერაციისა — რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ა. ორლოვი, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ქ. მ. ბაგიროვი, სომხეთის სს რესპუბლიკისა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კ. ს. დემირჭიანი, სტავროპოლის მხარისა — სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ს. მურახოვსკი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ე. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი,

ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, ე. კ. შარტავა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვ. ა. კონდრატიევი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ვ. მ. არხიპოვი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტ-სამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. შირინკინი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი, გენერალ-მაიორი ბ. ე. სენტიურინი. ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი გ. ა. კუცი, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, პარტიისა და შრომის ვეტერანები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა.

ამხ. პ. გ. გილაშვილი გულითადად მიესალმება ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციებს. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის გმირ ქალაქ მოსკოვისას, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი, რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკისას, რომელსაც მეთაურობს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. პ. ორლოვი, აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკისას, რომელსაც მეთაურობს აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ქ. მ. ბაგიროვი, სომხეთის სს რესპუბლიკისას, რომელსაც მეთაურობს სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კ. ს. დემირჭიანი, სტავროპოლის მხარისას, რომელსაც მეთაურობს სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ს. მურახოვსკი.

მიესალმებიან ზეიმზე ჩამოსულ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს თ. ნ. მენთეშაშვილს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დელეგაციას, რომლის წარმომადგენლებად ჩამოვიდნენ სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ნ. ორჯონიკიძე და სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ლ. ი. პოპოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დელეგაციას, რომლის შემადგენლობაშიც არიან აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ვ. ა. კოტელნიკოვი და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, აკადემიკოსი ე. მ. პრიმაკოვი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის დელეგაციას, რომელშიც არიან სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ვ. მ. ოზეროვი და ცნობილი მწერალი ა. ს. ივანოვი, სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველ მდივანს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს, ლენინური პრემიის ლაურეატს ლ. ა. კულიჯანოვს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგეს ვ. ა. კონდრატიევს, ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქეებს, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეებს, ყველა ძვირფას სტუმარს რომლებიც დღესასწაულზე ჩამოვიდნენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.

ჟღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადირის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გ. ა. მეტონიძის წინადადებით შეკრებილთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში ავიდნენ ჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა ეძლევა ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს.

საზეიმო სხდომის მონაწილეებს და მათი სახით რესპუბლიკის ყველა მშრომელს მიესალმნენ დელეგაციათა ხელმძღვანელები: მოსკოვისა — ამხანაგი ვ. ვ. გრიშინი, რუსეთის სფს რესპუბლიკისა—ამხანაგი ვ. პ. ორლოვი, აზერბაიჯანისა — ამხანაგი ქ. მ. ბაგიროვი, სომხეთისა — ამხანაგი კ. ს. დემირჭიანი, სტავროპოლის მხარისა — ამხანაგი ვ. ს. მურახოვსკი.

რესპუბლიკის მუშათა კლასის სახელით გამოვიდა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. ვ. როსტიაშვილი.

— მეგობრობა გვეხმარება ცხოვრებასა და შრომაში — თქვა მან — ეს ლიტონი სიტყვები როდია, ეს გახლავთ ჩვენებური საბჭოური აზროვნების წესი, ცხოვრების წესი. ჩვენი ქარხნის კოლექტივი ყველგან და ყველაფერში ორგანიზებულობისა და დისციპლინისათვის ახალი ლაშქრობის გაჩაღების თაოსანი გახდა. და ამაში მას დაეხმარა მეგობრობა, რომელმაც ფოლადზე უფრო მტკიცედ, ცემენტზე უფრო მკვიდრად შეადუღაბა და შეაკავშირა ჩვენი მრავალეროვანი, მრავალათასიანი კოლექტივი.

ყოველი დღესასწაული საბჭოთა ადამიანებისათვის — ეს არის შედეგების შეჯამების ხანა. და ახლანდელი დღესასწაულიც ასეთივე სამუშაო განწყობილებით არის გამსჭვალული. დიმიტროველებმა გაანაღდეს სახელოვანი იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრი დამატებითი ვალდებულებანი, 526 მუშამ, 23 ბრიგადამ ვადამდე შეასრულეს ხუთწლედის სამი წლის გეგმა. ქარხნის კოლექტივმა წლის დამდეგიდან დანერგა ხუთი ათასზე მეტი სიახლე, რომელთა ეკონომიკური ეფექტი 175 ათას მანეთს შეადგენს. ასეთი გახლავთ ჩვენი საქმიანი, მუშური ნობათი დღესასწაულისათვის!

სიტყვას ამბობს ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორთა მერგოლური, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. გ. მეუნარგია.

რესპუბლიკის ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, თითოეულ კოლექტივში, თქვა მან, ცხოვრობენ, მუშაობენ, იღწვიან ათობით ეროვნების ადამიანები. ეს არის ერთიანი ოჯახი, რომელშიც ეროვნული კუთვნილება შუღლის საგანი კი არა, ერთობისა და ძმობის გზაა. დღეს არ შემიძლია არ დავასახელო ჩემი ბრიგადელი მეგობრები: ელენე სეროვა და აკაკი ხარჩილავა, ვლადიმერ ფომინი და ზაურ გოგოძე, სხვები, რომელთა გარჯისა და თავდადების მეოხებითაც ბრიგადა წარმატებებს აღწევს.

ამ რამდენიმე დღის წინათ რესპუბლიკის მეჩაიეებმა სამშობლოს უპატაკეს ახალი შრომითი მიღწევა. ვადამდე და გადაჭარბებით შესრულდა ხუთწლედის მესამე წლის გეგმები და ვალდებულებანი. ეს მარტოოდენ შრომითი გამარჯვება კი არა, ჩვენი საჩუქარიც არის გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის.

ამ დღეებში ჩვენ კვლავ და კვლავ მივმართავთ იმ ურღვევი მეგობრობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათავეებს, რომლებიც ამიერკავკასიის მეომრებს აკავშირებთ რესპუბლიკის მშრომელებთან, — თქვა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ვ. მ. არხიპოვმა — ამ მეგობრობას იმ შორეულ დროში აქვს გადგმული ფესვი, როცა რუსეთის მეომრებმა გაიყვანეს საქართველოს სამხედრო გზა — ძმობის გზა, რომელსაც დაადგნენ რუსი სწავლულები და დიპლომატები, მწერლები და პოეტები. კომპოზიტორები და მხატვრები. ამ მეგობრობის ტრადიციები, რომლებიც მაშინ იშვა, როცა ჩვენი ოლქის წინამორბედმა ლეგენდარულმა XI არმიამ ვ. ი. ლენინის მითითებით საქართველოს მშრომელებს თბილისში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა აღამართვინა, განმტკიცდა და გამოიწრთო დიდი სამამულო ომის წლებში. და დღეს ჩვენ ერთად ვაშენებთ კომუნისტურ საზოგადოებას. მეომრები, ერთიან ინტერნაციონალურ ოჯახად რომ დგანან სამშობლოს სამხრეთი მიჯნების სადარაჯოზე, ნიადაგ გრძნობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა ორგანოებისა და მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღებასა და მზრუნველობას.

— საქართველოს დაჯილდოება ლენინის ორდენით, — თქვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ე. კ. ხარაძემ, — ეს არის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ირგვლივ შეკავშირებული რესპუბლიკის მშრომელების სერიოზულ წარმატებათა აღიარება. რომლებიც მტკიცედ მისდევენ პარტიის XXVI ყრილობის მიერ დასახულ კურსს. სამეურნეო წარმატებებში თავიანთი წვლილი შეიტანეს მეცნიერების მუშაკებმაც. აქ არ დავიწყებთ მათს ჩამოთვლას, აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს მეცნიერული ნამუშევრების ეკონომიკურ უკუგებას. მეათე ხუთწლედის უკანასკნელი წელი ჩვენ დავასრულეთ 35 მილიონი მანეთის ეფექტით, ხოლო მიმდინარე ხუთწლედის მეორე წელმა უკვე 54 მილიონი მანეთი მოგვიტანა.

საქართველოში თანამედროვე მრავალპროფილიანი მეცნიერების ჩამოყალიბებასა და განვითარებას ჩვენ დიდად ვუმადლით გეორგიევსკის ტრაქტატს. დღეს თანაბრად ხელგვეწიფება ამ ფართო კვლევის განხორციელება და რეალიზაცია, რომელიც ემსახურება ჩვენი ეროვნული სულიერი ღირებულებების — ენის, ლიტერატურის, ხელოვნების, ისტორიის შემდგომ განვითარებას, გამოკვლევები, რომელთა შედეგები ასტიმულირებს ტექნიკას, წარმოებას, ეკონომიკას, ყოველივე ეს, ერთად აღებული ზრდის რესპუბლიკის ავტორიტეტს, ადიდებს ჩვენს წვლილს ქვეყნის ძლიერებაში, რაც დიდად გვეამაყება. და ჩვენ ქართველთა ახლანდელი თაობა, იმათი შთამომავალნი, ვინც უდიდესი სიბრძნე გამოიჩინა ქართველი ერისათვის საკეთილდღეო არჩევანის მოხდენისას, მოუპოვა რა საიმედო მფარველი და მეგობარი, ჯეროვან პატივს მივაგებთ და მადლიერებით ვიხსენებთ შორსმჭვრეტელ წინაპართ.

ტრიბუნაზეა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა.

— ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ, — აღნიშნა მან, — იმით, რომ, გამოიარეს რა მძიმე ისტორიული გზა, საბჭოთა საქართველოს ხალხები შეკავშირდნენ ერთიან ძმურ შრომით ოჯახად, დღეს, როცა აღინიშნება რუსი და ქართველი ხალხების ურღვევი ერთობის მანიფესტის — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის შესანიშნავი დღესასწაული, აფხაზი ხალხი თავის ერთგულ მეგობრებსა და

ძმებს მიმართავს გულწრფელი სამადლობელი სიტყვებით შესანიშნავი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, რამაც მას არათუ შეინარჩუნებინა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, თავისთავადობა, არამედ შეაქმნევინა კიდეც თავისი ეროვნული სახელმწიფოებრიობა. საბჭოთა აფხაზეთის მშრომელებს დიდ კმაყოფილებას ანიჭებს ის, რომ ახლანდელ ზეიმს ავტონომიური რესპუბლიკა შეხვდა სამეურნეო, სოციალური და კულტურული მშენებლობის ახალი წარმატებებით, რომლებიც თვალსაჩინოდ მოწმობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიად ცხოველმყოფელ ძალას.

— საბჭოთა ეჭარის დღევანდელი დღე, ხაზი გაუსვა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. რ. ჰაჰუნიძემ, — კლასიკური მაგალითია იმისა, თუ რა მოუტანა საბჭოთა ხელისუფლებამ, დიდი რუსი ხალხის ძმურმა დახმარებამ, ყოველ მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკას. ჩვენს მხარეში უმაგალითო სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული გარდაქმნები მოხდა. სოციალური მშენებლობის ხუთწლედები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეს იყო ძმური თანადგომისა და მეგობრობის გრძნობით გაერთიანებული ექ მცხოვრები 80 ერისა და ეროვნების წარმომადგენელთა ტიტანური, შემოქმედებითი შრომის წლები.

ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, საწარმოთა შრომითმა კოლექტივებმა, სოფლის მშრომელებმა წარმატებით გაანალდეს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი.

F5074

განუყრელია ჩვენი ხალხების სვე-ბედი — თქვა თავის გამოსვლაში პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. ს. სანაკოევმა. — რუსეთთან საქართველოს დამოყვრებამ ძირეულად უცვალა სახე ჩვენი მთაგორიანი მხარის ცხოვრებას. თუ ამ მეგობრულ ხელშეკრულებამდე ოს-ქართველთა ურთიერთობის მთავარი ფორმა იყო ერთობლივი ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, და ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა პრაქტიკულად არ ვითარდებოდა, გეორგიევსკის ტრაქტატის დადება გახდა სამხრეთ ოსეთის განუხრელი სოციალურ-ეკონომიკური აღორძინების ამოსავალი წერტილი. ოსი ხალხის ბრძოლა ორგანულად შეერწყა რუსეთისა და საქართველოს პროგრესული ძალების ბრძოლას ეროვნული ჩამოყალიბებისა და სოციალური პროგრესისათვის. და დღეს მთის მხარეს საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიან ოჯახში დაუდგა ნამდვილი აყვავების ხანა.

რესპუბლიკის შემოქმედი ინტელიგენციის სახელით გამოსვლისას საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ნ. ვ. დუმბაძემ თქვა:

— კიდევ ერთი ლენინის ორდენი აკიაფდა ჩემი რესპუბლიკის ზეაღმართულ ინტერნაციონალურ ალამზე და დარწმუნებული ვარ, საქართველოს მძლავრ მკერდს კიდევ მრავალგზის დაამშვენებს ორდენები და სხვა წარჩინების ნიშნები.

ამ დღესასწაულისათვის დიდი ხანია ვემზადებოდით. იგი დაიწყო ორასი წლის წინათ, როცა გეორგიევსკში რუსი ხალხი ძმად შეეფიცა ქართველობას, ეს დღესასწაული დღესაც გრძელდება. ძმურმა კავშირმა სამარადისოდ შეადუღა რუსეთისა და საქართველოს სვე-ბედი; ჩვენი ხალხები ერთად არიან ჭირში და ლხინში და იწილადებენ მას ისევე, როგორც სისხლის მოქცევა-უკუქცევას განიცდის ერთი გულით, ერთი გონებით მოქმედი ერთი მთლიანი ორგანიზმი, ჭეშმა-

ს. ... ს.ს.ხ. ... ს.ს.ხ. ... ს.ს.ხ.-შიდაოსეთ რესპუბლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიტი თავისუფლება მოუტანა საქართველოს ოქტომბრის რევოლუციამ. ნნ. წლის მანძილზე მოხდა ჩემი ერის უმაგალითო კულტურული აღორძინება, ხოლო უკანასკნელ ათ წელიწადს გაუზვიადებლად შეიძლება ეწოდოს ქართული ხელოვნების რენესანსი, არ მოიპოვება ამ ქვეყნად ძალა, რომელიც შეძლებდა მოესპო ჩემი წმინდათა წმინდა ენა, ჩემი ერის მაღალი ხელოვნება, მთელი მისი დიადი მიღწევები მატერიალურ და სულიერ სფეროში.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა უდიდესი აღმავლობით გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ი. ვ. ანდროპოვს, რომელიც წაიკითხა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. დ. გაბუნიამ.

შეკრებილებს მხურვალედ მიესალმნენ საქართველოს პიონერები, კომკავშირლები და ახალგაზრდობა.

საზეიმო კრების დახურვისას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დ. ლ. ქართველიშვილმა თქვა:

ძვირფასო ამხანაგებო!

—ჩვენმა საზეიმო სხდომამ, რომელიც რუსეთისა და საქართველოს მეგობრულ გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავს მიეძღვნა, ერთხელ კიდევ ცხადყო საბჭოთა ხალხების, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ურღვევი მეგობრობა და ძმობა.

უღრმეს მადლობას ვუხდით სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ი. ვ. ანდროპოვს ჩვენი რესპუბლიკისადმი მუდმივი ზრუნვისა და ყურადღებისათვის.

შემდეგ ამხ. დ. ლ. ქართველიშვილმა საზეიმო სხდომის მონაწილეების, რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით მადლობა გადაუხადა გმირი ქალაქის მოსკოვის, რუსეთის ფედერაციის, აზერბაიჯანისა, სომხეთის, სტავროპოლის მხარის, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, მწერალთა კავშირისა და კინემატოგრაფისტთა კავშირის დელეგაციებს, დღესასწაულზე ჩამოსულ ყველა სტუმარს, გულთბილი, ძმური სიტყვებისათვის, ზეიმში მონაწილეობისათვის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკას, პარტიულ კომიტეტებს, ყველა ამხანაგს, რომლებმაც გამოგვიგზავნეს მილოცვა ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით და გაიზიარეს ლენინის ორდენით საქართველოს დაჯილდოების გამო რესპუბლიკის მშრომელთა სიხარული.

დარბაზს მოეფინა ინტერნაციონალის დიდებული მელოდია სხდომის მონაწილენი ფეხზე დგებიან და მღერიან პარტიულ ჰიმნს.

გაისმის შეძახილები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საბჭოთა ხალხის, რესპუბლიკის მშრომელების სადიდებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუყრელი დღესასწაული

1. მეგობრული შეხვედრების სითბო.

რუსი და ქართველი ხალხების დამეგობრების, ძმობის დღესასწაულის 200 წლისთავის დღეები ესოდენი აღმავლობით რომ ჩატარდა ჩვენს რესპუბლიკაში, ერთგვარი გამასხივოსნებელი შუქი გახლდათ, შუქი რომელმაც კიდევ უფრო მეტი ელფერი, მასშტაბი მიანიჭა რსფსრ ლიტერატურის და ხელოვნების დღეებს საქართველოში.

რუსული კულტურის რამდენი მოღვაწე ჩამოვიდა ამ დღეებში ჩვენს რესპუბლიკაში — გამოჩენილი პოეტები, პროზაიკოსები, რეჟისორები, მსახიობები, საბჭოთა კინოსა და თეატრის საყოველთაოდ აღიარებული მოღვაწენი.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება გულითადად შეეგება რუსული და მთელი საბჭოთა თეატრალური ხელოვნების მოღვაწეთ: სსრკ სახალხო არტისტებს, სოციალისტური შრომის გმირებს ელენე გოგოლევასა და ანგელინა სტეპანოვას. ეს ორი ოსტატი საბჭოთა სცენისა რუსული თეატრალური კულტურის ორ დიდ ტაძარს წარმოადგენდა — მცირე და სამხატვრო თეატრებს, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს პროგრესული რუსული აზროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ორივე ეს თეატრი სისხლხორცეულადაა დაკავშირებული საქართველოსთან. ქართველი ხალხის გენიაც კვებავდა ამ ორ დიდ ტაძარს — მცირე თეატრს დიდხანს სათავეში ედგა ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი, ხოლო სამხატვრო თეატრის ერთ-ერთი შემქმნელი და მისი შემდგომი ბურჯი ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკო სწორედ საქართველოში დაიბადა, აქ აღიზარდა და ამ ხალხის კულტურის მადლიც ეცხო მის მოღვაწეობას.

საქართველოში რსფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ აგრეთვე რსფსრ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. სვეტლაკოვა, მოსკოვის მ. ერმოლოვას სახ. თეატრის მთავარი რეჟისორი, რსფსრ სახ. არტისტი ვ. ანდრეევი, სსრკ სახ. არტისტი ი. ბორისოვა, სამხატვრო თეატრის მსახიობი ე. კინდინოვი.

შეხვედრების სიხარული შეიგრძნობოდა 3 ოქტომბერს, როცა თეატრალური საზოგადოების მსახიობის სახლის საგამოფენო დარბაზში, სადაც რსფსრ კულტურის სამინისტრომ, შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა ალ. ს. პუშკინის საკავშირო მუზეუმმა, საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარმა სარედაქ-

ცოო კოლეგიამ და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გამოფენა მოაწყეს „ა. ს. პუშკინი და რუსული და საბჭოთა თეატრის მხატვრები, (1880-1980 წ.წ.) გამოფენაზე წარმოდგენილია 100-მდე გრაფიკული და ფერწერული ნამუშევარი. დამთვალიერებლები გაეცვნენ ა. ბონუას, ე. გოლოვინის, ი. ბილიბინის, ნ. გონჩაროვას, კ. იუონის, ვ. შუხაევის, ვ. დმიტრიევის, მ. ლევინის, მ. ბობიშოვის, ვ. ხოდასევიჩის, ფ. ფედოროვსკის, ვ. დორეარის, ი. ივანოვისა და სხვათა ნამუშევრებს.

გამოფენის გახსნის შემდეგ მსახიობის სახლის მცირე დარბაზში გაიმართა რუს და ქართველ თეატრალურ მოღვაწეთა შეხვედრა, რომელზეც სიტყვები წარმოსთქვეს: სსრკ სახალხო არტისტებმა დ. ალექსიძემ, ვ. ანჯაფარიძემ, ელ. გოგოლევამ, ი. ბორისოვამ, რსფსრ სახ. არტისტმა ვ. ანდრეევმა, რსფსრ დამს. არტისტმა ე. კინდინოვმა, რსფსრ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. სვეტლაკოვამ, რესპ. სახ. არტისტებმა ს. ჭიაურელმა, კ. მახარაძემ, გ. ჟორდანიამ, პროფესორებმა ე. გუგუშვილმა, ნ. შალუტაშვილმა, გრ. გოგილოვმა. ეს იყო საგულდაგულო საუბარი რუსულ და ქართულ თეატრალურ ურთიერთობებზე, იმ ძირეულ კავშირებზე, რაც ამ ერებს აკავშირებთ. ეს იყო ერთ ენაზე, ხელოვნების ენაზე მოლაპარაკე სხვადასხვა თაობების საუბარი იმაზე, რაც ესოდენ აახლოვებს, ამეგობრებს ჩვენს ერებს, იმაზე, თუ რას უნდა ეძებდნენ ადამიანები ერთმანეთში, იყო გულწრფელი, ემოციური და გააზრებული საუბარი დიდ ეროვნულ სულ თეატრალურ კულტურაზე, ქართული საბჭოთა თეატრის უდიდეს გამარჯვებებზე და იყო გახსენება რუსული და ქართული თეატრის დიდი მოღვაწეებისა, მსახიობებისა, რეჟისორებისა, როლებისა. სცენამ, თეატრმა გააერთიანა ეს ადამიანები, სხვადასხვა თაობის. შემოქმედებითი მისწრაფებების შემოქმედნი გააერთიანა ჭეშმარიტი ხელოვნების სიყვარულმა.

რაოდენ შთამაგონებელი იყო საბჭოთა სცენის ორი დიდი მოღვაწის ვერიკო ანჯაფარიძისა და ელენე გოგოლევას სიტყვები. ისინი თითქოს თავისი სულის ნაწილს გადასცემდნენ, შემოქმედებით საიდუმლოს უზიარებდნენ მათ შემდეგ მავალ თაობებს, როცა ლაპარაკობდნენ თეატრისადმი სამსახურზე, იმ თავდადებაზე, თავგანწირულ შრომაზე, რასაც სცენა მოითხოვს.

2. დღეს შემოქმედში სახლი დგას...

დღეს შემოქმედში დგას სახლი, რომელიც აღიქმება რუსი და ქართველი ხალხების საუკუნეობრივი ძმობის დასტურად, აღიქმება იმის დასტურად, თუ რაოდენ დიდი ძირები აქვს ჩვენს თეატრალურ ძმობას, რაოდენ ჭეშმარიტია იგი, ჭეშმარიტი და ურყევი.

მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედში დგას სახლი, რომელშიც 1858 წ. დაიბადა რუსული თეატრის რეფორმატორი, დიდი საბჭოთა თეატრალური მოღვაწე ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკო. გენერალ ანტონ დუმბაძის სახლში, სადაც ივანე ნემიროვიჩ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანჩენკოს ოჯახი სახლობდა, რვა წლამდე იზრდებოდა მომავალი დიდი რეჟისორი. აქედან გაეძგზავრა იგი თბილისს გიმნაზიაში სასწავლებლად.

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და საქ. კპ ძახარაძის რაიონულმა კომიტეტმა ამ სახლის ფიზიკურ არსებობაში დაინახეს ქართველი და რუსი ხალხების თეატრალური ძმობის კიდევ ერთი ფაქტი. გადაწყდა ამ საცხოვრებელი სახლის (მასში დღემდე ახტონ დუმბაძის შთამოსავლობა ცხოვრობდა) მემორიალურ სახლ-მუზეუმად გადაკეთება. ისიც გადაწყდა, რომ აქვე დადგმულიყო ხეძიროვიჩ-დანჩენკოს ძეგლი.

ამ საქმეს დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ თეატრალური საზოგადოება და პარტიის მახარაძის რაიონული კომიტეტი, განსაკუთრებული მოთავეობა გამოიჩინეს რაიკომის პირველმა მდივანმა ოთარ თენეიშვილმა და დიმიტრი ალექსიძემ. არც ისე იოლი საქმე გახლდათ მოკლე დროში სახლ-მუზეუმის მოწყობა, ძეგლის დადგმა და კიდევ მრავალი სხვა.

ძალიან მოკლე დროში გაკეთდა ეს ყველაფერი, გაკეთდა ენთუზიასტი, ენერგიული ადამიანების შრომითა და გარჯით.

შეუძლებელია თავისი არ მიეზღოს ძეგლის ავტორების ა. გომართელისა და რ. გოგოლაშვილის ნიჭიერების კიდევ ერთ გამოვლენას — მათ ჩინებულად წარმოგვიდგინეს ნემიროვიჩ-დანჩენკოს პიროვნება. დღეს თავის ეზო-გარემოს, მშობლიურ სოფელს გადაჰყურებს გონიერი კაცი, პიროვნება, რომლის გამოხედვაში ღრმა აზრი და ფიქრი გამოსჭვივის, ხოლო იქვე თეატრალური ფარდა და ნიღაბი ამ ადამიანის თეატრალურ სამყაროზე მიუთითებს. თავშეკავება და შინაგანი ძალა ახასიათებს ამ ადამიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელ შემოქმედში ნემიროვიჩ-დანჩენკოს ძეგლის გახსნა კიდევ ,ერთ ნიშანდობლივ გარემოებას წარმოაჩენს. კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ტენდენციას, რომელიც ბოლო წლებში დამკვიდრდა საქართველოში. ჩვენი რესპუბლიკის რომელ კუთხეში არ უდგამს ახლა ძეგლს ხალხი თავის საუკეთესო შვილებს. ეს კიდევ ერთი დასტურია ხალხის კულტურის დონის ამაღლებისა. რაოდენ შორეულიც არ უნდა იყოს სოფელი, რაოდენ მიუვალიც, როცა იქ ძეგლი დაიდგმება, არც მიუვალი ეთქმის და არც შორეული, რადგან ძეგლი უკვე კუთხის ცენტრად გადაქცევის მაუწყებელია. ეს იმის ნიშანია, რომ არც კუთხეა მივიწყებული და ყრმებიც სანაქებო იზრდებიან ამ სოფელში.

4 სექტემბერს უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი მახარაძის ალ. წუწუნავას სახ. სახელმწიფო დრამატულ თეატრში, აქ გაიმართა მეგობრობის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ რუსი და ქართველი მსახიობები.

ხოლო შემდეგ, საღამოს პირას ხალხმა ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახლ-მუზეუმს მიაშურა. მიუხედავად იმისა, რომ კოკისპირული წვიმა იყო, ხალხი მაინც არ დაიშალა, შემოქმედელი მშრომელებისათვის ეს იყო ერთგვარი სიამაყის საღამო. კიდევ ერთი დასტური მათი სოფლის მკვიდრთა ძლიერებისა, ხოლო ყველასათვის ერთად დადასტურება ქართველი ხალხის ინტერნაციონალური სულისკვეთებისა.

ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე პირველ სიტყვას ამბობს საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ოთარ თენეიშვილი, შემდეგ სიტყვებს წარმოსთქვამენ: დ. ალექსიძე, სსრკ სახ. არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი, ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს აღზრდილი ანგელინა სტეპანოვა, მ. სვეტლაკოვა, ვ. ანდრეევი, ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს შვილიშვილი, მოსკოვის სამხატვრო თეატრის მუსიკალური ნაწილის გამგე ვასილ მიხეილის ძე ნემიროვიჩ-დანჩენკო და სხვ.

შემდეგ სახლ-მუზეუმმა მოუხმო შეკრებილთ, აქ ნემიროვიჩ-დანჩენკოს ცხოვრებაში მცირე ექსკურსს მიუძღოდა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნათელა ურუშაძე. ა. სტეპანოვამ სახლმუზეუმს სახსოვრად გადასცა სამხატვრო თეატრის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ალბომი და ამავე თარიღისათვის გამოჭედილი მედალი ა. სტანისლავსკისა და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს გამოსახულებით. ვასილ ნემიროვიჩ-დანჩენკომ კი სახლ-მუზეუმს გადასცა დიდი რეჟისორის ხელჯოხი და წიგნი „ჩემი ცხოვრება რუსულ თეატრში“.

გვიან საღამომდე ტრიალებდა ხალხი ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახლ-მუზეუმში.

ტაშისცემა და ჟრიამული მიწყდა, მერე სიჩუმემ დაისადგურა ძეგლისა და სახლ-მუზეუმის ირგვლივ.

და დღეს შემოქმედში დგას სახლი — დასტური რუსი და ქართველი ხალხის დიდი თეატრალური ერთობისა, დასტური იმისა, თუ როგორ უზრდიდა და კვლავაც გაუზრდის ეს ორი ერი ერთმანეთს საუკეთესო შვილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსული თეატრალური კულტურა ჩვენს შემოქმედებით პრაქტიკაში

1. რა გავლენა იქონია თქვენს შემოქმედებაზე რუსულმა თეატრალურმა კულტურამ?

2. როგორია თქვენი კონტაქტები თანამედროვე რუსულ თეატრთან?

თეიმურაზ აბაშიძე:

1. ქართული თეატრის მოღვაწენი მეტ-ნაკლებად ყველანი განვიცდით რუსული თეატრალური კულტურის გავლენას. სტანისლავსკი, მეიერხოლდი და ვახტანგოვი ხომ ის თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები არიან, რომელთა მიხედვითაც იზრდებიან და მუშაობენ რეჟისორების მთელი თაობები. ყველა ჩვენი მასწავლებელი რუსულ თეატრალურ კულტურაზეა აღზრდილი და ჩვენც, ალბათ, მემკვიდრეობით გადმოგვეცა რუსული აქტიორული სკოლის სტილი და მეთოდები.

2. წლების მანძილზე ვხელმძღვანელობდი მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრს. ამ თეატრის მეშვეობით ურთიერთობა მქონდა იმ ცნობილ სარეჟისორო ლაბორატორიასთან, რომელსაც მ. კნებელი ხელმძღვანელობდა. ეს ჩემთვის მეტად საინტერესო და საგულისხმო იყო. ამ ლაბორატორიაში მიიღეს დიდი სკოლა დრაგოცკიმ, შაპირომ, ჟიგულსკიმ.

დღეს მუსიკალური კომედიის თეატრში ვარ. სურვილი მაქვს ქართულ სცენაზე მოვიწვიოთ რუსი რეჟისორები და დრამატურგები. დავდგათ ერთობლივი სპექტაკლები. ვფიქრობ, რომ ეს საინტერესო იქნება.

დიმიტრი ალექსიძე:

1. მე ბედნიერი ვარ, იმით, რომ 30-იან წლებში ვსწავლობდი ან. ლუნაჩარსკის სახ. თეატრალურ ინსტიტუტში. ეს ის წლებია, როცა ჯერ კიდევ ცოცხალნი იყვნენ: სტანისლავსკი, ნემიროვიჩ-დანჩენკო, მეიერხოლდი, ტაიროვი. მე მქონდა შესაძლებლობა მენახა მათი დიდი ხელოვნება, დავსწრებოდი მათ რეპეტიციებს. დღევანდელ დღესავით მახსოვს მეიერხოლდის მუშაობა. ა. დიუმას პიესაზე „ქალი კამელიებით". მე მინახავს ცოცხალი სტანისლავსკი, ვყოფილვარ მის სახლში. ჩვენს თეატრალურ აღზრდაში დიდი როლი ითამაშა სტანისლავსკის სისტემამ, მისმა მოძღვრებამ. ეს იყო რეალისტური თეატრის ძირითადი პრინციპი, სადაც მთავარი ადამიანის სულიერი ცხოვრების შექ-

მნაა ე. წ. „ცოცხალი ადამიანის თეატრი" სცენაზე, მისი სულიერი ცხოვრების წარმოსახვაა. და შემდეგ, როცა უკვე მე მომიხდა ახალი თაობების აღზრდა, ვცდილობდი ჩემი დიდი მასწავლებლების ცოდნა და გამოცდილება გადამეცა მათთვის.

2. კონტაქტები რუსულ თეატრთან გრძელდება მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე. მოსკოვის სამხატვრო თეატრის სცენაზე განვახორციელე ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს", მოსკოვის პუშკინის სახელობის თეატრში დავდგი ორი სპექტაკლი, გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი" და ლ. ოშანინის პიესა „ის კიდევ დაბრუნდება". სულ ახლახანს — გოგოლის სახელობის თეატრში დავდგი ჟ. ანუის პიესა „ჩიტუნები", სადაც მონაწილეობდა სსრკ სახალხო არტისტი ბ. ჩირკოვი. სამწუხაროდ, ეს მისი უკანასკნელი როლი აღმოჩნდა. ჩემთვის ბედნიერება იყო ასეთ დიდ მსახიობთან მუშაობა.

ზურაბ ანჯაფარიძე:

1. ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დიდ თეატრში მუშაობის წლებმა. ოერთმეტი სეზონი გავატარე იქ. ამ ხნის მანძილზე ვთანამშრომლობდი ჩვენი დროის გამოჩენილ მუსიკოსებთან, შესანიშნავ დირიჟორებთან, რეჟისორებთან, მომღერლებთან. მათთან ურთიერთობაში გავიარე დიდი შემოქმედებითი სკოლა.

დიდი თეატრი გამოირჩევა თავისი დახვეწილი დისციპლინით, შრომის ორგანიზაციით, უაღრესად სერიოზული, ჭეშმარიტად პროფესიული ატმოსფერო განსაზღვრავს ამ კოლექტივის მაღალ საშემსრულებლო კულტურასა და დონეს. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მომზადებული მომღერალი მივედი დიდ თეატრში, მაინც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩემს ჩამოყალიბებაში და ბევრი რამ კარგი შემძინა.

2. ჩემი კონტაქტები დიდ თეატრთან ისევ გრძელდება, ახლა ვემზადები შემოქმედებითი საღამოსათვის, რომელიც ამ სეზონში მოეწყობა მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში.

1. ჩემს შემოქმედებით ბიოგრაფიაში დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რუსულ დრამატურგიას. იმ მრავალფეროვანი ბერსონაჟების, რომელთა თამაშიც წლების მანძილზე მიწევდა, შემქმნელები არიან: ჭუშკინი, ოსტროვსკი, გორკი, სოლოვიოვი, პოგოდინი, ზავარენიოვი, სოლოგუბი, არბუზოვი, როზოვი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემთვის დიდი სკოლა იყო გლუმოვის რთული ცა. საინტერესო სახის შექმნა ოსტროვსკის პიესაში „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“, რომელიც რუსთაველის თეატრმა დადგა. ეს ფაქტი იმითაც არის საინტერესო, რომ ეს იყო ჩემი დებიუტი პროფესიულ სცენაზე.

თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის პერიოდში ჩემი პედაგოგი იყო დ. ალექსიძე. მომიწია მუშაობა გ. ტოვსტონოგოვთანაც. დ. ალექსიძე და გ. ტოვსტონოგოვი იყვნენ რუსულ თეატრალურ ტრადიციებზე გაზრდილი რეჟისორები და ცხადია, მათ თან მოიტანეს იმდროინდელი რუსული თეატრალური სკოლის ის დიდი გამოცდილება, რითაც ჩვენ გავიზარდეთ.

ომის დროს თბილისში მოუხდათ ყოფნა სცენის აღიარებულ ოსტატებს: კაჩალოვს, კლიმოვს, ნემიროვიჩ-დანჩენკოს, ტარხანოვს, მასალიტინოვას და სხვებს. ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა დავსწრებოდით მათ გამოსვლებს. კაჩალოვის მიერ წაკითხული ტოლსტოის „აღდგომა“ ერთ-ერთი დაუვიწყარი დღეა ჩემს მეხსიერებაში.

გიორგი

1947 წელს რუსთაველის თეატრი საგასტროლოდ გაემგზავრა მოსკოვში. ეს იყო ჩემი პირველი გასტროლი. მე მოწმე და თანამონაწილე ვიყავი იმ ფაქტისა, თუ როგორ აღიარა რუსეთის ინტელიგენციამ, თეატრალურმა საზოგადოებამ აკაკი ხორავა უდიდეს მსახიობად. ა. ხორავას ამ ბრწყინვალე წარმატებამ ჩვენს თეატრს კიდევ ერთხელ გაუთქვა სახელი საქვეყნოდ. მე ბედნიერი ვიყავი, რომ ამ გამარჯვებაში ჩემი პატარა წვლილიც შევიტანე.

გეგეჭკორი:

რუსულ თეატრალურ სკოლას, მის პროფესიულ-ეთიკურ და მოქალაქეობრივ თვისებებს, რა თქმა უნდა, დიდი გავლენა აქვს ქართულ თეატრზე. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართული თეატრი მიმბაძველია. არა, ჩვენ გავიზიარეთ რუსული აქტიორული სკოლის დიდი გამოცდილება.

2. ურთიერთობა არის მუდმივი და ხანგრძლივი, არის დროებითი და ხანმოკლე. ის, რომ გ. ტოვსტონოგოვმა გვაზიარა თეატრისადმი უდიდესი სიყვარულის რწმენას, გვაზიარა მაღალი პროფესიონალიზმისადმი მისწრაფებას და დიდ მომთხოვნელობას, ის, რომ მისი მოწაფეები წლების მანძილზე წმინდად ინახავენ თავიანთი პედაგოგის მრწამსსა და შეხედულებებს, ნათელი დადასტურებაა იმის, რომ კავშირი, კონტაქტი არ შეწყვეტილა და ჩვენ დღესაც უდიდესი პასუხისმგებლობით ვინახავთ და ვუფრთხილდებით მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ თუმანიშვილი:

1. გავიზარდე სტანისლავსკის სისტემაზე. ჩემი მასწავლებელი იყო გ. ტოვსტონოგოვი. როცა რუსული თეატრალური კულტურის ზემოქმედებაზე ვსაუბრობთ, ჩემი შემოქმედებითი ბიოგრაფიიდან მახსენდება ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, — ოხლოპკოვისა და ეფროსის შესანიშნავი სპექტაკლებით მიღებული დაუვიწყარი შთაბეჭდილება. სამხატვრო თეატრმა ბევრი კარგი და დაუვიწყარი მოგონება დაგვიტოვა.

2. ანატოლი ეფროსთან დღესაც მაქვს დიდი მეგობრული ურთიერთობა. პრაქტიკულად კი, რუსულ თეატრთან კონტაქტი არ გამაჩნია. თეატრალურ ინსტიტუტში აღვზარდე რუსული ჯგუფი, რომელიც დღეს გრიბოედოვის სახელობის თეატრის ძირითადი ბირთვია. ახლა ვმუშაობ ჩეხოვის ცნობილ პიესაზე „ალუბლის ბაღი“.

გიგა ლოლთქიფანიძე:

1. ჩემი პირველი შეხვედრა რუსულ თეატრალურ კულტურასთან დაკავშირებულია თანამედროვეობის ერთ-ერთ თვალსაჩინო რეჟისორთან გიორგი ტოვსტონოგოვთან. 1944 წელს, თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის პერიოდში იგი ჩემი ხელმძღვანელი იყო. მასთან სწავლის ერთმა წელმა გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია ჩემს მომავალ შემოქმედებით ცხოვრებაზე.

1945 წელს სწავლა განვაგრძე მოსკოვში. იქ მასწავლიდნენ იმდროინდელი საბჭოთა თეატრის უბრწყინვალესი წარმომადგენლები, სტანისლავსკის მოწაფეები ალექსეი პოპოვი და მარიამ კნებელი. შესაძლებლობა მქონდა დავსწრებოდი სამხატვრო თეატრის ისეთი წესანიშნავი ოსტატების რეპეტიციებს, როგორებიც იყვნენ: კაჩალოვი, ტარხანოვი, დობრონრავოვი, ხმელიოვი. დავესწარი აგრეთვე სპექტაკლის შექმნის მთელ პროცესს შესანიშნავ რეჟისორთან მიხეილ კედროვთან. მან დადგა ლ. ტოლსტოის პიესა „განათლების ნაყოფი“.

ბუნებრივია, ასეთ თეატრალურ წრეში ყოფნამ ჩემზე დაუვიწყარი და განუმეორებელი შთაბეჭდილება მოახდინა. თამამად ვიტყვი, რომ არც მანამდე და არც დღემდე იმ დონის თეატრი, როგორიც მაშინდელი სამხატვრო თეატრი იყო, მე არ მინახავს. სამხატვრო თეატრი ჩემთვის დღემდე რჩება იდეალად როგორც რეჟისორული, ასევე აქტიორული აზროვნების სფეროში.

სტანისლავსკის სისტემამ, რომელიც ყველა თეატრებისათვის გამოსაყენებელი სისტემაა, და სამხატვრო თეატრის პრაქტიკამ წარუშლელი შთაბეჭდილება და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოვა ჩემზე და დღემდე ვრჩები ამ მიმდინარეობის რეჟისორად.

2. ჩემი პირადი კონტაქტები რუსულ თეატრთან თითქმის ორმოც წელს ითვლის. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, ა. ეფროსმა და მე დავდგით ერთობლივი სპექტაკლი ი. ფუჩიკის ცხოვრებაზე ბურიკოვსკის პიესა „პრაღა ჩემი იქნება". გარდა ამისა, „სოვრემენნიკში" დავდგი ე. ჰემინგუეის „მეხუთე კოლონა", მოსკოვის საბავშვო თეატრში — ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „მალაია ბრონნაიას" თეატრში კი მისივე „ნუ გეშინია, დედა".

ამჟამად მიწვეული ვარ სამუშაოდ მცირე თეატრში, „მოსსოვეტის" თეატრში და პუშკინის სახელობის თეატრში. ასე, რომ ჩემი ურთიერთობა რუსულ თეატრალურ კულტურასთან მეტად მჭიდროა და მეტად მნიშვნელოვანი. წლების მანძილზე ვხელმძღვანელობდი გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრს.

ოთარ მელვინეთ-უხუცესი:

1. რუსული თეატრალური კულტურის ზემოქმედებას, რაღა თქმა უნდა, განვიცდით. სტანისლავსკის სისტემა ფაქტიურად ჩემი იარაღია. უფრო მყარი საფუძველი მსახიობისათვის, ვფიქრობ, რომ არ არსებობს. ყოველშემთხვევაში, უკეთეს სისტემას მე ჯერჯერობით არ ვიცნობ.

2. შემოქმედებითი — არავითარი, მეგობრული კონტაქტი ძალიან დიდი.

ლერი პაქსაშვილი:

1. თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის პერიოდში სტანისლავსკის სისტემით ვიზრდებოდით. ვფიქრობ, რომ ეს უკვე თავისთავად გავლენაა. ამ სისტემის საფუძველზე შევისწავლეთ თეატრალური ანბანი. ჩემი მასწავლებლები იყვნენ მ. თუმანიშვილი და გ. ლორთქიფანიძე. გ. ლორთქიფანიძე რუსულ თეატრალურ კულტურაზე გაზრდილი კაცი გახლავთ და ამან რა თქმა უნდა, ჩვენზეც იქონია თავისი გავლენა. ჩემთვის, როგორც რეჟისორისათვის, ძალიან მახლობელია მეიერხოლდის თეატრალური ესთეტიკა. ამ ესთეტიკამ ბევრი საგულისხმო და საინტერესო შემძინა. შევეცადე სწორედ მეიერხოლდის რევოლუციური თეატრის პრინციპებზე ყოფილიყო აგებული ჩემი სპექტაკლი „ოპტიმისტური ტრაგედია".

2. ორი წელი ვმუშაობდი გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრში. დავდგი სამი სპექტაკლი. შემდეგ, უფრო მოგვიანებით, 1967 წელს,

სევასტოპოლში ლუნაჩარსკის სახელობის თეატრში დაიდგა მ. ბარათაშვილის „ჟრიჟინა“, ხოლო ალტაის მხარის თეატრში — ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ყოველთვის მხიბლავდა და მიტაცებდა ვახტანგოვის თეატრის ესთეტიკა. სამხატვრო თეატრის მაშინდელი მოდელი დღესაც ლეგენდარულია და ეტალონად გამოდგება ყველა თეატრისათვის. ის მართლაც, დღესასწაული იყო, როგორც მარჯანიშვილი ამბობდა. ნიანდობლივია, რომ მარჯანიშვილის შემოქმედებამ წარმმართველი გავლენა იქონია ისეთი დახვეწილი და განსხვავებული ესთეტიკის თეატრის შექმნაში, როგორიც იყო მოსკოვის კამერული თეატრი, რომელსაც ტაიროვი ხელმძღვანელობდა. ცალკე აღნიშვნის ღირსია აგრეთვე ნემიროვიჩ-დანჩენკოს დიდი სკოლა. ეს კაცი გახლდათ შესანიშნავი რეჟისორი თავისი დიდი ტალანტით და შემოქმედებით. დღეს ჩვენმა ახალგაზრდობამ სწორედ მისგან უნდა აიღოს მაგალითი. იგი გვასწავლიდა, რომ კარგად გამოყენებული ერთი საათი გაცილებით სჯობია სამდღიან ტვინის ჭყლეტვასო. აღარაფერს ვამბობ სტანისლავსკის მთელ ბსოფლიოში ცნობილ მეთოდსა და სისტემაზე.

გიზო

ჟორდანია:

მე ბევრი რუსული ნაწარმოები დამიდგამს, როგორც დრამატულ, ასევე საოპერო თეატრში, თანამედროვე რუსულ დრამატურგიაში. ამ ბოლო ათწლეულში საინტერესო ახალგაზრდობა მოვიდა, რუსული დრამატურგია მნიშვნელოვნად გაძლიერდა და დაიხვეწა. საინტერესო მიღწევები აქვთ ლ. პეტრუშევსკაიას, ა. გალინს, თ. კაზანცევს, ე. რაზუმოვსკაიას. ჩვენს თეატრებში ბევრი მათი ნაწარმოები დავდგით.

2. რუსული თეატრის მთავარი რეჟისორი ვარ. მე მგონი, რომ ეს ყველაზე „პირდაპირი“ კონტაქტია თეატრთან ურთიერთობაში. საქართველოში რუსულ თეატრს ორმაგი ფუნქცია აკისრია. ერთი, რომ რუსული დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშები გავაცნოთ აქაურ საზოგადოებრიობას, მეორე — პროპაგანდა გაუწიოს ქართულ დრამატურგიას. გასტროლების დროს, რუსი მაყურებელი, ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ქართული ნაწარმოებების მიმართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგერტ სტურუა:

1. რუსული თეატრალური კულტურის გავლენას ბუნებრივია განვიცდით. ეს ის სკოლა და კულტურა, რომლითაც გავიზარდეთ. ამიტომ არ შეიძლება თავი-კვალი არ დატოვოს ჩვენს შემოქმედებით აზროვნებაზე და საერთოდ, როცა თეატრალურ ხელოვნებაზე ვსაუბრობთ, განა შეიძლება გვერდი ავუაროთ სტანისლავსკის, ნემიროვიჩ-დანჩენკოს, მეიერხოლდის სახელებს?

თეატრალურ ინსტიტუტში ჩემი მასწავლებლები იყვნენ მ. თუმანიშვილი და დ. ალექსიძე. ამასაც ჰქონდა, რა თქმა უნდა, თავისებური გავლენა. ერთხელ, ლეიფზიგში ყოფნისას, გ. ტოვსტონოგოვმა საჯაროდ განაცხადა, „სტურუა შვილიშვილად მეკუთვნისო". „შვილიშვილში" იგი იმას გულისხმობდა რომ მე მ. თუმანიშვილის მოწაფე ვიყავი, ხოლო თავის დროზე ბატონი მიშა გახლდათ გ. ტოვსტონოგოვის მოწაფე. თანამედროვეთაგან (ვგულისხმობ რუსულ რეჟისურას), ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს გ. ტოვსტონოგოვის და ეფროსის შემოქმედება.

2. რუსულ თეატრთან, სამწუხაროდ არავითარი შემოქმედებითი კონტაქტი არ მაქვს. თუმცა, ბევრჯერ მთხოვეს რომ დამედგა რაიმე სპექტაკლი. მე საერთოდ, პრინციპული წინააღმდეგი ვარ „უცხო" სცენაზე მუშაობისა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, „ერთგული ქმრის" როლში ვარ რუსთაველის თეატრთან და არასოდეს არ ვღალატობ მას.

გოგი ჟავთარაძე:

1. რუსული თეატრალური სკოლა არის ის შემოქმედებითი წყარო, რითაც ეროვნული თეატრები იკვებება. ჩემთვის, როგორც მსახიობისათვის, ძალიან მახლობელია ეს სკოლა. რაც შეეხება გავლენას, ჩემზე დაუვიწყარი, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა 60-იანი წლების „სოვრემენნიკის" თეატრმა, მისმა გასტროლებმა თბილისში. სწორედ იმ თეატრმა მოახდინა ჩემში თვისობრივი გადატრიალება. ის იყო თეატრი,— მფეთქავი ორგანიზმი, რომელმაც მთლიანად დაარღვია იმდროინდელი თეატრალური ცხოვრების სტერეოტიპი. და საერთოდ, როცა რუსულ თეატრალურ კულტურაზე ვლაპარაკობთ, თუნდაც მხოლოდ სტანისლავსკის ხსენება კმარა. სტანისლავსკი ჩემთვის გახლავთ სულის შემძვრელი მაგალითი.

2. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მეგობრულ ურთიერთობებს, თანამედროვე რუსულ თეატრთან ხშირი კონტაქტი არ მაქვს. ისე, სურვილი მაქვს სოხუმის ქართულ დრამატულ თეატრში სამუშაოდ მოვიწ-

ვიო რეჟისორები რუსული თეატრიდან. ვფიქრობ, ეს შემოქმედებითი კონტაქტი გარკვეულ სასიკეთო შედეგს მოგვცემს.

1. ჩემი თაობისთვის ცოტა ძნელია ამ გავლენაზე საუბარი. მაგრამ, ის დიდი პროფესიონალიზმი, რომელიც დაგვიტოვა სტანისლავსკიმ, მთლიანად სცილდება ეროვნულ ფორმებს. მისი მოძღვრება საერთოდ ქრესტომათიულია ყველა თეატრისათვის და ამდენად შეუძლებელია გვერდის ავლა. რუსული თეატრი მუდამ ბიძგს გვაძლევდა. ნემიროვიჩ-დანჩენკო, მეიერხოლდი, ტაიროვი ეს ის სახელებია, რომელთაგანაც თავიდანვე იკვეთება მყარი და ნათელი პოზიცია.

ალექსანდრე ქანთარია:

მე ბევრი პიესა მინახავს რუსულ სცენაზე, მაგრამ ის დიდი შთაბეჭდილება, რომელიც გ. ტოვსტონოგოვის სპექტაკლმა „ცხენის ისტორიამ" მოახდინა, ვერ გადასწონა ვერც ერთმა. ჩემთვის დაუვიწყარია მ. ულიანოვთან შეხვედრა და საუბარი. მიმაჩნია, რომ მ. ულიანოვი დღეს რუსული თეატრის დიდი ძალაა და მისი დამოკიდებულება პროფესიისადმი მისაბაძია ჩვენთვის.

2. სურვილი მაქვს რუსმა რეჟისორებმა თელავის თეატრში დადგან სპექტაკლები. ვფიქრობ, რომ ეს უფრო გაამდიდრებს ჩვენს ურთიერთობებს.

1. ბავშვობის წლებში ვცხოვრობდი მოსკოვში და ვესწარი მშვენიერ სამხატვრო თეატრს. იქ ნანახი წარმოდგენები „სამი და", „ალუბლის ბაღი", „ტურბინების დღეები" და სხვა, სამუდამოდ დარჩა ჩემში როგორც უმშვენიერესი მოგონება. ასევე დამამახსოვრდა საბავშვო თეატრი თავისი გასაოცარი „სასწაულებით". ამ თეატრს ხელმძღვანელობდა ნატალია ილიას ასული საცი. იგი დღესაც განაგრძობს თავის „სასწაულებს". მან კიდევ გახსნა ბავშვებისათვის მშვენიერი მუსიკალური თეატრი მოსკოვში.

ნედეა ჯაფარიძე:

ჩემი ცხოვრება რომ სამუდამოდ დაუკავშირდა თეატრს, ეს, ალბათ, იმ ბავშვობისდროინდელი დაუვიწყარი შთაბეჭდილებებიდანაც იღებს სათავეს.

2. 1964 წელს, ი. ზავადსკის მოწვევით „მოსსოვეტის" თეატრში რუსულ ენაზე ვითამაშე სპექტაკლში — „ცეზარი და კლეოპატრა". ჩემი პარტნიორი იყო რ. პლიატი. მ. ულიანოვის შემოქმედებით საღამოზე მასთან ერთად ვითამაშე შექსპირის „რიჩარდ III"-ში ლედი ანასა და რიჩარდის სცენა.

შარშან მოსკოვში პუშკინის სახელობის მუზეუმში და მწერალთა კავშირის სასახლეში გაიმართა პოეზიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამო, სადაც წავიკითხე რუსი და ქართველი პოეტების: ბლოკის, პასტერნაკის, გალაკტიონის, ტიციან ტაბიძის, ახმატოვას, ცვეტაევას, ბარათაშვილის ლექსები, მათი თარგმანები.

1. თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის პერიოდში პირველი კურსიდან ბოლო კურსამდე ჩემი პედაგოგი იყო გიორგი ტოვსტონოგოვი. რუსულ თეატრალურ კულტურაზე აღზრდილმა ამ უაღრესად განათლებულმა და ნიჭიერმა კაცმა გვაზიარა რუსულ თეატრალურ ხელოვნებას. იგი გვზრდიდა სტანისლავსკის სისტემის ძირფესვიანად შესწავლის საფუძველზე. გიორგი ტოვსტონოგოვმა ყოველ ჩვენგანს დაანათლა დიდი სიყვარული რუსული თეატრალური კულტურისადმი და ეს სიყვარული დღემდე მოგვყვება.

მედეა ჩახავა:

1943 წლის 19 იანვარს მესამე კურსის სტუდენტებმა ვითამაშეთ ბრუშტეინის პიესა „ცისფერი და ვარდისფერი" გ. ტოვსტონოგოვის ხელმძღვანელობით. ჩვენს სპექტაკლს დაესწრნენ იმხანად თბილისში ევაკუირებული მოსკოვის სამხატვრო თეატრის კორიფეები ნემიროვიჩ-დანჩენკო, კაჩალოვი, კლიმოვი. ის საღამო დაუვიწყარია ჩემთვის. დარბაზში იყვნენ აგრეთვე ჩვენი მშვენიერი ნატო ვაჩნაძე, ვერიკო ანჯაფარიძე. ვფიქრობ, რომ სწორედ მაშინ, იმ სპექტაკლში გამოიკვეთა ყოველი ჩვენთაგანის შემოქმედებითი ღირებულება.

2. თანამედროვე რუსულ თეატრთან შემოქმედებითი კონტაქტი დღეს მე არა მაქვს.

1. რეალური გავლენა მოახდინა „სოვრემენნიკისა" და „ტაგანკის" თეატრების შექმნამ. ამ ორმა, ერთმანეთისაგან უკიდურესად განსხვავებულმა თეატრმა. შემდეგ, ცოტა უფრო მოგვიანებით ა. ეფროსის შესანიშნავი სპექტაკლების ნახვამ ლენინური კომკავშირის თეატრში და „მალაია ბრონნაიაზე". ანატოლი ეფროსმა რაღაც შინაგანი ძვრა მოახდინა ჩემში. მისმა სპექტაკლებმა თავისი ფორმითაც და შინაარსითაც ისეთი უდიდესი შთაბეჭდილება დამიტოვა, რომ დღესაც კი დაუვიწყარია ჩემთვის.

თემურ ჩხეიძე:

2. სამხატვრო თეატრში დავდგი მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები". რუსული აქტიორული სკოლის განსხვავებულ მანერასთან, განსხვავებულ სტილთან ქართულის შერწყმამ, ვფიქრობ რომ საინტერესო სპექტაკლი დაბადა.

საუბარი ჩაიწერა **მზია ბედიაშვილმა.**

სამეცნიერო სესია

მიმდინარე წლის სექტემბერში აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გაიმართა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, რომელიც მოაწყვეს რსფსრ და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებებმა.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, სსრკ სახალხო არტისტმა, პროფესორმა დიმიტრი ალექსიძემ.

სესიაზე მოსმენილი იქნა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის პროფესორ დიმიტრი ჯანელიძის („რუსულ-ქართული თეატრალურ ურთიერთობათა სათავეებთან"). ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის პროფესორ ეთერ გუგუშვილის („კოტე მარჯანიშვილი და მაქსიმ გორკი"), თეატრალური კრიტიკოსის პოლინა ბოგდანოვას („მოსკოვის სამხატვრო თეატრი და საქართველო"), ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორ ნათელა ურუშაძის („გიორგი ტოვსტონოგოვის მოღვაწეობა თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში"), მიხეილ კალანდარიშვილის („რუსული დრამატურგია სანდრო ახმეტელის შემოქმედებაში"), ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ირინა მუხრანელის („ალექსანდრე გრიბოედოვი საქართველოში"), ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის, პროფესორ ნინო შვანგირაძის („ქართული თეატრი XVIII საუკუნეში"). ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორ მიხეილ ალფაროვის („რუსულ-ქართული თეატრალური ურთიერთობანი სცენოგრაფიაში") ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ია თუხარელის („ვსევოლოდ მეიერხოლდის ახალი დრამის „ამხანაგობის" მოღვაწეობა თბილისში") ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის პროფესორ ნადია შალუტაშვილის („ალექსანდრე ოსტროვსკი საქართველოში"). ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის მიხეილ ზილოვის („რუსულ-ქართული თეატრალური ურთიერთობანი. საორგანიზაციო შემოქმედებითი ასპექტი"). ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ანატოლი ვოლფსონის („ქართველი თეატრალური მოღვაწენი თანამედროვე რუსულ პერიფერიულ თეატრებში"). ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის დავით კობახიძის („მოსკოვის სამხატვრო თეატრის პრინციპების დამკვიდრებისათვის ქართულ თეატრში"). ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ტატიანა შახაზიზოვას („რუსულ-ქართული თეატრის ურთიერთკავშირის ბუნება"). ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ლიუბოვ ლებედინას („ქართული დრამატურგია რუსულ სცენაზე"). ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის მირა ფიჩხაძის („მუზათა თანამეგობრობა") მოხსენებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულად ავსახოთ ჩვენი თანამედროვეობა

(საქართველოს თეატრალური საზოგადოების IX მოწვევის IV პლენუმი)

მიმდინარე წლის 12 სექტემბერს გაიმართა საქართველოს თეატრალური საზოგადოების IX მოწვევის IV პლენუმი, რომელმაც განიხილა თეატრალური ცხოვრების მეტად მნიშვნელოვანი საკითხი: „რესპუბლიკის თეატრების 1982-83 წლების სეზონის შედეგები და ახალი ამოცანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შუქზე".

აღნიშნული პლენუმი ერთობ მნიშვნელოვანი გახლდათ იმითაც, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის რაიონული კომიტეტების ხელმძღვანელი მუშაკები, ადამიანები, რომლებთაც ევალებათ პირადად იზრუნონ სარაიონო და საქალაქო თეატრების შემოქმედებით ცხოვრებაზე.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ, სსრკ სახალხო არტისტმა დიმიტრი ალექსიძემ.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის, სსრკ სახალხო არტისტის

დიმიტრი ალექსიძის

შესავალი სიტყვა

ძვირფასო მეგობრებო!

საქართველოს თეატრალური საზოგადოების მორიგი პლენუმი, რომელიც დღეს შეიკრიბა, საბჭოთა ხალხის ცხოვრების ერთობ მნიშვნელოვან პერიოდს დაემთხვა — ჩვენი დროის, კონკრეტულად ჩვენი ცხოვრების მიმდინარე ეტაპის მნიშვნელობას განაპირობებს ის დიდი პროცესები, რომლებიც ახლა მთელს ჩვენს ქვეყანაში თვალხილულია.

ეს გახლავთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ურყევი პოლიტიკა, როგორც ქვეყნის საშინაო, ისე საგარეო საკითხებში. ეს გახლავთ ის უმთავრესი მომენტი, რაც განაპირობებს საბჭოთა ხალხის ერთსულოვნებას, შრომისადმი, პირადი მოვალეობისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც ყველაზე მთავარია — მომავლის ნათელ და მტკიცე რწმენას.

ძვირფასო ამხანაგებო!

ამ რწმენას განაპირობებს პარტიის კურსი, ამ რწმენას გვინერგავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის კონსტრუქციული, საქმიანი მითითებანი და წინადადებანი.

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების, საერთოდ საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა ცხოვრებაში მნიშვნელოვან ნიშანსვეტად აღიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1983 წ.) პლენუმი, რომელმაც განიხილა ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის ძირეული საკითხები. ამ პლენუმზე ლაპარაკი იყო სწორედ იმ პრობლემებზე, რაც ასე აღელვებს მთელ საბჭოთა ხალხს. პლენუმზე წამოჭრილი საკითხები ძალზე მნიშვნელოვანი და საპროგრამოა საბჭოთა კულტურის ყოველი მუშაკისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ჩერნენკოს მოხსენებაში და პლენუმის მონაწილეთა მიერ განხილული იქნა სკკპ საქმიანობის ერთ-ერთი ძირეული პრობლემა, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია მთელი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომისა და ყოფისათვის.

მეტად ღრმა აზრის შემცველი გახლავთ ამხ. იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის მიერ ამ პლენუმზე ჩამოყალიბებული ექვსი პრინციპი, რომლებიც განაპირობებენ პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მთავარ ამოცანებს თანამედროვე პირობებში. ამ ექვს პრინციპში გამოხატულებას ჰპოვებს პარტიის ზრუნვა მთელი ხალხის კეთილდღეობისათვის. სწორედ ამის დასტურია ი. ვ. ანდროპოვის სიტყვები, „მთელი ჩვენი იდეოლოგიური, აღმზრდელობითი პროპაგანდისტული მუშაობა გაჟღენთილი უნდა ავიყვანოთ იმ დიდი და რთული ამოცანების დონეზე, რომლებსაც, პარტია წყვეტს განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პროცესში. ყველა საფეხურის პარტიულმა კომიტეტმა, ორგანიზაციამ უნდა შეიგრძნოს, რომ მთელი იმ საკითხების მნიშვნელობასთან ერთად, რომელთა გადაწყვეტაც მათ უხდებათ (სამეურნეო, ორგანიზაციული და სხვა საკითხები), იდეოლოგიური მუშაობა სულ უფრო მეტად დგება წინა პლანზე“.

სწორედ იდეოლოგიური მუშაობა გახლავთ ჩვენი ყოფის ის მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი, რომელმაც უნდა გამოავლინოს ყველა ის სიკეთე, რასაც საბჭოთა ხალხი ქმნის. იდეოლოგიური მუშაობა გახლავთ სარკე ჩვენი საზოგადოებრივი ყოფისა, მისი ფსიქიკისა, შრომისა, ძლიერებისა.

მაგრამ ჩვენთვის, ხელოვნების მუშაკებისათვის ერთობ მნიშვნელოვანი, მე ვიტყოდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს ი. ვ. ანდროპოვის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას შემოქმედებითი შრომის საკითხებზე.

„პარტია მხარს უჭერს ყოველივეს, რაც ამდიდრებს მეცნიერებას, კულტურას, ხელს უწყობს მშრომელთა აღზრდას განვითარებული სოციალიზმის ნორმებისა და პრინციპების სულისკვეთებით. იგი სათუთად, პატივისცემით ეკიდება ტალანტებს, ხელოვნის შემოქმედებითს ძიებას, არ ერევა მისი მუშაობის ფორმებსა და სტილში, მაგრამ პარტია გულგრილი ვერ იქნება ხელოვნების იდეური შინაარსისადმი“.

ამხანაგ ანდროპოვის ეს მოსაზრება ღრმად უნდა გაანალიზოს ხელოვნების ყოველმა მუშაკმა, თუ ამ სიტყვებს კარგად ჩავუკვირდებით, დავინახავთ, თუ რაოდენ დიდ შესაძლებლობას აძლევს პარტია საბჭოთა კულტურის მოღვაწეებს, ერთი ცნობილი გამოთქმისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იყოს, ჩვენ მართლაც, ყველაფრის უფლება გვაქვს გარდა ცუდად წერისა, გარდა ცუდად დადგმისა, გარდა ცუდად შესრულებისა. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, ამაღლებს თეატრის როლსა და მნიშვნელობას, მაგრამ იგი ზრდის მის პასუხისმგებლობასაც პარტიის, დროის, ხალხის წინაშე, ცნობილი ჭეშმარიტებაა: რამდენადაც დიდია ნდობა, ამოცანები, იმდენად დიდია პასუხისმგებლობაც. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით იზრდება მხატვრული კრიტიკის ფუნქცია, ჩვენი თეატრალური კრიტიკა უნდა იქცეს ერთ-ერთ მთავარ წარმმართველ ძალად. მხატვრულ შემოქმედებაზე გავლენის მთავარი მეთოდი უნდა იყოს მარქსისტულ-ლენინური კრიტიკა.

სწორედ ჩვენს ცხოვრებაში, შრომაში სწორი იდეოლოგიური მიმართულების თაობაზე გახლდათ გულწრფელი და ერთობ მნიშვნელოვანი საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის მე-14 პლენუმზე. ამ პლენუმმა განაგრძო საკავშირო პლენუმზე დაწყებული საუბარი იმაზე, თუ როგორ უნდა ვიღვწოდეთ ჩვენ, რა ტენდენციები უნდა ასულდგმულებდეს ქართულ საბჭოთა ხელოვნებას.

მე არ შემიძლია სწორედ აქ არ აღვნიშნო ერთი მოვლენა — ძალიან დიდ შთაბეჭდილებას ახდენს საერთოდ რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კურსი კულტურის საკითხებში. მე უკვე ასაკოვანი კაცი გახლავართ, მთელი ჩემი ცხოვრება თეატრთან არის დაკავშირებული, ეს შეგნებული ცხოვრება კი ნახევარ საუკუნეზე მეტ დროს მოიცავს და შემიძლია მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ არასოდეს ყოფილა ასეთი გულწრფელი დაინტერესება იმით, თუ როგორ ვმუშაობთ, რას ვაკეთებთ ღღეს და რას მივცემთ ხვალ ხალხს. ასეთი ატმოსფეროს დანერგვას უნდა ვუმადლოდეთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ე. ა. შევარდნაძეს. არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ სწორედ მის სახელს უკავშირდება მრავალი ეროვნული მნიშვნელობის მქონე კულტურული მოვლენა, რომელიც ამ ბოლო წლებში ჩვენს რესპუბლიკაში მოხდა. ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა შეხვედრამ უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ მასწავლებლებთან, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა საქ. კპ ცენტრალურ კომიტეტში. ამ შეხვედრაზე მეტად საინტერესო სიტყვა წარმოსთქვა ამხანაგმა ე. შევარდნაძემ. როდესაც პარტია ასეთ შეუნელებელ დაინტერესებას იჩენს ჩვენი ახალგაზრდობის მომავლისადმი, ბევრ სასიკეთო შედეგს მივაღწევთ. ახალგაზრდობის სახვალიო პრობლემებით იყო გამსჭვალული ამ შეხვედრაზე საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის გურამ ენუქიძის მიერ წარმოთქმული სიტყვა. მართლაცდა, ღღეს ჩვენ ხელიდან არ უნდა გაუშვათ ახალგაზრდობის სწორ აღზრდაზე ზრუნვა. ახალგაზრდობაზე ზრუნვა ხომ ქვეყნის, ერის ხვალინდელ ღღეზე ზრუნვაა, რადგან ხვალ ქვეყანა, ხალხი იქნება ისეთი, როგორსაც ღღეს აღვზრდით მათ.

თეატრალურ ახალგაზრდობაზე ზრუნვის დასტური გახლავთ თეატრალურ ინსტიტუტში სასწავლო თეატრის შექმნა. სულ მოკლე ხანში რუსთაველის პროსპექტზე ჩვენ გვექნება შესანიშნავი სცენური მოედანი, სადაც შემოქმედებით წრეთობას გაივლიან ახალგაზრდები. ჩვენ უკვე გვაქვს სასწავლო თეატრი.

ღღევანდელი პლენუმი ერთობ მნიშვნელოვანი ხასიათისა გახლავთ, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით პლენუმის მუშაობაში მო-

ნაწილეობენ რესპუბლიკის პარტიული რეგიონების ხელმძღვანელები, ადამიანები რომელთაც აკისრიათ ზრუნვა რესპუბლიკის პერიფერიის თეატრებისადმი, 2 წელზე ცოტა მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მნიშვნელოვანი დადგენილება, რომელმაც უნდა აამაღლოს ქართული თეატრის იდეური და პროფესიული დონე. ამ ხნის განმავლობაში ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა. აშკარაა, რომ გაუმჯობესდა მდგომარეობა, მაგრამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამუდმებულად მოგვიწოდებს კიდევ უფრო ავამაღლოთ ქართული საბჭოთა თეატრის დონე, კიდევ უფრო საინტერესო, მრავალფეროვანი გავხადოთ იგი. ამ სურვილით იყო ნაკარნახევი სულ ახლახან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილება, რომელიც ფაქტიურად ჩვენი თეატრის საადღეისო მდგომარეობასაც შეისწავლის და სახვალიო პერსპექტივებსაც სახავს. და ჩვენ გვჯერა რომ კიდევ უფრო გაიზრდება ქართული თეატრის დონე და მნიშვნელობა, გვჯერა რომ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის მოახლოებული ზეიმი, რომლისთვისაც ასე ინტენსიურად ემზადება ჩვენი თეატრი, კიდევ უფრო აამაღლებს ჩვენს ავტორიტეტს საკავშირო მასშტაბით. მთელი ქართველი ხალხისათვის გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი ეს არის ერის ფიზიკური და ზნეობრივი გადარჩენის დღესასწაული. მხოლოდ ასე აღიქმება ეს თარიღი, მაგრამ ჩვენთვის, ქართული თეატრის მუშაკებისათვის ეს არის ძმობა დიდ რუსულ თეატრალურ კულტურასთან, მეგობრობა იმ პროგრესულ თეატრალურ ხელოვნებასთან, რომელიც წარმმართველია მსოფლიო მასშტაბით და რომელთა ურთიერთობითაც ქართული თეატრი ევროპა-თაშორისო ასპარეზზე გავიდა.

ჩვენ ვამაყობთ, რომ სწორედ თეატრალურმა რეჟისორმა, ჩვენმა საყვარელმა ხელოვანმა გიგა ლორთქიფანიძემ შეჰქმნა დიდი კინოეპოპეა „წიგნი ფიცისა", რომელიც მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ კინოხელოვნებაში.

ჩვენმა დღევანდელმა პლენუმმა, თეატრის მუშაკებმა, ქალაქებისა და რაიონების პარტიულმა ხელმძღვანელობამ კონკრეტულად უნდა გაანალიზოს ის, რაც ხელს გვიშლის მუშაობაში, ყველამ ერთად — მსახიობმაც და პარტიულმა მუშაკმაც უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ მოვახერხოთ, რომ მივცეთ დროს, ხალხს, ქვეყანას მისი საკადრისი და შესაფერისი სცენური ტილოები.

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის მე-9 მოწვევის IV პლენუმი გახსნილად გამოვაცხადო და სიტყვა მოხსენებისათვის მივცე საქ. კულტურის მინისტრის პირველ მოადგილეს ამხ. ია ბორისის ძე გამრეკელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის თეატრების 1982-83 წლების სეზონის შედეგები და ახალი ამოცანები სკკპ ცკ ივნისისა და საქ. კპ ცკ ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შუქზე

(საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის ამხ. ი. ბ. გამრეკელის მოხსენება)

—დღეს ჩვენ შევიკრიბეთ თეატრალური საზოგადოების ტრადიციულ პლენუმზე, რათა აქტუალური, პრობლემური საკითხების შუქზე გავაანალიზოთ რესპუბლიკის თეატრების განვლილი სეზონის შედეგები, შევაჯამოთ შემოქმედებითი-ორგანიზაციული მუშაობის უმნიშვნელოვანესი საკითხები და დავსახოთ მომავალი საქმიანობის კონკრეტული გეგმები, შევიმუშაოთ რეკომენდაციები და წინადადებები.

გასული თეატრალური სეზონი აღსანიშნავია საინტერესო და საგულისხმო საპროგრამო დოკუმენტებით, რომლებიც უშუალოდ ეხებიან ჩვენი საქმიანობის საკვანძო საკითხებს, ახალ ფურცელს შლიან იდეოლოგიური მუშაობის ფართო სარბიელზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება — „ბელორუსიის იანკა კუპალას სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ", რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველი საგანგებო დადგენილებაა დრამატული თეატრის მუშაობის შესახებ.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ასევე საგანგებოდ მსჯელობს იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე, პლენუმის მაღალი ტრიბუნიდან ღრმად აანალიზებს იდეოლოგიური ფრონტის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს და სახავს ჩვენი საქმიანობის პერსპექტივებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის მიერ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ფართო ანალიზის ფონზე, ჩვენთვის, კულტურის მუშაკთათვის განსაკუთრებით საგულისხმოა ის კონკრეტული მოსაზრებანი, რაც უთუოდ საპროგრამო გახდება შემდგომ მუშაობაში: „პარტია მხარს უჭერს ყოველივეს, რაც ამდიდრებს მეცნიერებას, კულტურას — ამბობს ი. ვ. ანდროპოვი, — ხელს უწყობს მშრომელთა აღზრდას განვითარებული სოციალიზმის ნორმებისა და პრინციპების სულისკვეთებით. იგი სათუთად, პატივისცემით ეკიდება ტალანტებს, ხელოვანის შემოქმედებითს ძიებას, არ ერევა მისი მუშაობის ფორმებსა და სტილში, მაგრამ პარტია გულგრილი ვერ იქნება ხელოვნების იდეური შინაარსისადმი. იგი დღენიადაგ წარმართავს ხელოვნების განვითარებას ისე, რომ ხალხის ინტერესებს ემსახურებოდეს. რა თქმა უნდა, აქ ადმინის-

* იბეჭდება მცირე შემოკლებით.

ტრირებაზე არ არის ლაპარაკი. მხატვრულ შემოქმედებაზე გავლენის მთავარი მეთოდი უნდა იყოს მარქსისტულ-ლენინური კრიტიკა, აქტიური, გულისხმიერი, ყურადღებიანი და ამავე დროს შეურიგებელი იდეურად უცხო და პროფესიულად სუსტი ნაწარმოებებისადმი". ამ სიტყვაში ნათლად ჩანს ჩვენი პარტიის სათუთი დამოკიდებულება ხელოვნების მუშაკებისადმი, სიბრძნე, კეთილგონივრულობა, მხარდაჭერა და, ამავე დროს, უკომპრომისო პოზიცია, როცა საქმე ეხება იდეოლოგიური მრწამსის, იდეურ-პოლიტიკური პლატფორმის სიმტკიცეს, მის ერთგულებას მარქსისტულ-ლენინური პრინციპებისადმი.

პარტიული ხელმძღვანელობის თეატრებისადმი განსაკუთრებული მზრუნველობის კიდევ ერთ ნათელ დადასტურებას წარმოადგენს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის დადგენილება—„საქართველოს ქალაქებისა და რაიონების სახელმწიფო თეატრების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ", რომლის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე კვლავ იმსჯელა სეზონის დასასრულს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ, და გაწეული მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად; განსაკუთრებით აღინიშნა ამ პერიოდში ჩატარებული საფესტივალო მუშაობა. დადებით მომენტებთან ერთად, ყურადღება გამახვილდა მთელ რიგ არსებით შემოქმედებით მოვლენებზე.

შემდეგ ი. გამრეკელი ლაპარაკობს რესპუბლიკის თეატრების საგასტროლო მოგზაურობაზე და განაგრძობს:

— მნიშვნელოვანი იყო გასული სეზონი რესპუბლიკის თეატრებისათვის. ეს არის საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების დაჯამება და გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავისადმი მიძღვნილი სპექტაკლებისათვის ინტენსიური მზადების პერიოდი.

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ახალმა ხელმძღვანელობამ პროგრამა—მაქსიმუმი დაისახა და ამის შედეგები დღეს უკვე რეალურად იკვეთება. ეს შეეხება როგორც სარეპერტუარო პოლიტიკას, ასევე მხატვრულ-პროფესიული ორგანიზაციის, პროფესიული დისციპლინის, მაყურებელთა მოზიდვის საკითხებს. თუნდაც ის ფაქტი, რომ თითქმის ერთდროულად მომზადდა ისეთი ურთულესი საოპერო ქმნილებები, როგორიცაა რიჰარდ შტრაუსის „სალომე" და მოცარტის „დონ-ჟუანი", მოწმობს თეატრის ძალთა მობილიზების ერთობ მაღალ დონეზეც.

როგორც ფართო საზოგადოებრიობამ, ასევე ავტორიტეტულმა მუსიკალურმა წრეებმა—მაღალი შეფასება მისცეს „სალომეს". თეატრმა პირველად მიმართა XX საუკუნის საოპერო კლასიკის ამ თვალსაჩინო ნიმუშს და მისი ეს გამარჯვება მრავალმხრივ მნიშვნელოვანია. კიდევ ერთხელ დადასტურდა, თუ რაოდენ დიდი შემოქმედებითი მიზნების მიღწევა შეუძლია ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრს. რიჰარდ შტრაუსის „სალომე" ურთულეს პრობლემებს აყენებდა საოპერო თეატრის წინაშე, როგორც საშემსრულებლო აპარატის ორგანიზაციის, ასევე მხატვრული სტილისტიკის თვალსაზრისით. ერთიც და მეორეც სანიმუშოდ იქნა დაძლეული. ამ მეტად დაძაბულ შემოქმედებით პროცესს სათავეში ედგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ჯანსუღ კახიძე. დიდი მომზადება დაეტყო სოლისტების ჯგუფს, და რაც განსაკუთრებით ყურადსაღებია, ორკესტრს, რომელიც საგანგებოდ ამ სპექტაკლისათვის იქნა გაძლიერებული

და შემადგენლობითაც გაზრდილი. შედეგმა ცხადყო, რომ ორკესტრის გაძლიერების ამგვარი ექსპერიმენტები მხარდაჭერას საჭიროებს. სალომეს განსახიერება სსრკ სახალხო არტისტის ცისანა ტატიშვილის მიერ განსაკუთრებული გამარჯვებაა. მან შექმნა დიდი მასშტაბის, ექსპრესიითა და ტრაგიკული ძალით გაჯერებული ვოკალურ-სცენური სახე. რეჟისორი გურამ მელივა, კვლავ განაგრძობს სპექტაკლზე მუშაობას, რაც შესამჩნევი ხდება „სალომეს" ყოველ წარმოდგენაზე. სპექტაკლის წარმატებას ასევე ხელი შეუწყო გაჯოჩენილი მხატვრის ზურაბ ნიუარაძის ფუნდამენტურმა ნამუშევარმა.

სეზონის დახურვის წინ კიდევ ერთი პრემიერა გაიმართა. ამჯერად ახლად დადგა თბილისელი მაყურებლისათვის ფართოდ ცნობილი ოპერა ვერდის „ტრუბადური", დადგმა განახორციელა ლენინგრადელ ოსტატთა ჯგუფმა — დირიჟორმა პ. გუბელნიკოვმა, რეჟისორმა ა. პეტროვმა, სპექტაკლში ახალი თაობის მომღერლები გამოვიდნენ. მათმა ახლებურმა რეჟისორულმა გადაწყვეტამ და ორიგინალურმა სცენურმა კონსტრუქციამ შესაძლოა დავა გამოიწვიოს, მაგრამ საერთო აკადემიური დონე უეჭველად აღიარების ღირსია. ყველაზე საყურადღებო კი, გუნდის საუცხოო, დახვეწილი ეღერადობაა, რომელიც ცნობილი ლატვიელი მუსიკოსის, საგუნდო ხელოვნების დიდი ოსტატის, პროფესორ იან დუმინის ხელმძღვანელობითაა მიღწეული.

ახალ სეზონში განხორციელდება ბიძინა კვერნაძისა და გია ყანჩელის ახალი ოპერები.

ცნობილია ის საგანგაშო მდგომარეობა, რომელშიც თეატრის საბალეტო დასი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, დროა საჭირო, ქართულმა ბალეტმა რომ წარსული დიდება აღიდგინოს. გასულ სეზონში საბალეტო დასის ახალმა ხელმძღვანელმა, გამოჩენილმა საბჭოთა მოცეკვავემ სსრკ სახალხო არტისტმა მიხეილ ლავროვსკიმ განახორციელა საინტერესო სპექტაკლი „რომეო და ჯულიეტა", რომელიც წარმოდგენილია, როგორც ერთგვარი სიუიტა ს. პროკოფიევის სახელგანთქმული, ამავე სახელწოდების ბალეტიდან და გარკვეულად ეშყარება სსრკ დიდი თეატრის იმ დადგმას, რომელიც გამოჩენილმა საბჭოთა ბალეტმეისტერმა ლეონიდ მიხეილის ძე ლავროვსკიმ განახორციელა. მზადდება დასადგმელად, გერშვინის „პორგი და ბესი".

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ქუთაისის ფილიალს გასულ სეზონში საგრძნობი წარმატებები ჰქონდა. დაიდგა დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმური"—ერთ-ერთი პოპულარული იტალიური ოპერა. რომელიც საუკეთესო „სასინჯი" მასალაა საოპერო-ვოკალური ხელოვნების მაღალ დონეზე შესამოწმებლად. სპექტაკლი მშვენიერი გამოვიდა, აშკარად ამაღლდა ქუთაისის ფილიალის დასის ოსტატობა, რასაც დიდად შეუწყო ხელი ნოდარ ანდღულაძის, (ამჟამად იგი რეჟისორის როლში მოგვევლინა) და დირიჟორ თეიმურაზ კობახიძის სანიმუშო შემოქმედებითმა თანამშრომლობამ. ოსტატობის ზრდა, უწინარეს ყოვლისა, დაეტყო მომღერალთა ხელოვნებას. ამასთან თანაბარი წარმატებით მომზადდა მთავარი როლების შემსრულებელთა ორი შემადგენლობა. აშკარა ხარისხობრივი გაუმჯობესება დაეტყო ორკესტრს და ეს მარტო ამ სპექტაკლში რიდი გამოჩნდა. ეს განსაკუთრებით დაადასტურა საბალეტო პრემიერამ, რომელიც ორი ნაწარმოებისაგან შედგება. რიმსკი-კორსაკოვის სიმფონიური ქმნილება — ვირტუოზული „ესპანური კაპრიჩიო" და პროკოფიევის ერთაქტიანი ბალეტი „უძღები შვილი", რომლის პარტიტურა რთული და დინა-

მიკურია და მისი წარმატებით დაძლევა მოწმობს ორკესტრის სოლიდურ შესაძლებლობებს. გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა ის, რომ თეატრის ორკესტრი ერთდროულად ასრულებს ქუთაისის სიმფონიური ორკესტრის მოვალეობას, ხოლო სიმფონიურ რეპერტუარზე სისტემატიურმა მუშაობამ არსებითი ძვრებიც განაპირობა, ამაღლდა საერთო დონე. აღნიშნული საბალეტო სპექტაკლის მუსიკალური ხელმძღვანელია თეატრის მთავარი დირიჟორი რევაზ ხურცილავა, რომელიც სრული ენერგიითა და თავდადებით მუშაობს. სპექტაკლი დადგა ქორეოგრაფმა ბექარ მონავარდისაშვილმა, რომელიც უკვე რამდენიმე წელია ზედიზედ თავდაუზოგველი ენერგიით ახორციელებს ქუთაისში საბალეტო სპექტაკლებს და არსებითად გვევლინება ქუთაისის ფილიალის საბალეტო დასის არაოფიციალურ ხელმძღვანელად.

წარმატებები აშკარაა — გავიხსენოთ თუნდაც ვაჟა აზარაშვილის მშვენიერი ბალეტი „ხევისბერი", რომელიც ქუთაისის სცენაზე დაიბადა, მაგრამ კიდევ გვიხდება იმის გამეორება, რომ ქუთაისის საბალეტო დასი ძალზე მცირერიცხოვანია, ყოველ სპექტაკლში ერთიდაიგივე სოლისტები მონაწილეობენ და რომელიმე მათგანის შემთხვევითი გამოთიშვაც კი სპექტაკლების ჩაშლის საფრთხეს ქმნის! საბალეტო სპექტაკლების გარეშე ვერცერთი საოპერო დასი ვერ ააწყობს ნორმალურ მუშაობას.

ქუთაისის საოპერო დასი კი უკვე რამდენიმე წელია მუშაობს მთავარი რეჟისორის, მეტიც — მუდმივი დამდგმელი რეჟისორის გარეშე! ჩვენი ნაკლია და საჭიროა უმოკლეს ვადაში ამ პრობლემის გადაჭრა.

ქუთაისის საოპერო თეატრი დიდი მოლოდინებითა და ენთუზიაზმით ემზადება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის იუბილეს შესახვედრად. ამისათვის მან შეარჩია დავით თორაძის ცნობილი ოპერა „ჩრდილოეთის ბატონიშვილი" (ლიბრეტო იოსებ ნონეშვილის), რომელიც ა. ს. გრიბოედოვისა და ნინო ჭავჭავაძის ამაღლებულ სიყვარულს, ქართველი და რუსი დემოკრატიული ინტელიგენციის დიდ მეგობრობას ეძღვნება. ოპერა ახალი რედაქციით მომზადდა, დაიხვეწა მისი დრამატურგია, ტექსტი, ჩაერთო ახალი სურათი, რომლისთვისაც კომპოზიტორმა ახალი მუსიკა დაწერა. დადგმა განახორციელა სსრკ სახალხო არტისტმა დიმიტრი ალექსიძემ, რომელმაც ჩვეული, შემოქმედებითი ენერგიით გააჩაღა მუშაობა. სპექტაკლის გენერალური რეპეტიცია უკვე შედგა და პრემიერაც ამ უახლოეს დღეებში იქნება ნაჩვენები.

შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა სამი ახალი სპექტაკლი განახორციელა ა. ვამპილოვის „იხვებზე ნადირობა" (რეჟისორი ა. ვარსიმაშვილი) და რ. იბრაგიმბეკოვის „დაკრძალვა კალიფორნიაში" (რეჟისორი რ. სტურუა). სეზონის დასასრულს კი ბადრი კობახიძემ განახორციელა ა. ჩხაიძის „სამიდან ექვსამდე".

თეატრი კვლავინდებურად ერთგული რჩება აქტიური მოქალაქეობრივი პრინციპების, სახიერი თეატრალური მეტაფორული აზროვნებისა და თანამედროვე თეატრალური ძიებების. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევიან — რ. იბრაგიმბეკოვისა და ა. ჩხაიძის ნაწარმოებები, რომლებმაც ჯეროვანი მხატვრული განსხეულება ჰპოვეს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ავტორიტეტული თეატრის სცენაზე. შედარებით სუსტი აღმოჩნდა ახალგაზრდა რეჟისორის ა. ვარსიმაშვილის ნამუშევარი, სადაც დრამატურგიული ნაწარმოების სახეცვლილება წარიმართა პიესისა და სპექტაკლის საზიანოდ. თვითმიზნურმა, ეგრეთწოდებულმა „სიახლეებმა" ზერელე, ზედაპირული შთაბეჭდილება შექმნეს და მწარე

მარცხი აგემეს თეატრს. სამხატვრო საბჭოსა და მისი ხელმძღვანელის ჩაურევლობამ ცუდი სამსახური გაუწია როგორც თეატრს, ისე ახალგაზრდა რეჟისორს, რომელიც მუდამ აქტიურ მხარდაჭერასა და დახმარებას საჭიროებს.

შემდეგ ია გამრეკელი ლაპარაკობს ამ თეატრში მორიგ რეჟისორთა უმოქმედობაზე და განაგრძობს:

— კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დღევანდელი შემოქმედებითი ცხოვრება სავსეა ძიებებით, ახალი გზების დადგენის სურვილით, წინააღმდეგობებით, სპექტაკლების არათანაბარი მხატვრული ხარისხით და იმ ურთულესი პრობლემებით, რომლის გადაწყვეტა შემოქმედებითი ენერგიის დაძაბვას მოითხოვს და ესთეტური პრინციპებისადმი თანმიმდევრულ ერთგულებას საჭიროებს. ჩვენ კარგად გვესმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მუშაობა მსახიობთა დასის დატვირთვისა და რეჟისორთა დასაქმებისათვის, რის გამოც ერთი სეზონის განმავლობაში თეატრმა 6 გეგმიური სპექტაკლის ნაცვლად განახორციელა 8 ახალი დადგმა, თუმცა ამას თავისი ჩრდილოვანი მხარეებიც ახლდა — ყველა წარმოდგენა ერთნაირად ვერ უძლებს სერიოზულ კრიტიკას, ყველა სპექტაკლს ვერ გასწვდა სამხატვრო ხელმძღვანელობის ყურადღება და ენერგია.

დღეს მარჯანიშვილის თეატრში სუფევს საინტერესო შემოქმედებითი ატმოსფერო, რომელსაც უნარიანად უძღვება თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი თემურ ჩხეიძე. მისი ყოველი ჩანაფიქრი ეშესახურება თეატრის კარგი ტრადიციების განტკიცებას და თანამედროვე რეჟისორული აზროვნების ორგანულად შემოტანას თეატრის სტილისტიკაში. ჩვენ ყოველმხრივ დავუჭერთ მხარს თ. ჩხეიძის ამ ძიებებს, ვინაიდან იგი წარმართულია თეატრის უკეთესი მერმისისათვის.

უაღრესად სერიოზული და საპასუხისმგებლო შემოქმედებითი ამოცანებიდ დაისახა თეატრმა, როდესაც გასულ სეზონში ზედიზედ განახორციელა მსოფლიო კლასიკის ისეთი შედევრები, როგორიცაა „ოტელო“ და „ანა კარენინა“. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ეს სპექტაკლები ნამდვილად წარმოადგენენ თეატრის სარეპერტუარო აქტივს, გვიდასტურებენ საინტერესო შემოქმედებითი ძიებების აუცილებლობას, თეატრალური შტამპების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას და მაყურებელს ანიჭებენ იმ ბედნიერებას, რომელიც ახლავს გენიალურ ქმნილებებთან შეხვედრას.

შემოქმედებითი ახალგაზრდობისადმი განსაკუთრებული ზრუნვის გამოხატულებაა გასულ სეზონში განხორციელებული ახალგაზრდული სპექტაკლი რ. გაბრიაძის „საპოლოთხის ჩიტი“, (გ. უორდანიას დადგმა) რომელიც მყარად დამკვიდრდა თეატრის რეპერტუარში.

ამ ბოლო პერიოდში ნაყოფიერ და საინტერესო მუშაობას ეწევა ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული თეატრი. მდგომარეობა ამ კოლექტივში სტაბილურია. შემოქმედებითი ატმოსფერო ნორმალურია, ყოველივე ეს სასიამოვნო და საიმედოა, თუმცა თვითდამშვიდებაზე ფიქრი ადრეა. თეატრმა უნდა გაითვალისწინოს თავისი მაყურებლის სპეციფიურობა. ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს, რომ ეს თეატრის სცენაზე განხორციელდეს როგორც ქართული, ასევე რუსული კლასიკა. აუცილებელია თეატრს რეპერტუარში ჰქონდეს თანამედროვე მუშათა კლასის ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებები.

თეატრს ყველაფერი გააჩნია საამისოდ და ვფიქრობთ, მომავალი რეპერტუარის ფორმირებისას გაითვალისწინებენ ამჟამად გამოთქმულ მოსაზრებებს.

თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის

მუსიკალური კომედიის თეატრში, გასულ 1982-83 წ. წ. სეზონში თეატრში შეიქმნა სპექტაკლები, რომლებიც საინტერესოა სცენური კომპოზიციის, პლასტიკის ელვარებით. ესენია კომპოზიტორ ე. ადლერის „დრაკონი", და კომპოზიტორ გიორგი ჩლაიძის მიუზიკლი „ღვთაებრივი კომედია" შტოკის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით, ორივე სპექტაკლში განსაკუთრებით შესამჩნევია წარმტაცი სცენოგრაფია, და რაც მთავარია ამ თეატრის პლასტიკური ხელოვნების აშკარა ზრდა. ორივე სპექტაკლს აქვს საერთო „ახალი" თვისება — მომღერლები მიმართავენ მიკროფონებს. ამასთან, „ღვთაებრივი კომედიის" მუსიკა მთლიანად ჩანაწერებით მიდის. ესტრადის ხერხებია შეეოტანა მუსიკალური კომედიის თეატრში ერთის მხრივ ჟანრის გარკვეული ელემენტებით შევსებაცაა, და მისაღებია როგორც ექსპერიმენტი, მაგრამ ამას თუ სისტემატური ხასიათი მიეცა და დამკვიდრდა, თეატრი დადგება საოპერეტო ჟანრის უპირველესი, ამოშავალი თვისებების დაკარგვის აშკარა საფრთხის წინაშე. ამ მოვლენის ახსნა იმით, რომ თეატრის ორკესტრიდან და გუნდიდან გარბიან მუსიკოსები და თეატრს თითქოსდა უჭირს უმიკროფონო სპექტაკლების დადგმა, ჩვენ არ შეგვიძლია!

სადაო მხარეების მიუხედავად საკმაოდ საინტერესო, სოციალურად მძაფრი სპექტაკლი გამოვიდა „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი" (მუსიკა ვაჟა აზარაშვილისა, ლიბრეტო მიხეილ თუმანიშვილისა, რეჟისორი ვარლამ ნიკოლაძე), რომელიც გარკვეულად სცილდება ლ. არდაზიანის მოთხრობის ეპოქის ფარგლებსა და კაპიტალიზმის მანკიერებათა მხილების უფრო ფართო პათოსს მოიცავს. სპექტაკლში ეტად საინტერესო სახე შექმნა თეატრის ვეტერანმა ვ. სალარიძემ, რაც ძალზე გვახარებს.

ს. შაუმიანის სახელობის სომხურმა თეატრმა გასულ თეატრალურ სეზონში სამი ახალი დადგმა მოამზადა, რომლებიც მაყურებლის სამსჯავროზე არ გამოტანილა შენობის კაპიტალური რემონტის გამო. ჩვენ მიგვაჩნია, რომ თეატრსა და მის მთავარ რეჟისორს რ. ჩალტიკიანს უფრო ინტენსიურად უნდა ემუშავა, რათა მონზადებული შეხვედროდა მიმდინარე სეზონს განახლებულ შენობაში. ამ თეატრის ცხოვრებას ჩვენ ეტად სერიოზულ ყურადღებას ვაქცევთ. თქვენ მოგეხსენებათ რომ თეატრს ეწვია ამხ. ე. ა. შევარდნაძე, მისი უშუალო მითითებით ბევრი რამ გაკეთდა. თეატრს შეეცვალა კატეგორია, მიიღო რემონტი, მომზადდა სპეციალური ჯგუფი მსახიობებისა. ახლა თეატრმა უნდა სთქვას თავისი სიტყვა.

ჯერ კიდევ მრავალი შემოქმედებითი და ორგანიზაციული ხასიათის პრობლემა დგას თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის ხელმძღვანელობის წინაშე. ახლად შექმნილ თეატრს აკისრია კეთილშობილური მისია, რათა თავის რაიონში დაამკვიდროს ტრადიციები, მოიზიდოს ის მაყურებელი რომელიც შემდგომ ამ თეატრის გულშემატკივარი, პატრიოტი იქნება. თეატრმა დიდი ხნის მანძილზე ვერ მოახერხა დამდგმელი რეჟისორის თანამდებობაზე შესაფერისი კანდიდატურის შერჩევა და მუშაობის მთელი სიმძიმე დააწვა დირექტორსა და მთავარ რეჟისორს ლ. პაქსაშვილს, რომელმაც სამი ახალი დადგმა განახორციელა. თეატრში იგრძნობა ენთუზიაზმი, ერთიანი სულისკვეთება. ამის დასტურია ისიც, რომ თეატრმა რთულ პირობებში, ორგანიზებულად ჩაატარა საზაფხულო გასტროლები რესპუბლიკის მაღალმთიან რაიონებში და წარმატებით მოემსახურა ათასობით მაყურებელს. გეზი სწორია, ძალები თეატრს გააჩნია, მეტი აქტიური მოქმე-

დება და ვფიქრობთ თეატრის აფიშა უფრო საინტერესო გახდება.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს მეტეხის ახალგაზრდული, თბილისის მოზარდმაყურებელთა ქართული და რუსული, მინიატურების, თოჯინების ქართული და რუსული თეატრების შემოქმედებით ცხოვრებაზე და განაგრძობს:

— ძვირფასი მდგომარეობაშია პანტომიმის თეატრი. შენობის უქონლობა, მუდმივი გადანაცვლება სცენიდან სცენაზე მტკივნეულად მოქმედებს დასის შემოქმედებით ცხოვრებაზე. ამის შედეგია, რომ სამი სეზონის მანძილზე თეატრს არცერთი ახალი სპექტაკლი არ შეუქმნია. ეს კი არცერთ შემთხვევაში გასამართლებელი ფაქტი არ გახლავთ. მართალია, თეატრი საჭიროებს ჩვენის მხრივ დიდ დახმარებას, მუშაობისათვის აუცილებელი ელემენტარული პირობების შექმნას, მაგრამ თეატრის მხრივაც საჭიროა მეტი მობილიზება და მუშაობის ტემპის აჩქარება. აუცილებელია წლის ბოლომდე მაინც გამოუშვას სპექტაკლი „ფიროსმანი“ რომელზეც თეატრი წელიწადზე მეტია მუშაობს. გვინდა ჩვენი დღევანდელი პლენუმის მონაწილეთა სახელით ვთხოვოთ ქალაქის მესვეურთ რეალურად გადაწყვიტოთ თეატრის შენობის ბედი. ქალაქში იმდენი შენობა განთავისუფლდა რომ ერთი თეატრის ბედის გადაწყვეტა არც თუ ისე ძნელი უნდა იყოს.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა თბილისის გარეთ განლაგებული თეატრების შემოქმედებით ცხოვრებაზე. დადებითი შეფასება მისცა სოხუმის კ. გამსახურდიას და ს. ჭანბას სახ. სახელმწიფო თეატრებში შექმნილ სპექტაკლებს (კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, „მთვარის მოტაცება“, გ. ბათიაშვილის „1832 წელი“) აღნიშნა ის სირთულეები რითაც ხასიათდება ფოთისა და ჭიათურის თეატრების ცხოვრება, დადებითად შეაფასა თელავის სახელმწიფო თეატრში დადგმული ინანიშვილის „ჩემი წყალჭალის ხმები“, გამოსთქვა კრიტიკული მოსაზრება ცხინვალის თეატრის ქართული დასის სპექტაკლების არათანაბარი მხატვრულობის გამო და დადებითად შეაფასა ოსური დასის სპექტაკლები; მოიწონა ის ძვრები რაც გამოჩნდა ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. თეატრის ბოლო სპექტაკლებში, დადებითად შეაფასა ბათუმის თეატრის შემოქმედებითი ცხოვრება და განაგრძო:

—რთული სიტუაციაა სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრში. აქ შეცდომა თავიდან იქნა დაშვებული. როგორც სჩანს, ავჩქარდით და მოუმზადებლად გავხსენით ეს თეატრი. გაუგებარი აჩქარება გამოიჩინა აფხაზეთის კულტურის სამინისტრომ, რომელმაც ჩვენთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე დანიშნა ამ თეატრის ხელმძღვანელობა, ჩამოიყვანა მსახიობები, რომელთა პროფესიული დონე ეჭვს იწვევდა. შედეგიც არ დააყოვნა. დასი აირია, დაიწყო გაუთავებელი საჩივრები. დღეისთვის თეატრის ხელმძღვანელობა შეიცვალა, მოიხსნა დირექტორი, მთავარი რეჟისორი. მინისტრის მოადგილეს საყვედურიც კი გამოეცხადა. ხელახლა დაინიშნა დირექტორი, მთავარი რეჟისორი და კვლავ, ყოველივე ეს ჩვენთან შეუთანხმებლად მოხდა. თეატრალურ ინსტიტუტში შეიქმნა სპეციალური ჯგუფი ამ თეატრისათვის. გამოიყო 10 ადგილი. ავტონომიურმა რესპუბლიკამ დააკომპლექტა მხოლოდ ნახევარი, ისიც საკმაოდ უპასუხისმგებლოდ (ერთ-ერთი ჩარიცხულთაგანი, ვინმე ამუბა, ამ დღეებში გაირიცხება თეატრალური ინსტიტუტიდან, იგი ერთდროულად ორ უმაღლეს სასწავლებელში აბარებდა გამოცდებს ორივეგან ლიმიტით და ორივეგან ჩაირიცხა).

ზუსტად ერთი კვირის წინ, 5 სექტემ-

ბერის შედგა საკავშირო კულტურის სამინისტროს კოლეგია, რომელმაც საგანგებოდ განიხილა საკითხი, თუ როგორ რეაგირებას ახდენს კულტურის სამინისტრო თეატრალური ცხოვრების ირგვლივ შესულ განცხადებებზე. კოლეგიაზე მეტად მწვავე საუბარი გაიმართა პრობლემათა ირგვლივ, რომელნიც აღელვებენ დღეს როგორც სპეციალისტებს, ასევე ჩვეულებრივ რიგით მაყურებელს. კოლეგიას წარმართავდა სსრკ კულტურის მინისტრი ამხ. პ. ნ. დემიჩევი, ესწრებოდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. შაურო.

მსჯელობის ერთ-ერთ პუნქტად სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრში შექმნილი ვითარებაც იყო.

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და კულტურის მუშაკთა პროფკავშირებმა მეტი ყურადღება, გულისხმიერება და საქმიანი დამოკიდებულება უნდა გამოავლინონ რესპუბლიკის თეატრების მიმართ. უფრო აქტიური უნდა გახდეს მათი როლი მსახიობთა როგორც საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების. ასევე მათი ოსტატობის დახვეწის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და წახალისების საქმეში.

რესპუბლიკის თეატრების მოღვაწეობის ბოლო პერიოდის პრაქტიკაში ხშირად აღინიშნება სპექტაკლების თვითნებური და იძულებითი შეცვლის ფაქტები, რაც ყოვლად მოუთმენელია. მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს ამ მიმართებით და ყველა კონკრეტულ შემთხვევაში დამნაშავენი სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ.

როდესაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნო იხილავდა ჩვენს ანგარიშს საქალაქო და რაიონული თეატრების მუშაობის შესახებ, ამხ. ე. ა. შევარდნაძემ ჩვენი ყურადღება შეაჩერა თეატრებისა და საერთოდ სანახაობითი დაწესებულებების ეკონომიურ საქმიანობაზე. სამდივნოზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის თეატრები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ეკონომიურ მაჩვენებლებს, თუმცა, უპირველესად სწორედ ეკონომიკა ასახავს შემოქმედებითი დონის ავკარგიანობას.

მთელი რიგი თეატრების ხელმძღვანელობა მეტად შორს დგანან იმ პასუხისმგებლობისაგან, რასაც მათ სახელმწიფო გეგმის შესრულება აკისრებს. დღეს ნებისმიერი საწარმოს ხელმძღვანელმა იცის, თუ გეგმას არ შეასრულებს, პასუხს მოსთხოვენ. პასუხს მოსთხოვენ არა მარტო ზემდგომი ორგანოები, არამედ თვით მისი კოლექტივიც, რომელიც მატერიალურად ზარალდება. ჩვენს თეატრებში რატომღაც ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. სულ სამოდე თეატრი გვყავს სადაც ყოველწლიურად იქმნება **პრემიალური ფონდი.** დასამალი არ არის, რომ ყველა მსახიობს, თეატრის ნებისმიერ მუშაკს არ აწყენდა დამატებითი ანაზღაურება. მაშ რატომ ხდება, რომ თეატრების მესვეურნი ესოდენ გულგრილად ეკიდებიან ამ მნიშვნელოვან საკითხს?!

1983 წლის პირველი ნახევრის მაჩვენებლებით თეატრების უმრავლესობამ ვერ შეასრულა შემოსავლის გეგმა. 32 თეატრიდან მხოლოდ 17 აქვს შესრულებული, ცამეტმა თეატრმა დაუშვა გამოყოფილი თანხების ზეგეგმიური გადახარჯვა, ამიტომაა, დოტაცია კი არ მცირდება, არამედ მატულობს.

რვა თეატრმა ვერ შეასრულა სპექტაკლების ჩვენების გეგმა. თექვსმეტმა ვერ შეასრულა მაყურებლის მიზიდვის გეგმა. მაყურებლის მიზიდვა რთული პროცესია. რა გამართლება უნდა ჰქონდეს სპექტაკლების რაოდენობის დაკლებას? მაგალითად აფხაზეთის ს. ჭანბას სახელობის თეატრმა გეგმა ვერ შეასრულა 25 სპექტაკლით, ბათუმის დრამატულმა თეატრმა — 13, ცხინვალის

თეატრმა — 3, ჭიათურის — 38, სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრმა — 34, საკითხავია, თუ თეატრის დირექტორი სერიოზულად უდგება საქმეს, სტაციონარიც წესრიგში აქვს, როგორ უნდა მოხდეს ასეთი რამ? საოცარია, მაგრამ ფაქტია ეგრეთწოდებული უსახლკარო თეატრიდან ამ სიაში მხოლოდ ორია. როგორ შესძლეს რუსთავის, ფოთის თეატრებმა ამ მაჩვენებლის შესრულება? ალბათ, მეტი გულისყურით ეკიდებიან საქმეს.

ამრიგად, ს. ჭანბას სახელობის, სოხუმის მოზარდმაყურებელთა, ცხინვალის, ბათუმის, ჭიათურის და მთელ რიგ სხვა დრამატულ თეატრებს, თითქმის არც ერთი მაჩვენებელი არა აქვთ შესრულებული. სეზონის მანძილზე ჩვენ ორჯერ შევხვდით თეატრის ხელმძღვანელებს, გვქონდა მათთან კონკრეტული საუბარი, თვითეულმა დადო პირობა, რომ მდგომარეობას გამოასწორებენ. კულტურის სამინისტროს კოლეგია იმსჯელებს 9 თვის გეგმის შესრულების შესახებ და ვფიქრობ მეტად არასასიამოვნო დასკვნებსაც გააკეთებს იმათ მიმართ, ვისაც გეგმა არაფრად მიაჩნია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნოემბრისა და ივნისის პლენუმების დადგენილებათა შუქზე, საშემსრულებლო დისციპლინისა და იდეოლოგიური მუშაობის გააქტიურებისათვის ჩვენმა თეატრებმა მაქსიმალურად უნდა გაუმჯობესონ თავიანთი მუშაობა ყველა ფრონტზე.

●

მოხსენების მოსმენის შემდეგ იმართება კამათი. პირველი გამოდის სსრკ სახალხო არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი ვერიკო ანჯაფარიძე.

— როცა ლაპარაკია თეატრზე, მე არ შემიძლია არ ვთქვა ორიოდ სიტყვა. მთელი ჩემი ცხოვრება თეატრს შევწირე და ვიცი რას ნიშნავს კარგი თეატრი, ვიცი რამ შეიძლება თეატრი გახადოს საინტერესო. მე ახლა ბევრი თეატრი არ მომწონს, რადგან მათ დაკარგეს ის, რაც მთავარია თეატრალურ ხელოვნებაში — ვნება, დიდი სიყვარული, თავგანწირვა. აი, ეს არის მთავარი თეატრში. მარჯანიშვილი მუდამ გვეუბნებოდა: მსახიობისთვის, თეატრის მოღვაწე კაცისათვის მთავარი უნდა იყოს თეატრი. თუ თეატრს თავი არ შესწირე, თუ ფიქრობ, რომ თეატრში შეიძლება ყველაფერს იოლად მიაღწიო, ვერაფერს მისწვდები. თეატრი ადამიანის მთელ სიცოცხლეს თხოულობს.

ძალიან ძნელია კარგი თეატრის შექმნა. ჩვენ გვქონდა კარგი, ბრწყინვალე თეატრი. ახლა ასეთი თეატრები აღარა გვაქვს, რადგან ბევრგან იოლად ეკიდებიან საქმეს.

მინდა თეატრის მოღვაწეთ იცოდნენ, რომ კარგი თეატრის შექმნა მხოლოდ ძალიან დიდი, დაძაბული შრომის, თავგანწირვის, შედეგად შეიძლება. უამისოდ ხელოვნების არცერთ ჟანრში არაფერი გამოვა, მითუმეტეს, თეატრში.

მინდა შეგახსენოთ: ჩვენ კარგი თეატრი გვქონდა მხოლოდ იმის გამო, რომ მთელ ცხოვრებას ვწირავდით მას, ხელოვნება თავგანწირვას თხოულობს.

აი, ეს მინდოდა მეთქვა დღევანდელი პლენუმის მონაწილეთათვის.

●

სიტყვა ეძლევა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრს ალექსი არგუნს.

— აფხაზეთის კულტურისა და სახელოვნო დაწესებულებებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების დადგენილებანი სახელმძღვანელოდ გაიხადეს, რადგან ამ პლენუმებს ჩვენს ცხოვრებაში ისტორიული მნიშვნელობა ენიჭებათ. ამასთან არის დაკავშირებული ავტონომიური რესპუბლიკის თეატრების შემოქმედებითი აღმავლობა. რეპერტუარზე საგულდაგულო მუშაობამ, რომელიც ასე თვალხილულია უკანასკნელი

წლების სოხუმის აფხაზურ და ქართულ თეატრებში ის ნაყოფი გამოიღო, რომ დღეს ჩვენი მაყურებელი ეცნობა საბჭოთა მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს. განვლილი სეზონის განმავლობაში ჩვენს თეატრებში საუკეთესოდ განხორციელებული მ. გორკის „უკანასკნელნი", ი. დრუცეს „წმინდათა წმინდა" კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება", და „დიდოსტატის მარჯვენა", ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონი", გ. ბათიაშვილის „1832 წელი". სოხუმის აფაზური და ქართული თეატრების შემოქმედებით აღმავლობაზე მეტყველებს ეს აღმავლობა აშკარა და თვალხილულია.

თავისი პროფესიული სიმწიფის ხანაში შევიდა აფხაზური თეატრი, რომელსაც ამას წინათ „საპატიო ნიშნის" ორდენი მიენიჭა. შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის ხანა დაუდგა სოხუმის ქართულ თეატრს, რომელსაც რესპუბლიკის სახალხო არტისტი გოგი ქავთარაძე ხელმძღვანელობს. სწორედ შემოქმედებითმა წარმატებებმა, მაღალმა პროფესიულმა დონემ **განაპირობა ის გარემოება, რომ ამ** თეატრს კონსტანტინე გამსახურდიას სახელი მიენიჭა. ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ იმით, რომ შარაჰ ფაჩალია და მიხეილ ჩუბინიძე დღეს სსრკ სახალხო არტისტები არიან, ხოლო ამასწინათ თბილისში გამართულ რესპუბლიკის თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობა და სოხუმის თეატრების გამარჯვება იმის დასტურია, რომ მათ თავისი ღირსეული წვლილი შეაქვთ საქართველოს თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში.

რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო ორგანოების უშუალო დახმარებით ახალმოსახლეობა იზეიმა სოხუმის ქართულმა თეატრმა, უმჯობესდება სოხუმის რუსული მოზარდმაყურებელთა თეატრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მსახიობებს სისტემატურად ეძლევათ საცხოვრებელი ბინები. ამ ცოტა ხნის განმავლობაში მხოლოდ მოზარდთა თეატრს გამოეყო 14 ბინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის თეატრები თავის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიიჩნევენ სარეპერტუარო პოლიტიკის სწორად ჩამოყალიბებას. ამ საქმეს სირთულენიც ახლავს, ზოგჯერ გვიჭირს კიდეც ამ სირთულეთა გადალახვა, მაგრამ მაინც ვძლევთ. თანამედროვეობა თეატრის წინაშე ერთობ სერიოზულ ამოცანებს სვამს. თეატრი არ უნდა გაიტაცოს უმნიშვნელო თემებმა, მან უნდა იგრძნოს დრო და თამამად, ნოვატორულად გამოხატოს ის, რაც მთავარია ჩვენს ყოფაში.

ჩვენ ვესწრაფვით გამოვრიცხოთ შემთხვევითობანი სარეპერტუარო პოლიტიკაში, არ უნდა ვერიდებოდეთ ისტორიული, ჰეროიკულ-რომანტიული ხასიათის ნაწარმოებებს. თუნდაც, ზოგჯერ ინსცენირება იყოს მისი საფუძველი. ამის მაგალითად მოვიყვანდი აფხაზურ და ქართულ თეატრებში განხორციელებულ „მთვარის მოტაცებას" და „დიდოსტატის მარჯვენას".

ჩვენი ღრმა რწმენით, თანამედროვე მაყურებელს არანაკლებ სჭირდება ჰეროიკულ-რომანტიული, პატრიოტული თემატიკის ნაწარმოებები, ვიდრე ყოფითი. ახალგაზრდობა უნდა აღვზარდოთ ჩვენი მამებისა და პაპების გმირული ცხოვრების მაგალითზე. თანამედროვეობის პოზიციებიდან უნდა აკსახოთ ერთა ძმობა, ინტერნაციონალური სულისკვეთება ჩვენი ხალხებისა, განა ეს არ არის მნიშვნელოვანი იდეოლოგიური ამოცანა ჩვენი თეატრალური ხელოვნებისა? განა ამაში არ უნდა ხედავდნენ ჩვენი თეატრალური მოღვაწეები თავის უმთავრეს ამოცანას? ამიტომაც მეჩვენება უაზროდ, როცა ლაპარაკობენ ეროვნული დრამატურგიის ჩამორჩენაზე, თითქოს არ გვქონდეს პიესები. ამ თვალსაზრისით ჩვენს დრამატურგიას დიდი გამოცდილება გააჩნია.

რასაკვირველია, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ზოგჯერ ჩვენს დრამატურ-

გიას აკლია სოციალური სიმწვავე, ძლი ერი ხასიათები, მოქმედების კონცენტრაცია და სხვ. რაც ესოდენ აუცილებელია დრამატურგიაში, მაგრამ როდესაც ლაპარაკობენ თანამედროვე ეროვნულ, იქნება ეს ქართული, თუ აფხაზური, დრამატურგიაზე, ეს როდია მთავარი, მთავარია მისალმი დამოკიდებულება, ეს დამოკიდებულება კი არცთუ ისე სასურველ დონეზეა დღეს. იგი უკეთესი უნდა იყოს. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ძველ ბერძენთა ნათქვამი: „დრამატურგია ყველა ყანრთა თავიდათავია, რამეთუ მისი გმირები არა მხოლოდ სიტყვებით, დუმილითაც კი ლაპარაკობენ“.

უფრო აქტიური უნდა ვიყოთ ადგილობრივ ავტორებთან ურთიერთობაში. უფრო მჭიდრო კონტაქტი უნდა დავამყაროთ მათთან.

ჩვენთან არც დრამატულ ნაწარმოებთა ბეჭდვისა და გამოცემის საქმეა დაყენებული სათანადო დონეზე, ამიტომ მიმაჩნია მიზანშეწონილად „თანამედროვე ქართული დრამატურგიის“ ალმანახის დაარსება, დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ გამოვცეთ წელიწადში ორი ნომერი. შემდეგ კი მომავალი გვაჩვენებს.

შემდეგ ალ. არგუნი სვამს სახელოვნო გაზეთის გამოცემის საკითხს, ამგვარი გაზეთები გამოდისო უკრაინაში, ბელორუსიაში, ასეთი გაზეთის გამოცემა კიდევ უფრო შეუწყობდა ხელს კულტურის და კონკრეტულად, თეატრის განვითარებას.

დასასრულს იგი ამბობს:

— მკაფიო მოქალაქეობრივი პოზიცია, ცხოვრებისეული მოვლენებისადმი პარტიული მიდგომა, პრინციპულობა და მაღალი მოქალაქეობრიობა აი, მთავარი კრიტერიუმები თანამედროვე საბჭოთა თეატრალური ხელოვნებისა. აი, ეს კრიტერიუმები უნდა იყოს მთავარი ორიენტირი ჩვენი ყოველდღიური მუშაობისა.

●

სიტყვა ეძლევა აჭარის ასსრ კულტურის მინისტრს **ბიძინა მახარაძეს.**

— ვსარგებლობ შემთხვევით — ამბობს იგი — რომ დღეს ამ დარბაზში თავიანთ იყარეს ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლებმა, იმათ, ვინც საკუთარი მხრებით ატარებენ ქართული თეატრის ღირსებასა და პატივს და დიდი მადლობა გადაგიხადოთ ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის, აჭარის საზოგადოებრიობის სახელით მოლოცვის გულთბილი სიტყვებისა და თანადგომისათვის, რომელიც გამოიჩინეთ ბათუმის სახელმწიფო თეატრისათვის მთავრობის მაღალი ჯილდოთი „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების იუბილესთან დაკავშირებით.

მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის ხელმძღვანელობას, კულტურის განყოფილებას, საქართველოს კულტურის სამინისტროსა და თეატრალურ საზოგადოებას იმ დიდი მხარდაჭერისათვის რომელსაც ყოველთვის ვგრძნობდით, განსაკუთრებით იუბილისათვის სამზადისისა და მისი ჩატარების პერიოდში.

1981 წლის საწარმოო-საფინანსო მაჩვენებლების შესრულებისათვის ბათუმის თეატრი დაჯილდოვდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, მსახიობი ნ. გოგიტაური კომკავშირის პრემიის ლაურეატი გახდა, **1982** წლის ივნისში წარმატებით ჩატარდა გასტროლები ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ბლაგოევგრადის ოკრუგში და თეატრი დაჯილდოვდა ბულგარეთის სახელმწიფო სამახსოვრო მედლით. ამ ორი სეზონის განმავლობაში თეატრის მსახიობები სხვადასხვა თეატრალური ფესტივალის ლაურეატები გახდნენ. ბულგარეთში გასტროლები იმითაც არის ნიშანდობლივი, რომ მრავალი წლის განმავლობა-

ში ეს პირველი შემთხვევა გახლდათ, საქართველოს თეატრალური ხელოვნების ისტორიაში, როცა პერიფერიული თეატრი საზღვარგარეთ მეორედ წავიდა საგასტროლოდ.

რაც შეეხება გასულ სეზონს, ბევრით ვერაფრით დავიკვეხნით. მართალია, თეატრის იუბილისათვის სამზადისმა გარკვეული დაღი დაასვა კოლექტივის რიტმულ მუშაობას, მაგრამ ამით თავს ვერ ვიმართლებთ. პრინციპული საუბრისათვის ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის აწმყოსა და მომავლის შესახებ დიდხანს ვემზადებოდით. ერთთავად გადავწყვიტეთ, რომ ეს საუბარი იუბილის შემდეგი დროისათვის შემოგვენახა, სატკივარი, რომელიც გვაწუხებდა, თავადაც კარგად ვიცოდით და ვიცით, მაგრამ ამასწინანდელმა სტუმრობამ ჩვენს ქალაქში ქართული თეატრალური კრიტიკის ცნობილი მოღვაწეებისა, როდესაც ბათუმში ჩატარდა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, ბევრ რამეზე დაგვაფიქრა და თვითკრიტიკის მადა უფრო გაგვიღვივა. მანამდე ორიოდე თვით ადრე აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიამ განიხილა საკითხი თუ როგორ მუშაობს ბათუმის თეატრი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ივლისის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.

მიღწეულ წარმატებებთან ერთად კოლეგიაზე მკაცრი საუბარი გვქონდა იმის თაობაზე, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში თეატრმა გეგმით გათვალისწინებული 12-ის ნაცვლად მოამზადა 10 ახალი წარმოდგენა, რომ საერთო გეგმიური მაჩვენებლები შესრულებული იქნა აღდგენითი სპექტაკლების ხარჯზე, რომ ზოგიერთი წარმოდგენის მხატვრული დონე დაბალია, რომ სპექტაკლების აღდგენა ხდება ან მოკლე ვადაში, ან ძალზე ჭიანურდება, რომ თეატრი ვერ მუშაობს მიზანმიმართულად შემოქმედებითი გეგმების შესრულებისათვის, რაც იმაში გამოიხატება, რომ 2 წლის განმავლობაში გარდა მოწვეული რეჟისორებისა, დადგმის ვადები არ დაუცავს თეატრის არც ერთ რეჟისორს. თეატრის ხელმძღვანელობა დაუშვებელ აჩქარებას იჩენს ახალი სპექტაკლების ჩაბარებასა და პრემიერების დანიშვნაში, ხოლო სამხატვრო საბჭო არ იჩენს აუცილებელ პრინციპულობას და მომთხოვნელობას ახალი დადგმების შეფასებისას, კოლეგიაზე აღინიშნა და აქაც მინდა ვთქვა, რომ საქართველოს კულტურის სამინისტროს არცერთი წარმომადგენელი არ ჩამოსულა 2 სეზონის განმავლობაში ახალი სპექტაკლის მიღებისათვის და საერთოდაც, სპექტაკლზე დასასწრებლად.

სიტყვა რომ არ გავაგრძელო, მოკლედ ვიტყვი, რომ აღნიშნული და სხვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო თეატრმა უკანასკნელი მრავალი წლის განმავლობაში პირველად ვერ შეასრულა საფინანსო გეგმა. უმთავრესი მაინც რეპერტუარია. არც აქა გვაქვს თავის მოსაწონებლად საქმე. რეპერტუარში არ არის სპექტაკლები ახალგაზრდობის შრომით საქმიანობაზე, სტუდენტობაზე, საბავშვო რეპერტუარი წლების განმავლობაში შემოიფარგლება ერთი სპექტაკლით და ა. შ.

ნაკლოვანებები, რომელთა თაობაზე ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, კარგადაა ცნობილი ბათუმის თეატრის ხელმძღვანელობისათვის. ამ დღეებში თეატრის კოლექტივთან ერთად განვიხილავთ ამ პრობლემებს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს 1983 წლის 22 ივლისის დადგენილების „პროფესიული და თვითმოქმედი კოლექტივების რეპერტუარის იდეურ-მხატვრული დონის შემდგომი ამაღლების შესახებ“ შუქზე.

ისე ნუ გამიგებთ, რომ ზემოთაღნიშნული ნაკლოვანებებისათვის პირს ვბანდე ჩვენს თეატრს, მაგრამ ერთი რამ კი არის სათქმელი: აგერ უკვე სამი წელია ყოველწლიურად რეპერტუარსაც კი ისე ვადგენთ, რომ გავითვალისწინოთ მისი მრა-

ვალჯერ გადადებული რემონტი, რომელსაც, როგორც ჩანს, დაადგა საშველი და მომავალი წლიდან დაიწყება. ისევ მინდა ვთხოვო თანადგომა რესპუბლიკის მთავრობას საჭირო სარემონტო თანხის გამოყოფის საქმეში. მომავალი წლიდან თეატრი დაიწყებს „მომთაბარე ცხოვრებას“ და ვსარგებლობ რა იმით, რომ პლენუმს ესწრებიან ყველა თეატრალური ქალაქისა და რაიონის მესვეურები, ვთხოვო მათ მხარდაჭერა თეატრისათვის მუშაობის ამ მძიმე პირობებში.

ჯერ ორი წლისაც არ არის ბათუმის სახელმწიფო თოჯინების თეატრი და საკმაოდ მაღალი რეპუტაციით სარგებლობს. ამასწინათ თეატრი დაჯილდოვდა საკავშირო კულტურის სამინისტროს და სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების საპატიო სიგელით რუმინული დრამატურგიის საკავშირო ფესტივალში მონაწილეობისათვის. თეატრმა ორი წლის განმავლობაში ბევრი პრობლემა გადაწყვიტა. განსაკუთრებული მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ბატონი გივი სარჩიმელიძე, რომელიც დღიდან თეატრის დაარსებისა, გვერდში ამოუდგა მას და ამასთან თეატრს უზრდის ჯგუფს საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტში. მიუხედავად რიგი შემოქმედებითი სიძნელეებისა, თეატრმა შემოიკრიბა ახალგაზრდა ნიჭიერი სპეციალისტები.

●

მარიონეტების თეატრის ხელმძღვანელი **რევაზ გაბრიაძე** არ დაეთანხმა მომხსენებელს მარიონეტების თეატრის მუშაობის შეფასებაში, მან აღნიშნა, რომ თეატრი წარმატებით ასრულებს გეგმას, უფრო მეტიც, თეატრში თვეობით დგას რიგი ბილეთებზე, თეატრი ღებულობს წერილებს მოკავშირე რესპუბლიკებისა, თუ უცხოეთის ქალაქებიდან, ისინი თხოულობენ სპექტაკლების ნახვას.

ამავე დროს რ. გაბრიაძემ აღნიშნა, რომ მარიონეტების ახალი თეატრი გრძნობს გამუდმებულ ზრუნვას ზემდგომი პარტიული ორგანოებისა, კულტურის სამინისტროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

სიტყვა ეძლევა საქართველოს კპ ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანს **ლეილა კაკულიას.**

— მინდა უდიდესი მადლობა ვუთხრა კულტურის სამინისტროს, თეატრალურ საზოგადოებას პლენუმზე ქალაქებისა და რაიონების პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოწვევისა და მუშაობაში მონაწილეობისათვის. კარგი იქნება, თუ ტრადიციად დამკვიდრდება სეზონის შეჯამებისას პარტიული მუშაკების მონაწილეობა, დღევანდელ პლენუმზე პარტიულ მუშაკთა მონაწილეობა კი მივიჩნიოთ დასტურად იმისა, რომ როგორც არასოდეს დღეს თეატრმა ცხოვრება და ცხოვრებამ თეატრი უფრო მჭიდროდ უნდა შეკრას, თუ სადმე სიცარიელეა, ამოავსოს. საკითხების განხილვისას ასე ერთობლივი მონაწილეობით ბევრ რამეს ვისწავლით თქვენგან და არც თქვენ იქნებით ჩვენთან მჭიდრო კონტაქტით დაზარალებული.

ფოთის პარტიული ორგანიზაცია ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის ხელმძღვანელობისა და კონტროლის დარგში მუდამ ხელმძღვანელობდა ზემდგომი ორგანოების სადირექტივო დოკუმენტებით. ხოლო უკანასკნელ პერიოდში ძირითადად ვეყრდნობით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებას — საქალაქო და რაიონული თეატრების რესპუბლიკის წამყვანი კოლექტივების დონეზე აყვანის შესახებ. დადგენილების შესატყვისად დაისახა თეატრის კოლექტივის მუშაობის გაუმჯობესების ამოცანები, გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და კულტურის სამინისტროს დახმარებითა და მხარდაჭერით შ. რუსთაველ-

ლის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში შეიქმნა სტუდენტთა ჯგუფი (4 კაცი), რომლებიც 1983-84 წლების სეზონისათვის შეუდგებიან მოღვაწეობას ჩვენს თეატრში. მინდა მადლობა მოვახსენო ქალბატონ ეთერ გუგუშვილს იმ ყურადღებისათვის, რომელსაც იჩენს ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობის მიმართ. როგორც თეატრის კოლექტივის, ისე ფოთელი მაყურებლისადმი დიდი ზრუნვისა და თანადგომის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ გამოიყო დიდი ასიგნობანი და უკვე მიმდინარეობს თეატრის შენობის რეკონსტრუქცია-კეთილმოწყობის სამუშაოები, თეატრი აღიჭურვება ახალი ინვენტარ-მოწყობილობებით ასე რომ ბევრი რამ გაკეთდა საუკუნეგადაცილებული, დიდი ტრადიციის მქონე ფოთის თეატრში. აქ ტრადიცია ფრაზის სილამაზისათვის როდი ვახსენე. ფოთს, როგორც ერთ-ერთ მძლავრ სანავსადგურო და სამრეწველო ქალაქს, მართლაც, შესაფერი ტრადიციები აქვს. დიდ შემოქმედებით ტრადიციებზე ვითარდებოდა და ვითარდება ჩვენს ქალაქში სათეატრო ხელოვნება, მაყურებელთა ის აუდიტორია, რომელიც არასოდეს მოკლებია ჭეშმარიტად მაღალი ხელოვნებით აღჭურვილ სპექტაკლებს... ასე რომ ფოთი არ არის ის პერიფერია, ან პროვინცია, რომ დაბალი ან საშუალო დონით დაკმაყოფილდეს.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა და საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ჯერ კიდევ 10 წლის წინათ მიიღეს ზომები თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა მოზიდვისა და ადგილებზე დამაგრებისათვის, დაწესეს მათთვის ყოველწლიურად საბინაო ფონდის გამოყოფა. ამ გზით ბინით დაკმაყოფილებულია ყველა მსურველი.

მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო ჩვენი ქალაქის თეატრალური ცხოვრების ზოგიერთ საკითხს, რომელიც ალბათ, ტიპიურია ყველა პერიფერიული თეატრისათვის.

მინდა შევეხო თეატრში დირექტორებისა და სამხატვრო ხელმძღვანელების ხშირი ცვალებადობის მავნე პრაქტიკას. არ შევუდგები იმის მტკიცებას, თუ რა-ოდენ დიდი როლი ეკისრებათ აღნიშნულ პიროვნებებს თეატრის სწორი სამხატვრო და სამეურნეო ხელმძღვანელობის დარგში. ასეთი კადრების შერჩევას დიდი სიფრთხილითა და სიზუსტით უნდა მივუდგეთ. დღესდღეობით ერთ რაიონში მუშაობის ჩამგდები, დაბალი დონის დირექტორი, ან მთავარი რეჟისორი გადაყავთ მეორე თეატრში. საერთო ჯამში ისინი არაფერს კარგავენ, ხოლო შედეგი ის არის, რომ ქვეითდება მათი პასუხისმგებლობის გრძნობა, კოლექტივები რჩება აწეწილი და აფორიაქებული.

ჩვენი სახელოვანი რეჟისორების, მსახიობების ბიოგრაფიას დაამშვენებს ის ფაქტი, რომ მათ თითო თეატრში თითო დადგმა მაინც განახორციელონ, ერთ სპექტაკლში მაინც მიიღონ მონაწილეობა. ამ გზით ხომ იზრდება ადგილობრივი რეჟისორიც და მსახიობიც. ეს საკითხი ჩვენი ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების დოკუმენტებშიც არის აღნიშნული. ახლა სიტყვა და საქმე თეატრალურ სამმართველოზე, თეატრალურ საზოგადოებაზე. ჩვენის მხრიდან კი ყველაფერს გავაკეთებთ მუშაობის ნორმალური პირობების შესაქმნელად.

როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, პერსპექტივაში ფოთის თეატრს კარგი იმედები ესახება იმით, რომ ინსტიტუტში გვეზრდებიან პროფესიონალი მსახიობები, მაგრამ წარსულ და მიმდინარე სეზონში არ ვიყავით განებივრებული მსახიობთა ოსტატობით. ეს ძალიან აქვეითებს სპექტაკლების ხარისხს და ბუნებრივია დასწრებასაც. ამჟამად ჩვენს დასში მხოლოდ ორი უმაღლესდამთავრებულია, დიდი უმრავლესობა თვითნასწავლი და თეატრალური სასწავლებელდამთავრებული მსახიობი გვყავს. ამით იმის თქმა მინდა, რომ აკლიათ თეატრალური აღზრდა, დიდი

პროფესიონალის ხელი, ეს ხარვეზები გარკვეულად შეივსებოდა, რომ თეატრალური სამმართველო, თეატრალური საზოგადოება სისტემატურად მონაწილეობდეს დადგმების განხილვასა და ვიზირებაში. არ ავნებდა საქმეს, რომ პერიფერიულ თეატრებში ჩამოდიოდნენ კვალიფიციური თეატრმცოდნენი, სასცენო მოძრაობის, მეტყველების ოსტატობის, სპექტაკლების მუსიკალური გაფორმების და სხვა სპეციალისტები. კომპეტენტური თეატრალური მსაჯულების მონაწილეობით ორ სეზონში ერთხელ მაინც ტარდებოდეს მაყურებელთა კონფერენციები.

ასეთ ღონისძიებებს ადგილობრივი მასშტაბითაც ვატარებთ, მაგრამ მოგეხსენებათ, როგორ მტკივნეულად ღებულობენ ჩვენი თეატრები არაპროფესიონალთა რჩევა-დარიგებას.

ეს რჩევა-დარიგებანი შეეხება რეპერტუარის სწორად შერჩევას, დადგმების დონეს, მსახიობთა თამაშსა და სხვა. უარყოფითად მოქმედებდა შემოქმედებით დონეზე ისიც, რომ გასულ სეზონში ჩვენს სცენაზე იდგმებოდა ერთი რეჟისორის მიერ სხვა თეატრებში დადგმული სპექტაკლები.

პერიფერიის თეატრებზე უფრო ხშირად უნდა იბეჭდებოდეს რეცენზიები, დღესდღეობით ჩვენი თეატრის შესახებ არაფერი იწერება. თუ რამე დაიწერა, დაუმსახურებელ ქებას შეიცავს, რაც ქმნის ცალკეული რეჟისორის, თუ მსახიობის გაუმართლებელ ქედმაღლობას.. ამასთან კულტურის სამინისტროსაგან გვჭირდება ნეტი თანადგომა, ღირსეული მუშაკების მორალური წახალისების საქმეში. უკვე რამდენიმე წელია არც ერთ მსახიობს არ მინიჭებია წოდება.

გამოვთქვამ მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, კულტურის სამინისტროს, თეატრალური საზოგადოების მხარდაჭერით ქალაქის პარტიული ორგანიზაცია მომავალშიც ყველაფერს იღონებს ფოთის თეატრის შემოქმედებითი აღმავლობისათვის.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **თემურ ჩხეიძე:**

— ზოგიერთი საკითხი, რომელსაც მინდა შევეხო დღეს, აქ პლენუმზე არ წამოჭრილა. საქმე იმაშია, რომ საკითხები, რომლებიც პლენუმსა და პლენუმს შორის გროვდება, ითხოვს რაღაც გარკვეულ პასუხს. მე ლაპარაკი მაქვს ისეთ ძირეულ საკითხებზე, როგორიცაა თეატრის და დრამატურგის, პრესისა და თეატრის, მაყურებლისა და თეატრის ურთიერთობის მწვავე საკითხები. სამწუხაროდ, არ მოხერხდა, რომ რომელიმე პლენუმზე იყოს საგულდაგულო ლაპარაკი დრამატურგიის პრობლემებზე.

მთელი რიგი ქართველი დრამატურგებისა განწყობილია თეატრის მიმართ ისე, თითქოს თეატრი ყურადღებას არ აქცევს ქართულ რეპერტუარს. მე მინდა მხოლოდ მარჯანიშვილის თეატრის მაგალითი მოვიშველიო. დაახლოებით იგივე პროპორციაა ყველა თეატრში. დავიწყოთ სტატისტიკით. სტატისტიკა გარკვეულწილად მოქმედებს თეატრის ესთეტიკაზეც.

მარჯანიშვილის თეატრს ტრადიციად აქვს ქართული რეპერტუარისადმი ყურადღება. მე არა მგონია, რომ ჩვენ ამ ტრადიციას ვღალატობთ. ორნახევარი წელია ამ თეატრში ვარ და დაიდგა 14 სპექტაკლი. აქედან 9 ქართული მწერლობის საფუძველზეა შექმნილი. მე მიმაჩნია, რომ ეს არის ზუსტად ის პროპორცია, რომელიც ყველა ნორმალურმა ქართულმა სახელმწიფო თეატრმა უნდა დაიცვას. როცა მწერლობას პრეტენზია აქვს თეატრის მიმართ, უნდა იყოს კონკრეტული ლაპარაკი, ლაპარაკი უნდა იყოს თანამედროვე ქართულ პიესაზე.

დადგმული ცხრა სპექტაკლიდან სამი თანამედროვე ავტორს ეკუთვნის, დანარ-

ჩენი კლასიკაა. ქართულ თეატრში ჯერ-ოვანი ადგილი უნდა ეჭიროს ქართულ კლასიკას. როცა ლაპარაკია ქართულ პიესაზე და ქართული დრამატურგიის კლასიკაზე, ბევრი პიესა მხოლოდ ხანდაზმულობის გამო ხვდება კლასიკაში.

ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს ჩვენს თეატრში ჭარბად იყოს წარმოდგენილი ქართული კლასიკა. შეუძლებელია ქართული ეროვნული თეატრის რეპერტუარში არ იყოს: ილია ჭავჭავაძე, დავით კლდიაშვილი, ლეო ქიაჩელი, მიხეილ ჯავახიშვილი თუ სხვა ჩვენი კლასიკოსები. რა თქმა უნდა, ყველა სპექტაკლი თანაბარი დონისა არ გამოდის, ხოლო თუ ლაპარაკია თანამედროვე ქართულ პიესაზე, ჩვენ ვერ ვდგამთ იმ ღონე თანამედროვე პიესას, რამდენიც უნდა იყოს, ამაში მარტო თეატრი არ არის დამნაშავე. ან უნდა დადგა საშუალო და დაბალი დონის პიესაც კი, რომ დროთა განმავლობაში იქნებ მომძლავრდეს დრამატურგი, იქნებ უკეთესი დაწეროს, ან თავი უნდა შეიკავო. თუ დავდგით საშუალო, ან საშუალოზე დაბალი დონის პიესა იმ იმედით, იქნებ წახალისდეს და უკეთესი დაწეროსო, შედეგი ვერაფერი. სასიხარულო ვერ მივიღეთ. მომდევნო პიესა უარესი დაწერა ამ წახალისებულმა დრამატურგმა და მიიჩნევს, რომ ეს შეიძლება დაიდგას თეატრში, ამიტომ თუ თანამედროვე პიესა ელემენტარულ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს, გადავწყვიტე არ დავდგა. ამ მხრივ ბევრი შეცდომა დამიშვია მარჯანიშვილის თეატრში მოსვლამდე და შემდეგაც. საშუალო დონის მაინც უნდა იყოს თანამედროვე პიესა, წინააღმდეგ შემთხვევაში, კიდეც რომ დაიდგას, მხატვრულ მიზანს ვერ აღწევს.

პრესისა და თეატრის ურთიერთობის საკითხი. დარბაზში მყოფ პრესის მუშაკების უმრავლესობასთან, პირველ რიგში ვგულისხმობ თეატრმცოდნეებს, ასე თუ ისე კონტაქტი მაქვს. ისინი სწორად გაიგებენ, რასაც ვამბობ.

მე მიმაჩნია, რომ (თუ ცალკეულ შემთხვევებს არ ჩავთვლით) ჩვენი თეატრისადმი არის სწორი დამოკიდებულება. სწორი დამოკიდებულებაა იმის გამო, რომ იწერება როგორც დადებითი რეცენზიები, ისე მკვეთრად უარყოფითიც. ის მიმაჩნია თეატრისადმი სწორ დამოკიდებულებად როცა ყველა დაუფარავად ამბობს თავის აზრს. გულწრფელია თუ არა, ღმერთმა უწყის. როცა ყველა პროფესიონალს უნდა შეეძლოს თავისი აზრის გამოთქმა. მაგრამ ეს მარტო ჩემს მიმართ, ან მარჯანიშვილის თეატრის მიმართ ხომ არ უნდა იყოს? ყოველ შემთხვევაში მე სხვა თეატრზე კრიტიკული წერილი არ წამიკითხავს. თუ თეატრმცოდნეებს ჰგონიათ, რომ მარტო მე უნდა გამაკრიტიკონ, არ არის სწორი. საკრიტიკო სპექტაკლები მარტო მარჯანიშვილის თეატრს აქვს?

10-12 წლის განმავლობაში მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლებზე არ დაბეჭდილა უარყოფითი რეცენზიები. დღეს კი ყველა თამამად წერს ე. წ. კრიტიკულ წერილს ჩვენს სპექტაკლებზე.

მოხსენებაში ითქვა, რომ მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლები არათანაბარი დონისაა. რა თქმა უნდა, ეს ასეა. პრესაშიც რამდენჯერმე გაგვაფრთხილეს თქვენი თეატრის სპექტაკლები არათანაბარი დონისა არისო. არ არსებობს თეატრი, რომ ყველა სპექტაკლი ერთი დონის იყოს, ასევეა მარჯანიშვილის თეატრიც. ბევრი კრიტიკოსი გამოთქვამს შეშფოთებას, ხომ არ გამოდის რომ ქართველი რეჟისორები მთელი მონდომებით დგამენ კლასიკას და ნაკლები გულისყური აქვთ თანამედროვე სპექტაკლების მიმართო. მაგალითად "იშველიებენ „ოტელოს" და „რიჩარდს". პიესასაც ხომ აქვს მნიშვნელობა? ჯერ-ჯეროობით ამ პიესების ბადალი პიესები ჩვენ არ გვაქვს. ეს არათანაბრობა სპექტაკლებისა მთელ კოლექტივს აწუხებს. იყო შემთხვევები, როცა ქართველ დრამატურგთა პიესები ამოვიღეთ რეპერტუარიდან. მდარე ხარისხის

ნაწარმოებებს მომავალშიც ამოვიღებთ. მე ჩემი სპექტაკლებიც ამოვიღე რეპერტუარიდან, რათა არ დარჩენილიყო შთაბეჭდილება, თითქოს საკუთარს ვუფრთხილდებოდე.

მინდა პლენუმს მოვახსენო ერთი ფაქტის თაობაზე. გაზეთ „იზვესტიაში" უნდა დაბეჭდილიყო ანიქსტის რეცენზია „ოტელოზე". თურმე ავტორს შესთავაზეს შეეცვალა რეცენზიის ტონი. ამაზე განაწყენებულმა ანიქსტმა უკან წაიღო რეცენზია. ეს რეცენზია გადადიოდა ხელიდან ხელში, ხელმისაწვდომი გახდა დაინტერესებული პირებისათვის და მეც წამიკითხეს ტელეფონით. მიუხედავად იმისა, რომ ანიქსტი მე საკმაოდ უდიერი ტონით მიხსენებს, ხოლო ძირითადი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ გენიალურად თამაშობენ მსახიობები, მაგრამ რეჟისორმა არ დააცალა თამაშიო, მე ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ ანიქსტს რედაქციაში ისევ მიეტანა ჩემი სალანძღავი წერილი. ეს წერილი უცვლელი სახით დაიბეჭდა კიდეც გაზეთში.

ვერცერთი კრიტიკოსი ვერ იტყვის, რომ მისი კრიტიკული გამოსვლის შემდეგ მე შემეცვალოს დამოკიდებულება მისდამი, მაგრამ მეტ სიფაქიზეს, ტაქტს კი უსათუოდ მოვითხოვ. ყველა სპექტაკლში სისხლია ჩანთხეული და არ შეიძლება სპექტაკლის მოსპობა იმის გამო, რომ არ ეთანაბრება შენს მიერ ადრე შემუშავებულ თეატრალურ მოდელს. სიბეცეა, როცა კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ უნდა იყოს მხოლოდ ისეთი თეატრი, როგორიც მის მოდელს ეთანაბრება. ერთნაირი თეატრი არ არსებობს.

შემდეგ თ. ჩხეიძე ლაპარაკობს კ. მარჯანიშვილის თეატრის შენობის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

●

საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის რექტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ეთერ გუგუშვილი.

— ამასწინათ ჩატარდა უმაღლესი სკოლების რესპუბლიკური თათბირი, რომელზეც გამოვიდა ამხ. ედუარდ შევარდნაძე. თათბირზე ითქვა, რომ ყოველი გამოსვლა უნდა იყოს კონკრეტული. დღევანდელი პლენუმი სწორედ ასეთ ატმოსფეროში მიმდინარეობს. ყოველი გამომსვლელი ლაპარაკობს კონკრეტულად იმაზე, რაც აწუხებს. მეც მაწუხებს რამდენიმე საკითხი. მათ შორის გული მტკივა მსახიობებზე, მსახიობის პრობლემაზე ჩვენს თეატრში.

ჩვენი ინსტიტუტი უშვებს ჯგუფებს. ანალოგიურ მიზნობრივ ჯგუფებს, რომლებიც უნდა წავიდნენ ადგილებზე და იმუშაონ რაიონის თეატრებში, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის ასე არ ხდება. აქ იყო დასახელებული ზოგიერთი მიზეზი. უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია პირობები. ადგილებზე არავითარი პირობები არ არის შექმნილი ახალგაზრდა მსახიობის მუშაობისათვის. თუნდაც ავიღოთ უკანასკნელი მაგალითი ცხინვალის ჯგუფისა. ეს იყო შესანიშნავი ჯგუფი, რომელშიც იყვნენ ნამდვილი მოქალაქეები და მსახიობები. ესენი არიან ბრწყინვალე ახალგაზრდები. მათ ცხინვალში, არავითარი პირობა არ შეუქმნეს. სადიპლომო სპექტაკლი ითამაშეს წარმატებით, დარბაზი გაჭედილი იყო, მაგრამ რა? არც ბინები მისცეს, არც — შტატები. შტატების საკითხი ახლა თითქოს წყდება. ეს არის ერთი მაგალითი და ასეთი ბევრია.

აქ მარტო მიზნობრივ ჯგუფებზე არ არის ლაპარაკი. ვისაც საერთო კონკურსით ვიღებთ, არ არის აუცილებელი დარჩენ თბილისში. ჩვენ ვანაწილებთ ახალგაზრდებს და ვიცით ვინ რომელ თეატრში გავანაწილოთ, რომელ თეატრს რომელი კურსდამთავრებული გამოადგება. მაგრამ რადგანაც ადგილებზე პირობები არ არის, ახალგაზრდა ბრუნდება ქალაქში და ზის შეკეტილში მსახიობად რუსთაველის ან მარჯანიშვილის თეატრში. კარგავენ

ბავიანთ პროფესიას, იკარგება მსახიობი. დრამატული თეატრის მსახიობი უნდა თამაობდეს ყოველდღე, პირველი დღიდან სიცოცხლის ბოლომდე, აქ არიან ჩვენი სტუდენტები და მათ უნდა იცოდნენ ეს. ისეთი დიდი მსახიობი, როგორიც ქალბატონი ვერიკოა, როგორი გულისტკივილით გამოდის, როგორი ვნებით ლაპარაკობს. ეს ვნება კი ჩვენს ახალგაზრდებს არ გააჩნიათ, მათ ურჩევნიათ იჯდნენ უსაქმოდ თბილისის თეატრში, ვიდრე სხვაგან წავიდნენ და საქმე აკეთონ, ეს დიდი პრობლემაა. ეს ეხება უკვე კულტურის სამინისტროს, მან უნდა აკრძალოს თეატრებში ასეთი ფორმით მსახიობის მიღება, მსახიობი უნდა წავიდეს რაიონში, იმუშაოს, დღევანდელ პლენუმს ესწრებიან რაიონების პარტიული ხელმძღვანელები, და მათ მივმართავ თქვენს სულთაც არის ჩვენი თეატრის მომავალი. თითქმის ყველა თეატრში არიან ჩვენი კურსდამთავრებულები, თემურ ჩხეიძე ლაპარაკობდა, რომ გარდა მარჯანიშვილის თეატრისა, სხვას არავის აკრიტიკებენო. ვინც ესწრებოდა რესპუბლიკურ ფესტივალს, ნახავდა რაოდენ კრიტიკულად გამოდიოდნენ ჩვენი თეატრმცოდნეები და ამბობდნენ სიმართლეს.

ახლა ტენდენციაა, რომ ახალგაზრდები დანიშნონ მთავარ რეჟისორებად. ამ საქმეში დიდი სიფრთხილე გვმართებს. ყველა კურსდამთავრებულს როდი შეუძლია მთავარი რეჟისორობა. მაგალითად, ქანთარიას შეუძლია მთავარი რეჟისორობა. მას აქვს საამისო უნარი. ზოგჯერ ჩვენც უნდა შეგვეკითხოს კულტურის სამინისტრო როცა ახალგაზრდა კანდიდატურებს არჩევს. ისინი ჩვენი აღზრდილები არიან და კარგად ვიცნობთ მათს შესაძლებლობებს.

ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა კრიტიკაზე.

ჩვენში კრიტიკა არ არის პროფესია, საერთოდ არცერთი კრიტიკოსი არ არის მარტო კრიტიკოსი. მე არ ვცხოვრობ კრიტიკით. არც ერთ კრიტიკოსს არ შეუძლია იცხოვროს თავისი პროფესიით. მე კიდევ მინდა მოვიყვანო ერთი მაგალითი. „ზარია ვოსტოკაში" არ დაიბეჭდა ჩემი წერილი. კრიტიკა არ შეიძლებაო.

ასე წინ ვერ წავა ჩვენი კრიტიკა, მაგრამ კრიტიკოსმა მაინც უნდა წეროს, გული ხომ გთხოვს წერას. უამისოდ არ შეიძლება. საჭიროა ყოველდღე წერა და ვარჯიში, ერთი დღე რომ არ დავწერო, შემდეგ მიჭირს წერა. თქვენ, ახალგაზრდებო უნდა წეროთ სისტემატურად, თუ არ წერთ, დაკარგავთ პროფესიას. მე მომეწონა „თეატრალური მოამბის" ინიციატივა, რომელმაც წამოიწყო საზოგადოებრივი აზრის შესწავლა. და დამებადა კიდეც სურვილი კამათში მონაწილეობისა. ხშირად უნდა იყოს კამათი, დისკუსიები. გავიხსენოთ რა ბრძოლები იყო წინათ მწერალთა კავშირში, ამ ტრიბუნაზეც, ეს დარბაზი გაჭედილი იყო, ტარდებოდა სამდღიანი პლენუმები. ასეთი დისკუსიები ალარ არის.

●

საქართველოს კპ ხობის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ნუგზარ ნადარაია.

— ჩემთვის დიდად საამაყოა და ამავე დროს მეტად საპასუხისმგებლოც გამოვიდე თქვენს წინაშე და ამ საპატიო ტრიბუნიდან განვაცხადო, რომ ვსარგებლობ ბედნიერი შესაძლებლობით და თქვენს დღევანდელ პლენუმზე წარმოვადგენ იმ რაიონს, სადაც გულწრფელად უყვართ ქართული თეატრი.

მოგეხსენებათ, სიყვარულს კი აღმშენებლობის ზღვარი არც დროში და არც სივრცეში არ გააჩნია. სწორედ ისეთ სიყვარულს, როცა ადამიანები ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის პიერ კობახიძის სიტყვებით, რომ ვთქვათ — „გულით იხედებიან და გულითვე აღაფრთოვანებენ ერთმანეთს". გულით ხედვა კი დამემოწმებით, გულითვე დამნახავსა და გამგებს

საჭიროებს. თეატრი და მისი ჭეშმარიტი გულშემატკივარი, ობიექტური, მზრუნველი მაყურებელი, მოგებსენებათ სხვადასხვა მცნებები არ გახლავთ, ეს ერთიანი, ურთიერთგანმსაზღვრელი, ურთიერთ შემავსებელი, ჩვენი საზოგადოების დიალექტიკური განვითარების ერთიანი კატეგორიაა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ უამრავი, შთამბეჭდავი მაგალითების მოყვანა შეიძლება. ვფიქრობ ამ თვალსაზრისით მეტად სასარგებლოა ხობის პარტიული ორგანიზაციისა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების და მისი წარმმართველი, ამინდის შემქმნელი, შემოქმედებითი კოლექტივების: თბილისის ოპერისა და ბალეტის, შოთა რუსთაველის, კოტე მარჯანიშვილის სახ. თეატრების, სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის თეატრის, რუსთავისა და ფოთის სახელმწიფო თეატრების, ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კოლექტივთან შემოქმედებითი კავშირები და გულწრფელი მეგობრობა. დასახელებული შემოქმედებითი კოლექტივები ჩვენთან ვალის მოსახდელად კი არ ჩამოვიდნენ, არამედ თავიანთი საუკეთესო ნაწარმოებებით გვგვახარეს, თანაც, როგორც წესი, სპექტაკლები იდგმება მხოლოდ ძირითადი შემადგენლობით. სხვაგვარად არც შეიძლება. მაყურებელს განსაკუთრებით რაიონის მშრომელებს, ახალგაზრდობას, რომლებსაც დედაქალაქის მცხოვრებლებთან შედარებით მოკრძალებული შესაძლებლობები გააჩნიათ ადგილზე ეზიარონ ჭეშმარიტ ხელოვნებას, პროფესიონალური შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით მხოლოდ საუკეთესო უნდა ვაჩვენოთ. სოფლის შესაშურ სიმყუდროვეში ახალგაზრდობა დედანმი კითხულობს მსოფლიო ლიტერატურის ქმნილებებს. დღევანდელი ახალგაზრდები კი ხვალ მეცნიერები, მწერლები, გამომგონებლები, ხელოვნების ოსტატები უნდა გახდნენ, ამიტომ შედარებით გაიოლებულად არ უნდა წარმოვიდგინოთ ჩვენი საერთო საყოველთაო ფუნქციები და მოვალეობები მათ სულიერ ფორმირებაში. არ არის დასაშვები და მთელის პირდაპირობით უნდა ითქვას, რომ სამწუხაროდ არის შემთხვევები, როდესაც ცნობილი მეცნიერი, თუ ხელოვნების ცნობილი საქვეყნოდ აღიარებული ოსტატი სრულად და საბოლოოდ ვერ ერკვევა მკვეთრ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციებში, პატრიოტულ, ინტერნაციონალურ მოვალეობებში, ადვილად ექცევა სხვადასხვა მავნე პროპაგანდის გავლენის ქვეშ და თავისდა უნებლიედ ქმნის გართულებებს, პრობლემებს. ამიტომაც საბჭოთა მოქალაქის, ჩვენი საზოგადოების აქტიური წევრის, პიროვნების ფორმირება ადრეულ ასაკშივე უნდა მოხდეს, რაშიც სხვა ფაქტორებთან ერთად თეატრს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ნიშანდობლივად მესახება ის გარემოება, რომ პლენუმ ასეთ ავტორიტეტულ დონეზე შეიკრიბა სწორედ წელს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმების შემდეგ, შეიკრიბა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის, რუსი და ქართველი ერების დამოყვრების უდიდესი ზეიმის წინ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა თვითეულ ჩვენგანს თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიური მუშაობის, მოქმედების გზაც და ვრცელი პროგრამაც დაგვისახა. პლენუმზე ამხანაგმა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იდეოლოგიური მუშაობა თავი და თავია ჩვენი საქმიანობისა. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ სწორედ იდეოლოგიური მუშაობის ავკარგზეა დამოკიდებული მუშის, კოლმეურნის შრომის ხარისხი. მუშამ, კოლმეურნემ უნდა იცოდეს თუ რისთვის და ვისთვის იღწვის და სხვა ვინ, თუ არა ხელოვნებამ უნდა ჩააგონოს მას მამულის, ქვეყნის სამსახურის წმინდათაწმინდა იდეა? ამდენად სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა აბსოლუ-

ტური სიზუსტით წარმოადგინა, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს იდეოლოგიური მუშაობის სწორად დაყენებასა და წარმართვას. მოგესსენებათ იდეოლოგიური მუშაობა მრავალ ფორმას მოიცავს — მათში თეატრს, მწერლობასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ისმის კითხვა — როგორი უნდა იყოს თეატრალური ცხოვრება იმ ქალაქისა, რაიონისა სადაც არ არის სახალხო თეატრი. გვაქვს კი უფლება თუნდაც ასეთ სიტუაციაში თეატრის გარეშე დავტოვოთ მოსახლეობა? რა თქმა უნდა არა! სწორედ ამიტომ არის აუცილებელი მოსახლეობის თეატრალური მომსახურეობის ფორმების მუდმივი ძიება და გაუმჯობესება. ამ თვალსაზრისით მისასალმებელია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სპეციალური დადგენილება თბილისგარე თეატრების საარაიონთაშორისო თეატრებად გარდაქმნის თაობაზე. დადგენილება გვავალებს პარტიულ ორგანიზაციებს ვიზრუნოთ მოსახლეობის თეატრალური მომსახურეობის გაუმჯობესებაზე. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, პირადად ამხანაგ ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძის მიერ ამ ბოლო წლებში საქართველოსა და მისი ყოველი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე მზრუნველობის მკაფიო დასტურია ხობის რაიონის აღმავლობა. ხობში ყველა პირობაა შექმნილი მოსახლეობის თეატრალური მომსახურეობისათვის ჩვენ გვაქვს შესანიშნავი კულტურის სასახლე, რომელშიც შეგვიძლია მივიღოთ რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ნებისმიერი თეატრი. გვაქვს ოლიმპიური სტანდარტით ნაგები საცურაო სპორტული კომპლექსი „იმედი", სპორტდარბაზი, ქორწინების სახლი, საზამთრო და საზაფხულო ორ დარბაზიანი ფართოეკრანიანი კინოთეატრი, სტადიონი, ტენისის კორტები, მრავალი მუზეუმი. მალე დასრულდება 240 საწოლიანი საავადმყოფო-კომპლექსის და სხვა სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობა. დამერწმუნებით ჩვენ, წმინდათა წმინდა მოვალეობაა ჩამოთვლილი ობიექტები ცარიელი არ დავტოვოთ. ხობის კულტურის სასახლის სიცოცხლეზე, სუნთქვაზე ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ. შემოქმედებითმა ურთიერთ სასარგებლო ორმხრივი გეგმების პრაქტიკულმა რეალიზაციამ უკვე მოგვცა პირველი შედეგები, ხობში შეიქმნა და ფუნქციონირებს: ქართული ცეკვისა და სიმღერის სტუდია, ევროპული, სამეჯლისო ცეკვების სტუდია, 1200-მდე ბავშვი ჩაეწერა და წვრთნას გადის ცურვაში, პიერ კობახიძის სამშობლოში ყალიბდება სახალხო თეატრის დასი.

ჩვენს რაიონს უკვე 12 წლის მეგობრობა აკავშირებს უკრაინის ვალინის ოლქის გოროხოვოს რაიონთან. წელს ჩვენი დელეგაციის მორიგი ჩასვლა გოროხოვოში დაემთხვა რუსთაველის თეატრის გასტროლებს ქ. ლვოვში. რუსთაველის თეატრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან სპექტაკლ „რიჩარდ III-ით" დაუზარებლად მიიღო მონაწილეობა უკრაინაში ჩვენთან დამეგობრებული რაიონის გოროხოვოსა და ხობის მშრომელთა შესანიშნავ ინტერნაციონალურ ზეიმში. არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ რუსთაველის თეატრის ასეთი მხარში ამოდგომა გახლავთ ლოგიკური შედეგი ჩვენს რესპუბლიკაში იდეოლოგიური მუშაობის სწორად წარმართვისა. მე მინდა ამ ტრიბუნიდან გულითადი მადლობა ვუთხრა თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმს, რომელმაც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების მხარდაჭერით — გადაწყვიტა 1984 წელს 14 იანვარს ქართული თეატრის დღესასწაული ხობში აღნიშნოს. დამერწმუნებით, ასეთი თანადგომა ერთმანეთის გულით ასეთი ხედვა უფრო საინტერესოს და შემოქმედებითს ხდის ჩვენს მუშაობას. ასეთი ურთიერთობა კიდევ უფრო ამშვენიერებს ჩვენი შემოქმედები-

თი ინტელიგენციის, მეჩაიისა, თუ მუშის შრომას, ცხოვრებას. წელს მეგობრობის ხელშეკრულება გავაფორმეთ ლიტვის რესპუბლიკის კრეგინგას რაიონთან. გაიდო ხიდი ხობსა და კრეგინგას შორის. ლიტველი ამხანაგები აღაფრთოვანა ჩვენმა შემოქმედებითმა ურთიერთობებმა უკრაინის რესპუბლიკის გოროხოვოს რაიონთან და გადაწყვიტეს ქართული თეატრის დღესასწაულზე 14 იანვარს ხობში ჩამოვიდნენ და თან დაპატიჟონ პანევეჟისის დრამატული თეატრი დონატას ბახიონისის მეთაურობით. გპირდებით, რომ თქვენს ჩვენდამი გულწრფელ სიმპატიებს შევინარჩუნებთ და არ შევრცხვებით, რადგან წლების განმავლობაში პირადად ვხელმძღვანელობ და მომავალშიც, ვიდრე რაიკომის მდივნის საპატიო მოვალეობა დამეკისრება ორგანიზაციულ-პარტიულ. ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობასთან ერთად ვუხელმძღვანელებ კულტურისა და სპორტის განვითარებას რაიონში.

ყოველივე ამასთან ერთად გთხოვთ 1984 წლიდან ხობი დამვებული იქნას სახალხო თეატრის რეჟისორისა და პიერ კობახიძის სახლ-მუზეუმის მეთვალყურის შტატი.

მზადა ვართ თანამშრომლობისათვის, რადგან გვწამს, რომ რაიონის სოფლის მშრომელებსაც ისევე სჭირდებათ მაღალმხატვრული ხელოვნება, როგორც დედაქალაქს.

●

სოხუმის კ. გამსახურდიას სახ. სახელმწიფო თეატრის მთავარი რეჟისორი და დირექტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი გოგი ჟავთარაძე:

— მსგავსი პლენუმების დროს გაურკვეველ მდგომარეობაში ვართ, კონკრეტულად არ ვიცით რა გზით წარიმართება ჩვენი მსჯელობა, ზოგიერთი საკითხი კულტურის სამინისტროს მსჯელობის საგანია, ზოგი — პლენუმისა, მე მაწუხებს მსახიობის პრობლემა საერთოდ. აქ შეიძლება ფეხბურთის მაგალითი მოვიყვანოთ. ფეხბურთის დონე ამაღლდა და ვარსკვლავები დაიკარგა. ასევეა თეატრში, თეატრის დონე ამაღლდა. როლები? ამის მაგალითები გვაქვს.

ამ ბოლო წლებ ი პირველ რიგში ვახსენებთ სპექტაკლებს და არა მსახიობებს. მაშინ როცა ვახსენებდით თინიბეგს, ლუარსაბს, ახლა „ოტელოს" და „რიჩარდ მესამეს" ვამბობთ, ცოტაა, შექმნილი სახეების მარაგი. აქ შეიძლება ერთმანეთს გამოვუტუდეთ და ვთქვათ — თეატრში ფორმის ძიებით უფრო ვართ დაკავებული, ვიდრე პრობლემით, სატკივარის გადმოცემით, ამიტომ ხდება, როცა სპექტაკლი არ გინახავს და სხვა გეკითხება, როგორიაო, ეუბნებით ჩვეულებრივიაო, ე. ი. ფარდა დახურულია. ან ლია, ლაპარაკია ხერხებზე და არა იმ სათქმელზე, რომლითაც ველაპარაკებით აუდიტორიას და რომელიც ჩვენი ტკივილის გამომსახველი იქნება.

მე ვერსად ვერ ამოვიკითხე ქართული ფენომენის საკითხი ხელოვნებაში. მისი ახსნა ვერ ვნახე ვერც სოციოლოგიურად, ეროც ფსიქოლოგიურად. მე ბრატისლავაში დავდგი სპექტაკლი და ამბობდნენ, რომ 25 წელია ასეთი სპექტაკლი არ უნახავთ, არ ვიცი რას დგამდნენ ისინი და მე რა დავდგი. „მარადისობის კანონი" თავისთავად დუმბაძისეული სამყაროა და მისი სლოვაკიაში დამდგმელი რეჟისორი მარტო ჩემში კი არ იყო, არამედ სტუდიუას, ჩხეიძის რეჟისურადანაც გადმოვიდა, ხდება კონცენტრაცია ძალების, გამოცდილების.

მე არ შემიძლია არ ვილაპარაკო მწერლობისა და თეატრის ურთიერთობის საკითხზე. ჩვენ არა გვაქვს სასურველი ურთიერთობა. მწერლობა არ მოდის თეატრში, როცა ამას ვამბობ, არ ვგულისხმობ მხოლოდ სპექტაკლებზე სიარულს, არამედ ვგულისხმობ მწერლის, როგორც

მეგობრის, თანამშრომლის მოსვლას. ყველას ახსოვს რა ურთიერთობა ჰქონდა „დურუჯს“ მწერლობასთან. მაშინ თეატრის გვერდით იდგნენ ქართველი მწერლები და შედეგიც სასიხარულო იყო. ჩვენ კი ერთმანეთის ბრალდებებით ვართ გართული. რასაკვირველია, თეატრსაც მეტი ყურადღება მართებს დღევანდელი ქართული დრამატურგიის მიმართ. ზოგი პიესა კარგად დაიდგმება და ზოგიც — ცუდად, მთავარია კეთილად ვიყოთ განწყობილი ერთმანეთის მიმართ.

მე მინდა ერთ საკითხს შევეხო, რომელსაც თეატრმცოდნეთა და კრიტიკოსთა რეჟისორებისადმი, სპექტაკლებისადმი ურთიერთობას დავარქმევდი.

როდესაც თუმანიშვილის სპექტაკლზე იწერება წერილი, მე ვიცი როგორი იქნება, ჩხეიძეზე ვიცი როგორი იქნება. ლორთქიფანიძეზეც ვიცი როგორი იქნება. იქმნება გარკვეული ჯგუფი ქომაგებისა, რაღაც მოდელი. თეატრში ერთი აღიარებული სპექტაკლი გახდება ხოლმე თეატრის დროშა და წინამძღვარი. დიდ წლების განმავლობაში ამ სპექტაკლის სტილისტიკა იქცევა საზომად, სპექტაკლის შეფასების ეტალონად. მწერლობაში კი ასე არ არის. მწერლობაში გვყავს დუმბაძეც, ამირეჯიბიც, რეზო ინანიშვილიც — ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული მწერლები. ასევე უნდა იყოს თეატრშიც.

არა მარტო მწერლები, თეატრებიც არ იცნობენ სხვა თეატრების შემოქმედებას. ჩვენ ფესტივალებზეც კი არა გვაქვს ერთმანეთის ნახვის საშუალება. ჩავალთ ფესტივალზე, ვითამაშებთ სპექტაკლს და ადგილზე რჩებიან არა მსახიობები, რომ სხვათა ნახელავი ნახონ, არამედ დირექტორი და დეკორაცია.

აქ დაისვა საკითხი ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილების თაობაზე. მე შემიძლია მოვიყვანო ბულგარეთის მაგალითი. იქ არის საყოველთაო წესი, რომ ახალგაზრდა ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მიდის პროვინციაში არავითარი შეღავათი არ არსებობს. შეიძლება იგი მოიწვიონ სოფიის თეატრში ამა თუ იმ როლზე, პერიფერიაში ორი წლით წასვლა კი სავალდებულოა.

ჩვენ თეატრალურ ინსტიტუტთან შევიმუშავეთ ღონისძიება, რომ სოხუმის ქართული თეატრი იყოს სარეჟისორო ფაკულტეტის ბაზა. სამმა ახალგაზრდამ უკვე დადგა სპექტაკლი. მე მეგონა რომელიმე მათგანი მაინც დარჩებოდა ჩვენთან, ისე კარგად მიიღო თეატრმა. სოხუმის თეატრს ახასიათებს სითბო, ახალგაზრდა შემოქმედთა დალოცვა, მაგრამ ისინი მაინც არ დარჩნენ, ბინაც კი შევთავაზეთ, მე არ მესმის რა ხდება. მე მიჭირს რეჟისორის გარეშე მუშაობა, ფაქტიურად მე მარტო ვარ. შესანიშნავ ყურადღებას იჩენს ადგილობრივი ხელისუფლება თეატრის მიმართ. ძალიან დაინტერესებულნი არიან ამხანაგები: ადლეიბა, ქეცბაია, უბილავა, სპექტაკლის შემდეგ რჩებიან ჩვენთან, არჩევენ საკითხს, ყველაფრის საქმის კურსში არიან. ყველა საშუალება არის, რომ კადრები მოვამზადოთ, ჩავრთოთ მუშაობაში.

არ გვაქვს კავშირი აკადემიის დეკორატიულ ფაკულტეტთან. მზადა ვარ ახალგაზრდებს სადიპლომო სპექტაკლები დავადგმევინო თეატრში. მოვიდეს ახალგაზრდა რეჟისორი ახალგაზრდა მხატვართან ერთად, გააჩაღონ ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობა და დარწმუნებული ვარ შედეგს კარგს მივიღებთ.

ახალგაზრდობას წინა თაობის დაფასების მაგალითიც უნდა მივცეთ, ბევრი მოღვაწე დაუფასებლად წავიდა ჩვენგან. თითქმის არაფერს ვწერთ ყუშიტაშვილზე, ნუთუ არ შეიძლება დაიწეროს მასზე კარგი წიგნი, მოეწყოს სატელევიზიო გადაცემები. შეიძლება. ჩვენ კი არ ვაკეთებთ. რატომ?

●

საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი ლეილა გიწაძე:

— მომხსენებელმაც და კამათში გამომსვლელებმაც ისე მკაცრად ილაპარაკეს ჭიათურის თეატრზე, რომ გამოსვლაც მიჭირს და თავის მართლებაც.

წელს აკაკი წერეთლის სახ. ჭიათურის სახელმწიფო თეატრი თავის 89-ე სეზონს განახლებულ შენობაში დაიწყებს, 5 წელია ბუდეაშლილი დასი სპექტაკლებს მართავს ქალაქის კულტურის სახლებსა და სასოფლო კლუბებში, რამაც გარკვეული გავლენა იქონია მის შემოქმედებით დონეზე, მაგრამ მიუხედავად ამ სიძნელისა, თეატრმა მაინც ბევრჯერ გააბარა მაყურებელი კარგი სპექტაკლით და შეძლო მონაწილეობა მიეღო წელს თბილისში გამართულ რესპუბლიკურ თეატრალურ ფესტივალში. მსახიობების წინაშე თავს ვერ ვიმართლებთ, თეატრის შენობის რეკონსტრუქცია გაჭიანურდა, თუმცა, ობიექტური მიზეზების გამო. ჭირდა როგორც დაფინანსება (იგი საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჭარბი შემოსავლებით გაკეთდა) ასევე მასალების შოვნა, მაგრამ ყველა სიძნელე კულტურის სამინისტროს დახმარებით დაძლეულია და შემოქმედებითი დასის სამუშაო პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდა თეატრის ახალ შენობაში.

მაგრამ ჩვენს თეატრს მეორე, საკმაოდ დიდი პრობლემაც გააჩნია, რეჟისორების ხშირი ცვლა. თეატრი დღესაც რეჟისორების გარეშეა. დამდგმელი რეჟისორი ავადმყოფობის გამო, უკვე რამდენიმე თვეა გამოაკლდა დასს, მთავარი რეჟისორი არა გვყავს, ყველაზე მეტად ამ საქმეში ქალაქის ხელმძღვანელები ვგრძნობთ თავს დამნაშავედ, რადგან ვერ შევძელით იმ კონფლიქტური სიტუაციების აღმოფხვრა, რომელიც წარმოიშობა ხოლმე დასსა და რეჟისორს შორის, რაც ხდება რეჟისორის თეატრიდან წასვლის მიზეზი, მაგრამ საჭიროა ამ საკითხის მოგვარებაში უფრო მეტი კონტაქტები კულტურის სამინისტროსთან და მისი საქმიანი დახმარება.

მიუხედავად იმისა, რომ დასი ყოველწლიურად ივსება ახალგაზრდებით, ადგილი მაინც საკმაოდ ასაკოვანია. მსახიობთა თითქმის ნახევარს ხანდაზმულობის გამო აღარ შესწევს ძალა სრულად წარმოადგინოს თავისი შესაძლებლობა და ზოგჯერ ესეც უწყობს ხელს არა მარტო რეჟისორებთან, ახალგაზრდა მსახიობებთანაც კი კონფლიქტური სიტუაციების შექმნას, მით უფრო, რომ ხანდაზმულ მსახიობებს მატერიალური შესაძლებლობა (ხელფასები მაქვს მხედველობაში) გაცილებით უფრო უკეთესი აქვთ, ვიდრე ახალგაზრდებს.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა თეატრალური ინსტიტუტის ხელმძღვანელობას დიდი მადლობა ვუთხრა დახმარებისათვის. ყოველწლიურად ეძლევა ჩვენს ქალაქს რამდენიმე ადგილი თეატრალურ ინსტიტუტში, წელს 5 ახალგაზრდა მოეწყო, უკანასკნელ ორ წელიწადში 5 კურსდამთავრებული ნიჭიერი ახალგაზრდა შეემატა ჩვენი თეატრის დასს. მაქსიმალურად ვცდილობთ მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, მაგრამ ამ საქმეშიც კულტურის სამინისტროს დახმარება გვჭირდება, ისევ ხელფასების მოწესრიგების მხრივ.

თეატრის განახლებული შენობა დღეს იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ უფრო მაღალი იყოს ჩვენი თეატრის შემოქმედებითი დონე. ამ დარბაზში ჩვენი რესპუბლიკის ბევრი სახელმოხვეჭილი ხელოვანია, გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ ჩვენი ქალაქის თეატრალურ ცხოვრებაში სპექტაკლების დადგმით, თუ სპექტაკლებში ჩვენს მსახიობებთან ერთად მთავარი როლის შესრულებით. ეს ხელს შეუწყობს მაღაროელთა ქალაქის თეატრის შემოქმედების დახვეწას, წინსვლას

ქალაქის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ყოველწლიურად შემოდგომაზე მოიწვიოს ქალაქში ის თეატრები, რო-

მლებიც დგამენ დ. კლდიაშვილის ნაწარმოებებს დაწესოს პრიზები საუკეთესო სპექტაკლებისა, თუ როლების საუკეთესოდ შემსრულებელი მსახიობებისათვის.

წელს 15 ოქტომბერს ქალაქში პირველად ტარდება საქალაქო ზეიმი „კვალი ნათელი". იგი ქალაქის სახელოვან ადამიანებს ეძღვნება. განსაზღვრულია ამ დღეს გაიხსნას ქალაქში საზოგადოებრივ საწყისებზე თეატრალური მუზეუმი. ჩვენი თეატრის ერთ-ერთი დამაარსებლის გიორგი ნუცუბიძის სახლში.

●

სიტყვა ეძლევა საქართველოს თეატრალური საზოგადოების სამხრეთ ოსეთის განყოფილების თავმჯდომარეს ზელიხან ჩაბიევას.

— განვლილი თეატრალური სეზონი სამხრეთ ოსეთის კ. ხეთაგუროვის სახ. სახელმწიფო თეატრის ქართული და ოსური დასისათვის მნიშვნელოვანი გახლდათ. ამ სეზონში ოსურ დასში განხორციელდა: ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონი" ახალგაზრდა ოსი დრამატურგის ა. ჟაჟიევის „თხილნარი გზაფხულზე არ აყვავდა", ოსი დრამატურგის ვ. ვალეევის „ალანთა დედოფალი ზარინა", გრუშასის „ჯაზი, სიყვარული და ეშმაკი", ქართულ დასში: ვაისერმანის და დარიონის „ლამანჩელი" მიხ. ჯავახიშვილის „მუსუსი", რ. ბერიძის „სიბედისწერო ნაბიჯი".

გასულ სეზონში როგორც ოსური, ასევე ქართული დასი შეივსო ახალგაზრდობით, ესენი არიან შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი. პ. ჯუსოევი, კ. თაუგაზოვი, დ. ელიოზიშვილი, შ. სამადაშვილი, ი. მახნიაშვილი, დ. ხიზანიშვილი.

ოსურ დასში ამ სეზონში კარგად გამოჩნდა ფ ხარებოვის რეჟისორული ნამუშევრები, რომელმაც მოსკოვის სამხატვრო თეატრში გაიარა სტაჟირება. ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ ოსურ დასში იმ რვა ახალგაზრდის მოსვლა, რომლებმაც თეატრალურ ინსტიტუტში ა. სურმავას კლასში მიიღეს აქტიორული ზრდა.

ყველას გულს ახარებს ახალი თაობის შემოქმედებითი მომძლავრება ჩვენს თეატრში, მათი სწრაფვა მაღალპროფესიულობისაკენ. ც. ბიჩენოვა საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი გახდა. მის მიერ შესრულებული ბეატრიჩე („სიყვარული, ჯაზი და ეშმაკი") ქეთევანი („თხილნარი არ აყვავდა გზაფხულზე") დაიმახსოვრა მაყურებელმა. ასევე საინტერესოდ შეასრულეს თავიანთი როლები კაჟაევმა, ვანეევმა, ჯუსოევმა, თადეევმა, მაკიევმა, ხიზანიშვილმა, ბეპიევამ.

ორივე დასის მიმდინარე რეპერტუარი 28 მოქმედი სპექტაკლისაგან შესდგება. აქედან 13 ქართული დასისა, 15 ოსურის.

გეგმის მიხედვით თითოეულმა დასმა 4-4 სპექტაკლი უნდა განახორციელოს. ოსურმა დასმა გასულ სეზონში 6 სპექტაკლი განახორციელა, ქართულმა კი 4.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება და მისი განყოფილება სამხრეთ ოსეთში ხშირად მართავენ მთელ რიგ ღონისძიებებს, რაც ემსახურება თეატრის იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებას. ასეთი ღონისძიებანი ბევრი ჩატარდა მიმდინარე სეზონშიც.

ცხინვალის თეატრის ორივე დასს ძალუძს წარმატებით შეასრულოს მის წინამე დასმული ამოცანები. საწარმოო-საფინანსო გეგმა, მაგრამ ამ საქმეში მახელს უშლის მოძველებული ტრანსპორტი, რომელიც ფაქტიურად უვარგისია იმისთვის, რომ მოემსახუროს თეატრის 220 გასვლით სპექტაკლს, ყოველწლიურ გასტროლებს. აუცილებელია პრესის დახმარება, თითქმის არაფერი იწერება ჩვენს სპექტაკლებზე, არ გვაქვს რეცენზიები, არ გვაქვს ფოტოები სპექტაკლებისა, მაშ, რაღა რჩება? არაფერი? მიუხედავად ამისა, კ. ხეთაგუროვის სახ. თეატრის ორივე დასი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ არ ჩამორჩეს დროს, გამოხატოს თანამედროვეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული თეატრის შემდგომი აყვავებისათვის

(საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. გ. ნ. ენუქიძის სიტყვა)

— ამხანაგებო!

დღეს საკმაოდ საგულისხმო საუბარი გვქონდა და კარგად გამოიკვეთა პლენუმის მთავარი არსი, მისი მიზანდასახულება — დღევანდელი პლენუმი მოწვეულია იმისათვის, რომ ვიფიქროთ ჩვენი თეატრის ხვალინდელ დღეზე, დავსახოთ მისი შემოქმედებითი განვითარების, შემდგომი აღმავლობის გზები, რადგან მიუხედავად თავისი მაღალი დონისა, კულტურისა, ქართული თეატრალური ხელოვნება თხოულობს ყოველდღიურ ზრუნვას, ყოველდღიურ ფიქრს, რომლის გარეშე არ არსებობს შემდგომი წინსვლა.

დღეს აქ ლაპარაკი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის როლსა და მნიშვნელობაზე. ჩვენი პარტიის ისტორიაში ივნისის პლენუმი შევა, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი პლენუმი იმ მიმართულებით, რომ იდეოლოგიურ მუშაობას უფრო პრაქტიკულად, კონკრეტული თვალსაზრისით შევხედოთ. ივნისის პლენუმმა მასშტაბურად დააყენა იდეოლოგიური მუშაობის ცხოვრებასთან დაახლოების საკითხი და იდეოლოგიური დარგის მუშაკებს მოუწოდა უფრო მეტად დავუახლოვდეთ ცხოვრებას, ვიყოთ უფრო კონკრეტულნი და აქტიურნი. იყო პერიოდი, როცა იდეოლოგიური მუშაობა ფასდებოდა იმის მიხედვით, თუ რამდენი და რაოდენ ეფექტური ღონისძიება ჩატარდა. დღეს ჩვენი საქმიანობა ფასდება იმის მიხედვით, თუ როგორი პრაქტიკული შედეგი გამოიღო ამათუიმ ღონისძიებამ. ამიტომ ჩვენი საქმიანობა მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ ცხოვრებისეულ პრობლემებს, იმ დიდ ამოცანებს, რომლებიც დგას იდეოლოგიური ფრონტის წინაშე. ცხადია, ყველაფერი ეს თეატრალურ ხელოვნებასაც ეხება.

უმაღლესი სკოლების მუშაკთა აქტივის კრებაზე თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. ე. შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუ კი ჩვენ ვლაპარაკობთ რომელიმე პრობლემის იდეოლოგიურ უზრუნველყოფაზე დიდი როლი და ადგილი უნდა მივანიჭოთ ხელოვნებას, მართლაცდა, ვერავითარი ბეჭდვითი პროდუქცია ვერ შეცვლის ხელოვნებას, თუ გვინდა ვიმოქმედოთ ადამიანის გრძნობაზე. ამ მოსაზრების დასტურად შეიძლებოდა უამრავი მაგალითის მოშველიება. ჩვენი დღევანდელი შეხვედრის მიზანიც ის არის, რომ თეატრალური ხელოვნება, თეატრალური ცხოვრება მთლიანად ჩავაყენოთ იმ იდეალების სამსახურში, რომლისთვისაც ვიბრძვით. ამით იმის თქმა როდი მინდა, თითქოს ჩვენი თეატრალური ხე-

ლოვნება შორს იყოს ცხოვრებისაგან — პირიქით, იგი ცხოვრების მხარდამხარ იბრძვის.

ზემოთ აღვნიშნე და კვლავ ვიმეორებ — დღეს ქართული თეატრალური ხელოვნება ჩვენს გვერდით არის, თანამედროვე ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნება ძალიან მაღალ დონეზეა. მთელ რიგ სხვა მომენტებთან ერთად ამას ამტკიცებს ჩვენი საზოგადოებრიობის დამოკიდებულება თეატრალური ხელოვნებისადმი, ის პრესა, რომელიც არსებობს რესპუბლიკაში და მის გარეთ, არა მარტო კავშირის, არამედ მსოფლიო მასშტაბით. ეს მიგვაჩნია უდიდეს დამსახურებად ქართული თეატრალური ხელოვნებისა.

თქვენ იცით, რომ ქართულმა კინომ მსოფლიო სარბიელზე დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. ამასთან ერთად გამარჯვებად მიიჩნევა სწორედ ის გარემოებაც, რომ თეატრალური ხელოვნება ასე მტკიცედ დაიკავებს თავის ადგილს უცხოელ მაყურებელთა შორის, გახდება ესოდენ პოპულარული. ყოველი თქვენგანისათვის გასაგებია, თუ რაოდენ რთულია გაიტანო ეროვნული თეატრალური ხელოვნება საზღვარგარეთ. თუ მშობლიური ენით დაიპყრობ სხვა ერის მაყურებელს, დიდი მოღვაწე ხარ. სწორედ ესაა ქართული თეატრის დიდი გამარჯვება!

დღეს ჩვენში ბევრი რამ კეთდება წარსულის მემკვიდრეობის ასათვისებლად. ამიტომაც უნდა ავარიდოთ თავი კლასიკის, ისტორიული თემისა, თუ თანამედროვეობის ხელოვნურ გათიშვას. დიახ, სცენაზე უნდა იყოს თანამედროვეობა, დღევანდელობა, მაგრამ ამავე დროს თამამად შეიძლება კლასიკის და ისტორიის თანამედროვე თვალთახედვით გაშუქება. სწორედ ის არის ხელოვანის ყველაზე დიდი ნიჭი და უნარი, რომ თქვა შენი სათქმელი და ამ სათქმელში მოაქციო დროის პრობლემები, შეეხმიანო თანამედროვეობას მართალი, გულწრფელი სიტყვით. მიუხედავად ასეთი ტერიტორიული სიმცირისა, არა ვგონებ მსოფლიოს შესაბამისი ტერიტორიის რომელიმე ქვეყანაში ჰქონდეთ 32 სახელმწიფო თეატრი. 32 სახელმწიფო თეატრი ცოტა როდია. ოცდამეთორმეტე გახლავთ მარიონეტების თეატრი, რომელმაც სიხალისე, სიახლე შემოიტანა თეატრალურ ცხოვრებაში.

ძალიან კარგი მოხსენებით გამოვიდა დღეს აქ ია გამრეკელი. ყველა მტკივნეულ საკითხს შეეხო, მაგრამ ერთი გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ — უნდა წავახალისოთ სიახლე, არ უნდა ვატკინოთ გული იმ ხელოვანს, რომელიც ახალ ცხოვრებას იწყებს. უფრო ტაქტიანი მიდგომა გვმართებს ყველას მიმართ და განსაკუთრებით ისეთი ხელოვანის მიმართ, რომლის ნიჭიერება უდავოა. ხელოვნებას წინ ვერ წავწევთ, თუ მხარი არ დავუჭირეთ ნიჭიერებას, ტალანტს, ნამდვილ შემოქმედს. ალბათ, რ. გაბრიაძის მიმართაც შეიძლებოდა ცოტა უფრო ფრთხილად გვეთქვა. ამიტომაც მგონია არავითარი თავმოყვარეობის შელახვა არ ექნება, თუ კულტურის სამინისტროს კოლეგია სპეციალურად განიხილავს ამ თეატრის საკითხს დახმარების მიზნით და რაც შესაძლებელია, დაეხმარება კიდეც.

დღეს საქართველოში 32 თეატრი იღწვის, ამათგან ზოგი კარგია, ზოგი — საშუალო, მაგრამ მთავარია, რომ ჩვენ საინტერესო თეატრალური ცხოვრება გვაქვს. არ იყო შემთხვევითი, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება საქალაქო და რაიონული თეატრების თაობაზე, რომელზეც დღეს აქ გვქონდა საუბარი. ჩვენ გვქონდა სასახელო თეატრები რაიონებში. სამაგალითოდ თუნდაც ჭიათურის თეატრს გავიხსენებდი. კარგად გვახსოვს ამ თეატრის სპექტაკლები. ერთ დროს აქ, ამ თეატრში მოღვაწეობდნენ პავლე ფრანგიშვილი, მიხეილ ვაშაძე, გრიგოლ ტყაბლაძე და სხვები. დღეს კი სულ სხვა სი-

ტუაციაა და ჩვენი ვალია მოვსპოთ ასეთი განსხვავება ქალაქსა და პერიფერიას შორის, პერიფერიული თეატრების საშემსრულებლო კულტურის ამაღლების გზით. ცხოვრება წინ მიდის და თეატრმაც უნდა მისდიოს მას. ეს ნორმალური ვითარებაა ჩვენი ქვეყნისათვის, ხალხისათვის. ჩვენ მეოცე საუკუნის დასასრულს ვუახლოვდებით, ჩვენს ახალგაზრდობას დიდი ინფორმაცია აქვს ცხოვრების ყველა სფეროში და ჩვენც თეატრის ბედზე მეტი პასუხისმგებლობით უნდა ვიფიქროთ.

ეთერ გუგუშვილმა სამართლიანად აღნიშნა: მთავარი რეჟისორი, გარდა იმისა, რომ რეჟისორია. ამავე დროს ორგანიზატორი უნდა იყოსო, სხვაგვარად არ გამოვა მისი მუშაობა. სწორედ მისი ნიჭიერების, განათლებულობის, ტაქტიანობის მეოხებით იქმნება თეატრში შემოქმედებითი ატმოსფერო. ეს ატმოსფერო კი წარმატების საწინდარია. მან, მთავარმა რეჟისორმა არ უნდა დაივიწყოს, რომ მსახიობის, რეჟისორის განთავისუფლება, პენსიაზე გასვლა დიდი დრამაცაა შემოქმედი კაცისათვის, რომელმაც მთელი ცხოვრება თეატრს შესწირა. ერთი ხელის დაკვრით ყველაფრის გაკეთება არ შეიძლება, ამას უნდა დიდი ტაქტი, მოთმინება და თუ თეატრში სუფევს უნდობლობის, ურთიერთლანძღვის ატმოსფერო, არაფერი მნიშვნელოვანი არ შეიქმნება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სარაიონო თეატრების მუშაობას და მას თვალთახედვის არედან არ გავუშვებთ.

დღეს აქ გამოვიდა ქალბატონი ვერიკო ანჯაფარიძე. მის სიტყვაში გამოსჭვივოდა დიდი სიყვარული და ტკივილიც წარსული წლების გამო. ეს ტკივილი ბუნებრივია ისეთი ხელოვანისათვის, რომელმაც ამდენი წელი გაატარა სცენაზე. ამავე დროს მან თქვა, რომ თეატრს სჭირდება დიდი სიყვარული, თავდადება. თეატრს უნდა მიეცეო მთელი არსებით. ალბათ, ეს ისეთი აუდიტორიისათვის როგორიც დღეს აქ შეიკრიბა, არსებითი, მთავარი და ძირითადია, მაგრამ მეც დავსძენდი — სწორედ ეს სიყვარული და თავდადება უნდა ახასიათებდეთ თეატრის მოღვაწეთ და მაშინ მეტ გამარჯვებას მივაღწევთ.

ამასწინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წინაშე ანგარიშით წარსდგა ამხ. ი. გამრეკელი. ამ სხდომაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. შევარდნაძემ ამოცანად დაგვისახა, რომ თეატრალური სეზონის შემაჯამებელი პლენუმები ყოველწლიურად გაიმართოს ცენტრალური კომიტეტის მდივნის, ან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დონეზე, შეუნელებელი დახმარება გავუწიოთ თეატრებს, სისტემატურად განვიხილოთ მათი მდგომარეობა. მომავალი სეზონის ბოლოს გვექნება საგულდაგულო საუბარი თქვენთან ერთად, მოვიწვევთ იმ პარტიულ ამხანაგებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ თეატრებს და შევეცდებით, რაც ჩვენგან არის დამოკიდებული, ყველაფერი გაკეთდეს ისე, როგორც საჭიროა, მაგრამ ჩვენგან დახმარებას არავითარი ეფექტი არ ექნება, თუ თეატრალურმა საზოგადოებამ, კულტურის სამინისტრომ უფრო კონკრეტული და საგნობრივი არ გახადეს ხელმძღვანელობა თეატრების მიმართ, ხოლო თეატრალურმა მოღვაწეებმა მეტი პრინციპულობა, თანმიმდევრულობა და ობიექტურობა არ გამოიჩინეს. ამასწინათ ერთ საკითხთან დაკავშირებით პირადად გვქონდა საუბარი ერთ ხელოვანთან. იგი არ წავიდა დათმობაზე და მე ვფიქრობ, სწორადაც მოიქცა. გამოიჩინა პრინციპულობა თავისი თავისადმი, ამავე დროს მომთხოვნელობა და საღი დამოკიდებულება თეატრის საქმისადმი, მაგრამ ამის უნარი ყველას არა აქვს. იგი დიდი მოაზროვნე და დიდი ინტელექტის მქონე თეატრალური მოღვაწეა და ეს

მას ამშვენებს. ავიღოთ თუნდაც თემურ ჩხეიძის დამოკიდებულება ანიქსტის რეცენზიის მიმართ. ამ რეცენზიის გამოქვეყნებას, ამ კრიტიკას რეჟისორი სასიამოვნოდ შეხვდა, მას აქვს საკუთარი პრინციპები, საკუთარი დამოკიდებულება ხელოვნებისადმი. ყველა რომ ასე სჯიდეს, შედეგიც გაცილებით უკეთესი გვექნება. ყალბ გრძნობებზე თამაში სასიკეთოს არაფერს მოუტანს არც ხელოვნებას და არც — მაყურებელს. არ არის დასამალი, ზოგჯერ ვქმნით ისეთ პრობლემებს, რომლებიც არ არიან არსებითი, საჭირბოროტო.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი ცდილობს ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებას. ჩვენ არავის არ ვზღუდავთ, არც იმის მსურველნი ვართ, რომ რაიმე ყალიბებში მოვაქციოთ შემოქმედებითი შრომა. სრული საშუალება აქვს მწერალს, რეჟისორს, მსახიობს მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის პოზიციებიდან გამოავლინოს თავისი შემოქმედებითი უნარი, პოზიცია. ასეთი დამოკიდებულება ხელოვნებისადმი თავის დადებით შედეგებსაც გვაძლევს — ხელოვნების თითქმის ყველა დარგში დღეს ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები. გავიხსენოთ თუნდაც გუშინწინდელი დღე — თბილისში გაიხსნა ცოდნის წყაროს, დედაენის ძეგლი, რომელიც ელგუჯა ამაშუკელმა შექმნა. გავიხსენოთ ქუთაისში დიდების მემორიალი, გიგა ლორთქიფანიძის მიერ შესანიშნავად დადგმული „წიგნი ფიცისა", რომელმაც, მართლაც, სწორად, მხატვრულად, გააზრებულად წარმოუდგინა ჩვენს მაყურებელს ტრაქტატის წინანდელი საქართველოს მძიმე დღეები და ბოლოს ქართული საბჭოთა თეატრის მიღწევები საერთაშორისო ასპარეზზე.

არ არსებობს არცერთი უბანი სამეურნეო, საბჭოთა ხელმძღვანელობისა, სადაც პატივს არ სცემდნენ ჩვენი ხელოვნების მოღვაწეებს. ამხ. შევარდნაძე, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველი ხელმძღვანელი ცდილობენ ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ქართული ხელოვნების მუშაკების როგორც საყოფაცხოვრებო, ისე შემოქმედებითი შრომის პირობების გაუმჯობესებას.

მეორე საკითხი, რომელზეც გულისტკივილით ილაპარაკეს პლენუმზე, ეს არის თეატრალური კრიტიკის საკითხი. ჩვენ ახლა ისეთ ვითარებაში ვცხოვრობთ, რომ ყველას აქვს საშუალება პირუთვნელად გამოთქვას თავისი აზრი, კრიტიკას არავინ ახშობს. პირიქით — პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური დადგენილება მიიღო ლიტერატურის და მხატვრული კრიტიკის შემდგომი განვითარების თაობაზე და მოუწოდა ყოველ მწერალს, ხელოვანს, კრიტიკოსს, რომ განავითაროს და დაამკვიდროს ჯანსაღი კრიტიკა.

მაგრამ ამ მედალს მეორე მხარეც აქვს — იყო დრო, როცა კრიტიკა ღუპავდა დიდ ხელოვანთ, ნიჭიერებას ძირშივე სპობდა. კრიტიკა უნდა იყოს ობიექტური, ხელოვნების სიყვარულით განმსჭვალული, კრიტიკა უნდა იყოს ხალხისა და პარტიის ინტერესებიდან გამომდინარე. ხოლო რაც შეეხება პირადული ინტერესებით განპირობებულ კრიტიკას, ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგი ვართ ამგვარი რეციდივებისა. ამასწინათ გავეცანი ერთ-ერთი თეატრალური მოღვაწის წერილს, სადაც ჩვენს რეჟისორებს ბრალად ედებად ათასი რამე. კიდევ კარგი, წერილს აქვს მინაწერი, სადაც ავტორი ერთ-ერთ მსახიობს შესჩივლებს: თქვენმა რეჟისორმა შვილმა ჩემი პიესა არ დადგაო. ე. ი. მისი კრიტიკის მამოძრავებელი ძალა გახლდათ არა ობიექტურობა, არამედ პირადი განაწყენება. წყენა კი, დამერწმუნებით, ცუდი მეგობარია.

შემოქმედებითი ურთიერთობა პრინციპულ ნიადაგზე უნდა იყოს დაფუძნე-

ბული. ის, რაც ძალდატანებით, ან შეღავათებით ხდება, არ იღებს სასურველ ნაყოფს. ამიტომ შემოქმედებითი ურთიერთობის პრობლემებს სწორედ თეატრალური საზოგადოება უნდა წარმართავდეს. ამ საკითხში მან თავისი სიტყვა უნდა თქვას. ამასწინათ ეთერ გუგუშვილმა თქვა მარჯანიშვილის თეატრის „ოტელოზე" კრიტიკული წერილი არ დამიბეჭდესო. არ არის ეს სწორი. უნდა იბეჭდებოდეს ამგვარი ხასიათის წერილები. სტურუაზე ხომ დავბეჭდეთ წერილი! ან რა მოხდა თემურ ჩხეიძე რომ გააკრიტიკეს? თუ კრიტიკა გამომდინარეობს საქმის ინტერესებიდან, ზიანს არ მოიტანს. თეატრალური საზოგადოება კი სწორედ შემოქმედებითი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ქმნიდეს აზრს თეატრალურ პროცესებზე. აქ მეორე მხარეც არის — ზოგჯერ გვაფრთხობს ინერცია როცა კრიტიკის გამო ხალხი ერთმანეთს მტრად ეჭცეოდა. ჩვენ კეთილსასურველი ზეგავლენა უნდა ვიქონიოთ რეჟისორისა და დრამატურგის, აქედან გამომდინარე მწერლობისა და თეატრის ურთიერთობაზე. ისეთი დრამატურგიული ნაწარმოები, როგორიც დროს სჭირდება, დროის ტენდენციებს წარმოაჩენს, უცებ არ იბადება. ამიტომ განუწყვეტელი შემოქმედებითი კავშირი უფრო მომგებიანია როგორც თეატრისათვის, ისე დრამატურგიისათვის. დრამატურგიაში ნაყოფიერად მუშაობს თამაზ ჭილაძე, მოდის ახალგაზრდა დრამატურგების თაობა, იმათ უნდა დავეხმაროთ, ხელი მივაშველოთ. კოლეგიალური შრომით უნდა მივაღწიოთ, რომ შევქმნათ მნიშვნელოვანი, დიდი ეღერადობის ნაწარმოებები. ჭლასიკას, ისტორიულ თემაზე დადგმულ სპექტაკლებს დიდი პატივისცემით ვეპყრობით. ამაში დარწმუნდებით ჩვენი რეპერტუარი რომ ნახოთ, მაგრამ ამავე დროს ძალიან გვჭირდება დღევანდელი დღის ამსახველი სპექტაკლები, სადაც სწორად იქნება გააზრებული თანამედროვეობა, დღევანდელობა, ის ცხოვრებისეული ვითარება, რაც ჩვენს ყოველდღიურობაში შეინიშნება. ის გლობალური პრობლემები, რომლებიც დღევანდელი მსოფლიოს წინაშე დგას, გვავალებს, რომ საბჭოთა ხელოვნებამ ასახოს თანამედროვეობა, ჩვენი ხალხის ყოფა და სწორი ორიენტაცია მისცეს მაყურებელს. ამ საკითხზე, ალბათ, ყველა თეატრს, ყველა ხელოვანს სჭირდება დიდი და მეტად სერიოზული მუშაობა და აქ თეატრის და ტელევიზიის ურთიერთობის საკითხიც წამოიჭრება.

მე კარგად ვიცნობ საქართველოს ტელევიზიის თეატრალურ რედაქციას. მე მათთან მითანამშრომლია და ვიცი, რომ თეატრზე შეყვარებული ადამიანები არიან იქ, მაგრამ კიდევ უფრო მეტად გააზრებული მუშაობა სჭირდება ტელევიზიის თეატრალურ რედაქციას. ზოგჯერ ზომიერებას ვერ ვიცავთ. საქმე კი მოითხოვს, რომ ემოციებმა არ გაგვიტაცოს, გონივრულად უნდა მივუდგეთ ყველა ამოცანის გადაჭრას, ყველაფერი უნდა იყოს გათვალისწინებული. თეატრალურ რედაქციაში უნდა ისახებოდეს მთელი რესპუბლიკის თეატრალური ცხოვრება და არა მხოლოდ მარჯანიშვილის, რუსთაველის და გრიბოედოვის სახელობის თეატრებისა. საქართველოს ტელევიზიამ უნდა აჩვენოს სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, რესპუბლიკის სხვა ქალაქების თეატრების ცხოვრება. ვინ უნდა მოუაროს მათ, თუ არა ჩვენ?

გოგი ქავთარაძემ აქ სოხუმის თეატრის დაჯილდოების საკითხი წამოჭრა. სოხუმის ქართული თეატრი ისეთი ნაბიჯებით მიდის წინ, რომ უსათუოდ დაჯილდოვდება. ჩვენ სტიმული უნდა მივცეთ ადამიანებს. ჯერ დავაჯილდოვეთ აფხაზური თეატრი, სტიმული მივეცით თეატრს, რომელიც თავის ხალხს ემსახურება. რაც უფრო მეტი მეგობარი გვეყოლება გვერდში, რაც უფრო ახლოს გვეყოლება

ადამიანები, მით უფრო გამარჯვებული იქნება ჩვენი რესპუბლიკა. გოგი ქავთარაძეს დიდი დამსახურება მიუძღვის თეატრის წინაშე — მივიდა თუ არა ხოსუმის ქართულ თეატრში ხელმძღვანელად, კარგი ატმოსფერო შექმნა თეატრის ირგვლივ. გვიხარია, სოხუმის თეატრში მისვლა. ამ თეატრის წინსვლაში გოგი ქავთარაძის დიდი პირადი დამსახურებაცაა. დასიც სხვანაირი გვეჩვენება და გარემოც, რომელიც აქ არის. ვიცით, რომ ამ თეატრში დარბაზი ყოველთვის სავსეა. ისიც მშვენიერი ფაქტი იყო, რომ აფხაზურმა თეატრმა დადგა „მთვარის მოტაცება", ქართულმა თეატრმა კი — „დიდოსტატის მარჯვენა". ეს ეროვნებათა შორის კულტურული ურთიერთობის ძალიან კარგი გაცვლაა. ამაზე დიდი შემეცნება არ არსებობს. ასე უნდა ვიმუშაოთ სხვა სფეროებშიც. ჩვენ ძალიან დიდი კულტურისა და ისტორიის მქონე ხალხი ვართ, ამ ისტორიას და კულტურას კი გაფრთხილება უნდა და არა მარტო ტრაბახი, რომ მდიდარი კულტურის ერი ვართ, ჩვენი დღევანდელი დონით უნდა დავამტკიცოთ, დიდი კულტურული წარსული. ეს, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ვიშრომებთ.

ერთგვარად სასაყვედუროც გვაქვს: უსაშველოდ გაჭიანურდა სომხური თეატრის რემონტი. ის დროზე უნდა დავამთავროთ. აქ მოხსენებაში ითქვა, რომ მუსიკალური კომედიის თეატრში ფონოგრამით წავიდა სპექტაკლი. გულდასაწყვეტი ფაქტია. თეატრი თეატრია და ესტრადა არასოდეს არ უნდა გახდეს. როგორც კი თეატრის შემოქმედებაში გაჩნდება სიყალბის ელემენტები, იგი მაყურებელს დაკარგავს.

მესამე საკითხი, რომელზეც მინდა გავამახვილო ყურადღება, შემდეგი გახლავთ — მოხსენებაში აღინიშნა, რომ 32 თეატრიდან მხოლოდ 17 თეატრმა შეასრულა ფინანსური გეგმა. ეს ძალიან ცუდი ტენდენციაა. აქ არიან რაიკომის მდივნები, კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები. მოვიფიქროთ ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. არ უნდა ვიყოთ მხოლოდ აბონემენტების იმედზე, უფრო ხშირად უნდა გავიტანოთ ჩვენი ხელოვნება ხალხში, გვქონდეს შეხვედრები, დისკუსიები, დისპუტები. ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია პრესას. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მხატვრულმა კრიტიკამ კვლავ დაიჭიროს წამყვანი პოზიციები.

აქ ჩვენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს სხდომა ვახსენეთ, სადაც აზრი გამოთქვეს ამხნაგებმა: ოთარ ჩერქეზიამ, ოთარ თაქთაქიშვილმა და ფინანსთა მინისტრმა დემურ დვალიშვილმა. ისინი შეიმუშავებენ ღონისძიებებს თეატრების ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დღევანდელი პლენუმი კარგად ჩატარდა. შესანიშნავი შესავალი სიტყვა წარმოსთქვა საზოგადოების თავმჯდომარემ დიმიტრი ალექსიძემ. საქმიანი მოხსენება გააკეთა ია გამრეკელმა, თითქმის ყველა გამოსვლაში იგრძნობოდა სიყვარული შემოქმედებითი შრომისადმი, სიყვარული თეატრისადმი, სამშობლოსადმი და სურვილი, რომ შემდგომ უკეთ წარიმართოს შემოქმედებითი შრომა.

გისურვებთ ახალ გამარჯვებებს თქვენს მომავალ საქმიანობაში.

ნადია შალუტაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდმნიშვნელოვანი შენაძენი

ქართული თეატრმცოდნეობა არც თუ ისე დიდი ხნისაა, მაგრამ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე მიკვლეული და შესწავლილია ჩვენი თეატრის ისტორიის ბევრი ღირსშესანიშნავი მოვლენა, ბევრი თეატრალური მოღვაწის ცხოვრება და ნამოღვაწარი. ქართული თეატრის სათავეების შესწავლასა და მეცნიერულ კვლევაში პროფ. დ. ჯანელიძეს დიდი დამსახურება მიუძღვის, მაგრამ ჩვენი ერის თეატრალურ ცხოვრებაში ბევრი რამ მაინც ზედაპირულად არის შესწავლილი, არა ვართ ღრმად ჩახედულნი მთელ რიგ მოვლენებში, ამ რთულ, ხშირად მტკივნეული პროცესების ჩასახვა-განვითარებაში, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ყოველგვარი წინსვლა.

ყოველივე ამის გამო, თითოეული ახალი წიგნი ქართული თეატრის ისტორიიდან არა მარტო სპეციალისტთა, არამედ თეატრის ყველა თაყვანისმცემელთა ცხოველ ინტერესს იწვევს. ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამომცემლობის მიერ გამოშვებული ახალი წიგნი ვასილ კიკნაძის სქელტანიანი ნაშრომი „ქართული რეჟისურის ისტორიის ნარკვევები".

ვასილ კიკნაძეს, როგორც კეთილსინდისიერ, ქართული კულტურისათვის თავდადებულ მკვლევარს, მეცნიერს, პედაგოგსა და მოღვაწეს ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს. მისი შრომები — „დავით კლდიაშვილის თეატრი", „ქართველი რეჟისორები", „სივრცე თეატრისა", „თეატრალური ძიებანი" და სხვა, არა მარტო ცნობილია, არამედ კეთილი კვალი დააჩნიეს ჩვენს თეატრმცოდნეობას.

ვასილ კიკნაძის ნაყოფიერი მოღვაწეობის თავსაწინდარი მარტო თეატრის ისტორიის ფაქტების ძირის-ძირობამდე შესწავლაში როდია, იგი იმ მკვლევართა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც შესასწავლი საკითხის ერუდირებულ ცოდნას, მკვლევარის მიუდგომლობას და მაღალ მეცნიერულ ობიექტურობას ამჟღავნებენ.

„ქართული რეჟისურის ისტორიის ნარკვევების" შექმნისას მეცნიერს ჩატარებული აქვს უდიდესი, შრომატევადი სამუშაოები: არქივებსა და ბიბლიოთეკებში უამრავი ფაქტია შეკრებილ-დამოწმებული. მკვლევარი ფაქტიურად გაუკვალავი გზით მიდიოდა, რადგან ქართული რეჟისურის ისტორია მანამდე თავიდან ბოლომდე არავის შეუსწავლია. რასაკვირველია, ჩვენ ხელთა გვაქვს ცალკეული, მნიშვნელოვანი მონოგრაფიული ნაშრომები ამა თუ იმ ცნობილი რეჟისორის შესახებ, შესწავლილია რეჟისურის ცალკეული საკითხები (უფრო საბჭოთა პერიოდისა), მაგრამ შრომა, რომელშიც ნაჩვენები იქნებოდა ქართული რეჟისურის განვითარების მთლიანი პროცესი მისი არსებობის მანძილზე, — პირველად შეიქმნა და ამ მხრივ ვასილ კიკნაძის დამსახურება უდაოდ დასაფასებელია.

შრომის სათაურს რომ დავხედოთ, შეიძლება ზოგს კიდეც ეჩოთიროს — სად იყო თეატრი და სად უნდა ყოფილიყო რეჟისურაო, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული წიგნის ღირსებაც სწორედ იმაშია, რომ იგი არა მარტო ჩვენი თეატრის ისტორიულ წარსულს დასტრიალებს, არამედ გვარწმუნებს როგორ ჩაისახა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარდა სპექტაკლის შემქმნელის, ორგანიზატორის როლი, პროფესია, რომელსაც მხოლოდ XIX საუკუნეში ეწოდა რეჟისორი.

ვასილ კიკნაძის წიგნის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მასში ნათლად ჩანს არა მარტო ქართული თეატრის ისტორიის ღრმა ცოდნა, არამედ მსოფლიო თეატრების, რუსული და სხვა ხალხთა თეატრების ისტორიის პროცესებში წვდომა, ამიტომაცაა, რომ ხშირად წიგნის ავტორი ასე გაბედულად, თავისუფლად მიმართავს პარალელებს, ქართული თეატრის ამა თუ იმ ღირსშესანიშნავ მოვლენას მიუჩენს კუთვნილ ადგილს მსოფლიო თეატრის განვითარებაში.

წიგნის შესავალშივე, იხილავს-რა მსოფლიო რეჟისურის განვითარების ეტაპებს, ავტორი აანალიზებს ე. წ. „ავტორთა რეჟისურას", „მსახიობთა რეჟისურას", მოჰყავს შექსპირის, მოლიერის, გოლდონის, გოგოლის, ოსტროვსკის, სარა ბერნარის, შჩეპკინის, ლენსკის, კომისარჟევსკაიასა და სხვა თეატრალურ მოღვაწეთა მაგალითები, რომელთაც ავტორი მოხერხებულად მიუსადაგებს ქართულ თეატრში მიმდინარე მოვლენებს გ. ერისთავისა და ა. ცაგარელის, ვ. აბაშიძისა და ლ. მესხიშვილის, კ. მესხისა და ვ. გუნიას, დ. კლდიაშვილისა და შ. დადიანის შემოქმედებით ძიებებს...

ვ. კიკნაძე ნათლივ გვაჩვენებს, როგორც კულტურის ყველა დარგში, ასევე რეჟისურის განვითარების საკითხებშიც რომ საქართველო არ ყოფილა პროვინცია. შესაძლოა, მსოფლიო მნიშვნელობის დიდი მოვლენები სადღაც სხვაგან ყალიბდებოდნენ, მაგრამ ჩვენი მოღვაწენი ფეხდაფეხ მისდევდნენ ახალი კულტურული მოძრაობის ყოველ გამონათებას, ხარბად ითვისებდნენ იმას, რაც თავისთავად ახლებურად ეგულებოდათ, უარყოფდნენ უცხოსა და მიუღებელს.

წიგნში ნათლადაა გამოვლენილი დიდი შემოქმედებითი კატაკლიზმების მნიშვნელობა, ამასთან ისიცაა თვალნათლივ ნაჩვენები, რომ ქართული თეატრის მოღვაწენი არასოდეს ყოფილან ბრმა მიმბაძველნი, ყოველთვის შემოქმედებითად ითვისებდნენ ახალს, საკუთარ ეროვნულ წისქვილში ატრიალებდნენ მას.

ვასილ კიკნაძე უაღრესად საინტერესოდ, თითქმის მიკროსკოპული სიზუსტით ეძიებს ქართულ ხალხურ საწყისებში რეჟისურის, „სპექტაკლის დირიჟორის" ჩასახვის პირველ ნიშნებს. აანალიზებს ყოველ ფაქტს, რამეთუ „რეჟისურა თეატრის წიაღში ჩაისახა და შემდეგ მოხდა მისი თანდათანობითი პროფესიონალიზაცია".

შრომაში დაწვრილებითაა განხილული XVIII-XIX საუკუნეების ქართული თეატრალური ცხოვრების შინაგანი პროცესები, ის ურთიერთობანი, რომელნიც ამდიდრებდნენ მას.

შრომაში ჩინებულადაა განხილული აღმოსავლურ და ევროპულ ტენდენციათა ჭიდილი, შინაგანი ბრძოლა, რომელიც წინ უსწრებდა გიორგი ერისთავის რეფორმებს, მისი როგორც დრამატურგის, თეატრის ორგანიზატორისა და რეჟისორის დიდმნიშვნელოვან მოღვაწეობას. დაკვირვებული ანალიზისა და განსჯის შედეგად, ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ „ძველ ქართულ თეატრში არ იყო რეჟისორული ხელოვნება, მაგრამ იყო განვითარებადი რეჟისურის საწყისები, რომელმაც ფორმირების ერთობ ხანგრძლივი ევოლუცია განიცადა" (გვ. 42).

წიგნის მეორე თავში ვასილ კიკნაძე დაწვრილებით იხილავს აღდგენილი ქართული თეატრის ცხოვრებას, ძიებებს თეორიისა და პრაქტიკის ყველა დარგში. აღნიშნავს-რა ქართული რეჟისურის განვითარების გზებს, იგი სამართლიანად ასკ-

ვნის, რომ ქართულმა თეატრმაც იგივე გზა განვლო, რაც რუსულმა და ევროპულმა თეატრებმა, ამიტომაც სავსებით მომზადდა ნიადაგი ახალი აღმავლობისთვის. „რეჟისურის განვითარების შინაგან უწყვეტ დინებას, — წერს ავტორი, — ლოგიკურად მივყევართ თვისობრივ ნახტომამდე. იმდენად ძლიერი აღმოჩნდა XIX საუკუნის ბიძგი, რომ მალე რეჟისურის ორბიტაში მოექცა მთელი ქართული თეატრალური სამყარო“ (გვ. 46).

ვ. კიკნაძე თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ქართული თეატრის მოღვაწენი საკუთარი, პრაქტიკული გამოცდილებიდან ხშირად მიდიოდნენ დასკვნებამდე, აღმოჩენებამდე, რასაც მიაღწიეს დიდმა ევროპელმა და რუსმა თეატრალურმა მოღვაწეებმა. რომ გადავხედოთ ვ. აბაშიძის, ვ. გუნიას, კ. მესხის წერილებს, ბევრი რამ გვენიშნება მ. შჩეპკინის, კ. სტანისლავსკის და სხვათა ნაზრევიდან.

ქართული თეატრალური ხელოვნების დიდოსტატები სრულიად დამოუკიდებლად მიდიოდნენ ყველა თეატრისათვის საერთო დასკვნებამდე — ყველა აღიარებდა რეპეტიციის მნიშვნელობას, რეპერტუარის მაღალიდეურობისათვის ბრძოლის აუცილებლობას, ანსამბლურობას, „სიმართლით თამაშს“ სცენაზე, თეატრალური ეთიკის დაცვას...

წიგნის ავტორი გვაჩვენებს აზრთა შეჯახებებს, ჭიდილს, შეხედულებათა სხვაობას, იმ რთულ პროცესებს, რომლებშიც ყალიბდებოდნენ ქართველი რეჟისორები, სპექტაკლის ორგანიზატორები, პედაგოგები, ქართული სცენის ვარსკვლავები.

წიგნში ნათლადაა წარმოჩენილი პროფესიული რეჟისურის შექმნისთვის ბრძოლის პროცესები, „მსახიობთა თეატრის“ დამცველთა წინააღმდეგობა, მათი რეჟისორის „დიქტატურის“ წინააღმდეგ აღზევება.

წიგნში ფართოდაა განხილული ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, კ. მესხის, ვ. აბაშიძის, ვ. გუნიას, ლ. მესხიშვილისა და სხვათა ნაზრევი წარმოდგენის ანსამბლურობის, დიალოგის „წარმოების წესის“, რეპეტიციის მნიშვნელობის, რეპერტუარის შერჩევის, სცენოგრაფიის როლის, თეატრალური ეთიკის საკითხებზე. ხაზგასმულია ის აზრი, რომ ქართული კულტურის მოღვაწენი ფეხდაფეხ მისდევდნენ ყოველგვარ გარდაქმნებს, რომ ჯერ კიდევ „ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა თითქმის ყოველმხრივ განიხილეს რეჟისურის სფეროსთან დაკავშირებული პრობლემები“ (გვ. 51).

ავტორი გვაჩვენებს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული რეჟისურის ცვლას, რეალისტური ნაკადის მძლავრ განმტკიცებას, იხილავს-რა ამ პერიოდის მრავალპლანიან პროცესებს, მიდის დასკვნამდე, რომ გასული საუკუნის თეატრმა ნაყოფიერი ნიადაგი შეუმზადა რეჟისორულ ხელოვნებას, ხოლო XX საუკუნის პირველ ათწლეულში მოხდა რეჟისურის, როგორც ხელოვნების დამოუკიდებელი პროფესიის ფორმირება, მისი ახალ ხარისხში ამაღლება.

წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი XX საუკუნის დასაწყისის ქართულ თეატრს, იმ რთულ პროცესებს, რომლებშიც ყალიბდებოდა ახალი ტიპის ქართული რეჟისურა. მეცნიერული დამაჯერებლობითაა ნაჩვენები სამხატვრო თეატრის როლი ქართული თეატრის ჩამოყალიბებაში. წიგნის ავტორი არ გაურბის ღრმა კონფლიქტებში შეჭრას, ნათლად გვაჩვენებს იმ სიძნელეებს, რომლებიც სამხატვრო თეატრის ქართველ მიმდევრებს ეღობებოდა.

წიგნში მშვენივრადაა განხილული ა. წუწუნავას, ვ. შალიკაშვილის, მ. ქორელის, ა. ფალავას, კ. ანდრონიკაშვილის მოღვაწეობა, მათი ორგანიზაციული და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოქმედებითი მუშაობა, ბრძოლა რეჟისურის როლის საბოლოო აღიარებისათვის, ფსიქოლოგიური თეატრის პრინციპების დამკვიდრებისათვის.

აღნიშნავს-რა ამ თაობის რეჟისორთა დიდ დამსახურებას, ვ. კიკნაძე ასკვნის, „აუცილებელ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ გაცილებით უფრო საინტერესო აღმოჩნდა ქართული პროფესიული რეჟისურის სათავე, ვიდრე ამას ადრე ფიქრობდნენ. ჩვენ მუდამ მადლიერებით უნდა მოვიგონოთ ის თაობები, რომლებმაც ქართული რეჟისურა გაათავისუფლეს აქტიორთა მეურვეობისგან და საფუძველი ჩაუყარეს მის დამოუკიდებლობას" (გვ. 99).

წიგნში უხვად არის მოტანილი საინტერესო მასალა — ამ წლებში მოღვაწე დრამატურგთა, კრიტიკოსთა წერილები, ის კამათი და შემოქმედებითი ჭიდილი, რომლის წიაღშიც უნდა შექმნილიყო ახალი თეატრი. ვ. კიკნაძე მკვლევარის პატიოსნებითა და სიზუსტით იხილავს ყოველი მოწინააღმდეგე მხარის აზრს, ახაბუთებს და ნათლად გვიჩვენებს შინაგან ბრძოლას, ახალი თეატრალური ესთეტიკის წარმოჩენას.

რადგან XX საუკუნის პირველი ორი ათწლეულის რეჟისურაში გაბატონდა „სულიერი რეალიზმის" ტენდენცია, რომლისგან განსხვავებული პოზიცია ეჭირა სანდრო ახმეტელს, შრომაში იმთავითვე, სათავეშია მინიშნებული ორ მხარეს შორის არსებული წინააღმდეგობანი. ვ. კიკნაძის წიგნის დიდი ღირსება ის არის, რომ მან არცერთ მოღვაწეს, არცერთ რეჟისორს არ დაუკარგა ღვაწლი, დაწვრილებით და პატივისცემით აღნიშნა ყოველი მათგანის დამსახურება, ამიტომაა ასეთი ინტერესით რომ იკითხება სტრიქონები, რომლებშიც განხილულია XX საუკუნის დასაწყისის ყველა ქართველ რეჟისორთა, თეატრალურ მოღვაწეთა ნაამაგარი.

ვ. კიკნაძე დიდის რუდუნებით, დაკვირვებით განიხილავს სანდრო ახმეტელის პირველ ნაბიჯებს რეჟისურაში, „ქართული რეჟისურის კლასიკოსის" — კ. მარჯანიშვილის მიერ ჩატარებულ ქართული თეატრის რეფორმას.

აღსანიშნავია, რომ ვ. კიკნაძემ საბოლოოდ უარყო აზრი იმის შესახებ, რომ კ. მარჯანიშვილი ქართულ თეატრში მოვიდა ცარიელ ადგილზე, წიგნის ავტორი თვალნათლივ გვიჩვენებს იმ დიდ ტრადიციას, იმ მომზადებულ ნიადაგს, რომელზეც აღმოცენდა კ. მარჯანიშვილის ახალი დროის რეჟისურა, რომელიც დაგვირგვინდა მისი შედევრით — „ფუენტე ოვეხუნა".

კ. მარჯანიშვილის რეჟისურაზე ბევრი დაიწერა, ბევრი ითქვა, მაგრამ იგი როგორც ყველა დიდი ხელოვანი, დაუშრეტელია.

ვ. კიკნაძე გვაჩვენებს ევროპული კულტურის სინთეზს ქართულ კულტურასთან, რომელიც კ. მარჯანიშვილის შემოქმედებაში აღინიშნა. სარეცენზიო წიგნში დეტალურადაა განხილული კ. მარჯანიშვილის მოღვაწეობის ყველა ეტაპი, მისი კავშირი „დურუჯთან", ძიებანი თანამედროვეობასთან, რევოლუციური რეპერტუარის დადგენა, პირველი სპექტაკლები, გამარჯვებები. დასაფასებელია, რომ ვ. კიკნაძე მთელი შრომის მანძილზე არ იხევს უკან ამა თუ იმ კონფლიქტური სიტუაციის განხილვისას, არ გაურბის ობიექტურ ანალიზს, გაბედულად აღნიშნავს ამა თუ იმ ხელოვანის ნაკლს, მარცხს, მიზეზებს. მიუდგომლად განიხილავს იგი კ. მარჯანიშვილის წასვლას რუსთაველის თეატრიდან, იმ კონფლიქტურ სიტუაციებს, რომლებმაც განაპირობეს მისი განხეთქილება ახმეტელთან.

ვ. კიკნაძეს სამართლიანად მიაჩნია, რომ ორი დიდი ხელოვანის უთანხმოება ატარებდა არა პირადულ, არამედ შემოქმედებით ხასიათს. „მტკივნეული" ადგილების განხილვისას, მკვლევარს ახასიათებს ტაქტის იშვიათი გრძნობა. ავტორი

არავის ემხრობა, იგი მეცნიერულად განიხილავს იმ რთულ პროცესს, რომელიც წარმოშობდა კონფლიქტებს. ავტორი გვერდს უვლის ყოველივე პირადულს, გაურ- ბის მემუარისტთა მიკერძოებულ მსჯელობებს, ცდილობს თავისი ღირსეული ადგ- ილი მიუჩინოს ყოველ მოღვაწეს, არ დაუკარგოს მას ამაგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა რეჟისურის განვითარების პროცესები ნაშრომში სისხლსავსედაა მოცემული. ვ. კიკნაძე დაკვირვებით ადევნებს თვალს არა მარტო რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახ. თეატრების ცხოვრებას, მის ყურადღებას არ გამოჰპარვია პერიფერიულ თეატრებში მომუშავე რეჟისორების ღირსშესანიშნავი ნამუშევრები, წიგნის ავტორი შესაშური სკრუპულოზურობით აანალიზებს ქართველ რეჟისორთა ყველა თაობის მოღვაწეობას. უდიდესი ემოციურობითაა აღწერილი ს. ახმეტელის მოღვაწეობის ბოლო წლები, მისი და კ. მარჯანიშვილის უკანასკნელი ნამუშევრები, მათი დიდი ტკივილები და ტკივილნარევი უკანასკნელი შემოქმედებითი სიხარული.

ცნობილია, რომ ვ. კიკნაძე დიდი ხანია სწავლობს ს. ახმეტელის შემოქმედებას, წიგნისათვის ამ დიდი რეჟისორის შესახებ მან კ. მარჯანიშვილის სახელობის პრემია დაიმსახურა, ამიტომ ამ შრომაშიაც განსაკუთრებული ცოდნითა და ყოველ დეტალში წვდომითაა განხილული ს. ახმეტელის მიერ განხორციელებული დადგმები.

და კვლავ ახალი თაობა. ქართულ თეატრში ნიჭიერი რეჟისორის დიმიტრი ალექსიძის გამოჩენა, მისი ახალი სიტყვა რეჟისურაში, აკ. ვასაძის „აქტიორული", მაგრამ მაღალი დონის რეჟისურა. ქართული თეატრის ახალი გამარჯვებები. ვ. კიკნაძე სამართლიანად უარყოფს, სამწუხაროდ, დიდი ხნის წინათ გავრცელებულ აზრს იმის თაობაზე, რომ რუსთაველის სახელობის თეატრში თითქოს „პლატონ კრეჩეტით" დაიწყო შემობრუნება ფსიქოლოგიური სპექტაკლებისკენ, ავტორი ამტკიცებს, რომ ღრმა ფსიქოლოგიზმი როდი იყო უცხო მარჯანიშვილისა და ახმეტელის სტილისთვის. წიგნის ავტორი აშიშვლებს ყალბ, გმირულ-რომანტიკულ, მიმბაძველობით დადგმებს, რომლებთაც „ახმეტელისეულად" ნათლავდნენ და მის სკოლას მიაწერდნენ. იგი წარმოგვიდგენს დ. ალექსიძეს ჯერ როგორც კომედიის, ხოლო შემდეგ როგორც ტრაგიკული პიესების დამდგმელ ფართო დიაპაზონის ნიჭიერ რეჟისორს, სხვა რეჟისორების მოღვაწეობას რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებში, იმ წვლილს, რომელიც ყოველ მათგანს შეჰქონდა ქართული თეატრის, ქართული თანამედროვე რეჟისურის განვითარების საქმეში.

წიგნში ღრმადაა გაანალიზებული ატმოსფერო, რომელშიც პირველი ნაბიჯები გადადგეს მ. თუმანიშვილმა, აკ. დვალიშვილმა, ის ახალი ძიებები, რომლებიც მათ შემოიტანეს თეატრში. დიდი ადგილი აქვს დათმობილი ვ. ყუშიტაშვილის, ვ. ტაბლიაშვილის, გ. ლორთქიფანიძის მოღვაწეობას მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

ვ. კიკნაძე თვალს ავლებს ყველას ნამოღვაწარს, მისხალ-მისხალ მოაქვს ყოველივე ახალი, საყურადღებო რაც ქართველმა რეჟისორებმა შექმნეს თეატრში.

განსაკუთრებული ტაქტითაა განხილული ბრძოლა, რომელსაც რუსთაველის სახელობის თეატრში ეწოდა „შვიდკაცა", ა. ხორავასა და ა. ვასაძის თეატრიდან წასვლა, ა. ვასაძის მიერ ახალი, შემოქმედებითი ცხოვრების დაწყება სხვა თეატრალურ კოლექტივებში. ავტორი დაკვირვებით აანალიზებს მარჯანიშვილის თეატრში შექმნილ კონფლიქტსაც, მიზეზებს, რის გამო წავიდა თეატრიდან ახალგაზრდა მსახიობთა ჯგუფი რუსთავში.

მსახიობთა, რეჟისორთა თაობის ცვლა, ახალი მიმდინარეობანი, ოვალური კონფლიქტები და გამარჯვებები ყოველივე ეს მონახულია თვით თეატრის მეშაქმედებით წიაღში, წიგნში განხილულია ყველა ახალგაზრდა რეჟისორის საუკეთესო სპექტაკლები, მათი გამარჯვებები, მსახიობთა მიერ შექმნილი მაღალმხატვრული სახეები, მაგრამ ასეთივე რუდუნებითაა შესწავლილი მარცხიც, ახსნილია ამ მარცხების მიზეზები.

წიგნი 70-იანი წლებით მთავრდება, როცა ქართულ თეატრში ახალი თაობა გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე.

დიდის მადლიერების გრძნობით უნდა აღინიშნოს, რომ ვ. კიკნაძეს არ დავიწყებია არცერთი ჩვენი რიგითი თუ ცნობილი რეჟისორი, ყველას მიუჩინა თავისი ადგილი. სიხარულისა და მადლიერების გრძნობით იკითხება სტრიქონები, რომლებშიც ისეთი პატივისცემით არიან წარმოჩენილნი: ა. ჩხარტიშვილი, დ. ანთაძე, ლ. იოსელიანი, გ. ჟურული, გ. სულიაშვილი, გ. ღვინიაშვილი, ბ. გამრეკელი, ს. ჭელიძე, ვ. გარიკი და მრავალი სხვა.

დიდად გასახარია ის გარემოება, რომ ვ. კიკნაძე ესოდენ დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ეკიდება ჩვენს წარსულს, ჩვენს ისტორიას. არ ავიწყდება არც ახალი თაობა, რომლის ხელშიც არის დღეს ქართული თეატრი, სჯერა და სწამს ამ თაობისა, იმედს ამყარებს მასზე, მაგრამ არც იმის წაშლას ლამობს, რაც მანამდე იყო შექმნილი და რაც ჩვენს ეროვნულ სიამაყეს უნდა წარმოადგენდეს.

რასაკვირველია, „თაობა მიდის, თაობა მოდის", ცხოვრების ამ სასტიკ კანონს ვერავინ გაექცევა. ვ. კიკნაძის ნაშრომში მშვენივრადაა ნაჩვენები ეს თაობათა ცვლა, ძველის წასვლა და მის ნოყიერ ნიადაგზე ახლის წარმოშობა, ახლის აყვავება... ეს ცხოვრების კანონია და წიგნის ავტორმაც შესანიშნავად დაგვანახა თავის ნაშრომში...

დიახ, „თაობა მიდის, თაობა მოდის..." და რარიგ სასიხარულოა, რომ ქართულ თეატრმცოდნეობაში მოსული თეატრალური ინსტიტუტის მიერ აღზრდილი თაობა ასე ლაღად და თამამად ამჟღავნებს თავის დიდ შესაძლებლობებს... მოვიდნენ ცოდნით შეიარაღებული ადამიანები, რომელთაც ახასიათებთ მიუკერძოებლობა, ობიექტურობა, პროფესიონალიზმი.

დღეს ქართულ თეატრმცოდნეობას ნაყოფიერად ემსახურებიან თეატრალური ინსტიტუტის აღზრდილები. მათი მოღვაწეობა იმედს იძლევა, რომ ჩვენი თეატრალური მეცნიერების მომავალი საიმედო ხელშია, სწორედ მათ მოუხდებათ ქართული თეატრის მეცნიერული ისტორიის შედგენა, რასაც დიდი ხანია ველოდებით.

მზია გედიაშვილი

პირველი დღე

რუსთაველის პროსპექტზე, კინოთეატრ „სპარტაკის“ ყოფილ შენობაში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტთან შექმნილი სასწავლო თეატრი.

„შემოქმედებითს ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შემდეგ იშვა უმაღლეს თეატრალურ სასწავლებლებთან სასწავლო თეატრების შექმნის იდეა. ასეთი თეატრი შეიქმნა ჩვენს რესპუბლიკაშიც.

1983 წლის 21 სექტემბერი დაუვიწყარი თარიღია საქართველოს კულტურული ცხოვრების ისტორიაში, თეატრის დაბადების დღე, ოცნების ახდენის დღე, სიხარულის დღე.

— ამ დღეზე, ქართველ თეატრალურ მოღვაწეთა თაობები ოცნებობდნენ — სთქვა თავის გამოსვლაში საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ეთერ გუგუშვილმა — ამიერიდან, ჩვენს ინსტიტუტს ყველა პირობა ექნება, რომ წარმატებით შეუხამოს ერთმანეთს თეორიული სწავლა და სტუდენტთა პრაქტიკული, პროფესიული დაოსტატება, სასწავლო თეატრი დაგვეხმარება სტუდენტთა ეროვნულ-ალმზრდელობითი მუშაობის კომპლექსური გეგმის წარმატებით განხორციელებაში, მათი პროფესიული დონის ამაღლებაში.

ორ წელზე მეტ ხანს მიმდინარეობდა კინოთეატრ „სპარტაკის“ შენობის რეკონსტრუქცია, რომელიც თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა განახორციელეს. მათ აქ გაიარეს საწარმოო პრაქტიკა. სამუშაოებს ხელმძღვანელობდა თეატრალური ინსტიტუტის ექსპერიმენტულ-საკონსტრუქტორო ლაბორატორიის გამგე ლ. ვერნიცკი.

ამიერიდან სტუდენტების განკარგულებაშია 200 ადგილიანი შესანიშნავი დარბაზი, უნიკალური სცენითა და კინოსაპროექციო დარბაზით.

მომავალში სასწავლო თეატრი თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებთან ერთად გარს შემოიკრებს კონსერვატორიის, სამხატვრო აკადემიის სტუდენტებსაც. მოეწყობა საინტერესო ღონისძიებები, შეხვედრები, გამოფენები, კონცერტები, ამგვარად აქვს ჩაფიქრებული თეატრალური ინსტიტუტის ხელმძღვანელობას. უდაოდ ასეც იქნება. ეს მშვენიერი თეატრი გახდება თბილისის შემოქმედებითი ახალგაზრდობის თავშეყრის ცენტრი, მათი საყვარელი ადგილი.

თეატრის გახსნისადმი გამართულ საზეიმო საღამოზე მისალოცი სიტყვები წარმოთქვეს და სტუდენტებს კერა დაულოცეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, პროფესორმა დ. ალექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ გომართელი

საუკუნოვანი ქართული თეატრი

სიძემ, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა რ. ჩხეიძემ.

მეგობრების სახელით, გულწრფელ მადლობას იხდის პირველკურსელი ი. ღამბაშიძე. გაისმის ფიცის სიტყვები. „ვფიცავთ“ ექოსავით აწყდება კედლებს ახალგაზრდების რწმენით სავსე ხმა და ჩვენც გვჯერა მათი. გვჯერა, რომ ხვალ ისინი ქართული თეატრის ღირსეული ტრადიციების ჭეშმარიტი გამგრძელებელი, ახალი აქტიორული სკოლის, თეატრალური კულტურის დამფუძნებელი, ახალი თეატრის შემქმნელი იქნებიან.

ჯერჯერობით კი, პირველი დღეა.

პირველი ყვავილები...

პირველი ტაში...

თითქოს ყურში ჩაგვესმის კოტე მარჯანიშვილის სიტყვები მოსაწვევ ბარათზე რომ გამოუტანიათ ახალგაზრდებს: — „განსაკუთრებული კრძნობითა და სიფაქიზით მივესალმებით ახალგაზრდა რეჟისორებსა და მსახიობებს იმ ღრმა რწმენით, რომ ისინი დღეს თუ არა ხვალ, ეროვნული სცენის საგრძნობ ძალად გადაიქცევიან და შემოქმედებით სფეროში ღირსეულ წვლილს შეიტანენ“.

სწორედ სტუდენტი ახალგაზრდობის „ეროვნული სცენის საგრძნობ ძალად გადაქცევისათვის“ დაიბადა დღეს ეს სასწავლო თეატრი, მშეენიერი თეატრი. აქ გაიზრდებიან, დაოსტატდებიან, ფეხის ადგმას ისწავლიან, რათა შემდეგ დიდ სცენაზე გამართული სიარული შეძლონ.

ჯერჯერობით კი, პირველი დღეა...

რწმენით, მღელვარებით და მოლოდინით სავსე დღე.

„ავჭალის აუდიტორიაში“ აღიზარდა და დავაჟკაცდა მრავალი მოღვაწე, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი დასდეს თბილისის განაპირა უბნების თეატრალურ ცხოვრებას.

ეს თეატრები მჭიდროდ იყო დაკავშირებული არალეგალურ რევოლუციურ ორგანიზაციებთან. მონაწილეობდნენ რევოლუციურ ბრძოლებში ცარიზმის წინააღმდეგ.

რუსეთის პირველი რევოლუციის მზადების წლებში ავჭალის აუდიტორიის, ავლაბრის, „სიფხიზლის საზოგადოებისა“ და სხვა სახალხო თეატრები მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის კერებად გადაიქცნენ. აქ ეწყობოდა არალეგალური კრებები და შეხვედრები, ვრცელდებოდა პროკლამაციები, არალეგალური ლიტერატურა, ინახებოდა საბრძოლო იარაღი და ა. შ.

რადგან „ავჭალის აუდიტორიის“ სცენისმოყვარეთა უმრავლესობა რკინიგზელებისაგან შესდგებოდა, სპექტაკლები რკინიგზის „სიფხიზლის საზოგადოების თეატრშიც“ მეორდებოდა. თეატრი მდებარეობდა რკინიგზის მთავარი სახელოსნოების (ამჟამად ი. ბ. სტალინის სახ. ორთქმავალ-ვაგონ შემკეთებელი ქარხანა) წინ.

რკინიგზის მთავარი სახელოსნოების თეატრი „სიფხიზლის საზოგადოების“ გამგებლობაში შედიოდა. „სიფხიზლის საზოგადოება“ რუსეთის იმპერიის თითქმის ყველა ქალაქში მოქმედებდა. ას-

ეთი საზოგადოება თბილისშიც არსებობდა, რომლის თავმჯდომარედ რკინიგზის საავადმყოფოს მთავარი ექიმი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნიკო ხუდადოვი ითვლებოდა.

ნიკო ხუდადოვის მეოხებით გადაეცა სცენისმოყვარეთა წრეს „ავჭალის აუდიტორიის" შენობა. ამიტომ იყო, რომ როგორც მუშებში, ისე ინტელიგენციაში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა.

სამსახურში მიმავალს უკან მიპარვიან და რევოლვერი დაუხლიათ. საავადმყოფოდან გამოცვლილ თანამშრომლებს საზარელი სურათი უნახავთ: მათი საყვარელი ექიმი სისხლის მორევში ცურავდა. მის უმუალო მკვლელს მეორე დღესვე მოუღეს ბოლო. ნ. ხუდადოვის დაკრძალვა თბილისის მუშებისა და პროგრესული ინტელიგენციის მძლავრ დემონსტრაციად გადაქცეულა.

იგი იყო ნიკო ლომოურის ცოლის ძმა, ილია ჭავჭავაძის „ივერიის" თანამშრომელი, ხალხოსანი, მისი თაოსნობით გაშენდა კუკიის სასაფლაოს გადაღმა ნაძალადევის ტყე, რომელსაც ახლა „ხუდადოვის ტყეს" უწოდებენ.

როგორც უკვე ავღნიშნეთ „ავჭალის აუდიტორიის" ქართული დასის სცენისმოყვარეთა უმრავლესობა რკინიგზელებისაგან შედგებოდა და მუშაობდნენ როგორც „ავჭალის აუდიტორიაში, ისე რკინიგზის „სიფხიზლის საზოგადოების თეატრში".

რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეთა სათეატრო დარბაზი ძალიან პატარა იყო. მაყურებელს ძლივს იტევდა, სცენაც პატარა და მოუწყობელი ჰქონდათ. თეატრს არ გააჩნდა დეკორაციები, რეკვიზიტი და სცენისათვის საჭირო ნივთები.

წრემ შექმნა მუდმივი აუდიტორია, ძირითადად მუშებისა და მათი ოჯახების წევრებისაგან. ამ აუდიტორიის შექმნას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ბილეთები მეტად იაფი იყო.

თეატრი ხშირად აწყობდა ლიტერატურულ საღამოებს. ირ. ევდოშვილს არაერთხელ წაუკითხავს რევოლუციური ლექსები. იგი სახალხო თეატრის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო. იმართებოდა კონცერტები, რომლის მოთავე ახალგაზრდა ზაქარია ფალიაშვილი გახლდათ.

ავჭალის აუდიტორიის პატარა სცენაზე იდგმებოდა ტრ. რამიშვილის „მეზობლები", პ. ირეთლის (კალანდაძე) „დამარცხებულნი"; დრამები და კომედიები „ორი ობოლი", „პარიზის ღარიბ-ღატაკნი", გ. სუნდუკიანის „პეპო", ა. ყაზბეგის „არსენა", ა. ფურცელაძის „ავაზაკები", ავქს. ცაგარელის კომედიები, ი. მაჩაბელის მიერ გადმოკეთებული „ადვოკატი მელაძე", კ. მესხის მიერ გასცენირებული „მელანიას ოინები", იბსენის „ექიმი შტოკმანი", ი. გულისაშვილის „დრონი მეფობენ", ვალ. გუნიას „და—ძმა", გ. ერისთავის „გაყრა" და სხვ. რეჟისორობდნენ ი. იმედაშვილი, ი. აგლაძე, ს. მგალობლიშვილი, ვ. გამყრელიძე, სვ. სვიმონიძე, შ. დადიანი და სხვ.

თეატრში ხშირად იმართებოდა მუშების არალეგალური კრებები. იწყობოდა დისპუტები. უფრო ხშირად მას პროკლამაციის საწყობად იყენებდნენ. მუშებს უყვარდათ ეს აუდიტორია და თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ. არ ყოფილა შემთხვევა, რომ წარმოდგენის მსვლელობის დროს პროკლამაციები დაეყაროთ, როგორც ეს სხვა თეატრებში ხდება და ამით საბაბი მიეცათ პოლიციისათვის აუდიტორიის დაკეტვისა და სპექტაკლების აკრძალვისა.

ამ სახელოსნოს (დეპოს) მუშები ყოველთვის რევოლუციური მოძრაობის ავანგარდში იყვნენ. თბილისში არცერთ ქარხანასა და საწარმოში არ ყოფილა იმდენი მუშა, რამდენიც რკინიგზის სახელოსნოებში. პროლეტართა ეს არმია, მეტად საშიშ ძალას წარმოადგენდა თვითმპყრობელობისათვის. ვერავითარმა რეპრესიებმა ვერ გასტეხეს მუშების ერთიანობა. „კარგად მახსოვს გვიამბობს — გ. ჯაბაური — ჩვენი სამხატვრო საამქროს მუშა მაქსიმ პეშკოვი. შემდეგში მსოფლიოში გამოჩენილი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი, სახარატო საამქროში მუშაობდა მიხეილ კალინინი — რევოლუციის თავდადებული მუშაკი, ძველი ბოლშევიკი. დაზგა, რომელზედაც ამხანაგი კალინინი მუშაობდა, ახლაც საამქროში

დგას წარწერით. ჩამოსასხმელ საამქროში მუშაობდა თავის დროს კარგად ცნობილი არსენა ჯორჯიაშვილი, რომელიც გრიაზნოვის მკვლელობისათვის ჩამოახრჩეს...“

მუშა-მაყურებლის აღზრდისათვის საჭირო იყო მაღალმხატვრული სპექტაკლები. ეს შეგნებული ჰქონდათ ქართული თეატრის მესვეურთ, მსახიობებსა და ხშირად როლისათვის საჭირო ტანსაცმელითა და რეკვიზიტის ფუთით ხელში სახალხო თეატრში ფეხით წასულან ის მსახიობებიც, რომლებიც საზოგადოებას ხელში აყვანილი გამოჰყავდა თეატრის შენობიდან. გასტროლიორები ისე როგორც „ავჭალის აუდიტორიაში,“ „სიფხიზლის საზოგადოების თეატრშიც“ უფასოდ მონაწილეობდნენ. ექიმი შტოკმანის როლისათვის რიგრიგობით იწვევდნენ: ლადო მესხიშვილს, კოტე მესხს, დავით ჩარკვიანს, ტარტიუფისათვის კი გედევან მირაღიანს. ერთხელ „პარიზელ ბიჭს“ დგამდნენ, გენერალ გონერის როლი უნდა ეთამაშა ქართული თეატრის უხუცეს მსახიობს კოტე ყიფიანს, პარიზელი ბიჭის როლი მაკო საფაროვა — აბაშიძისას, ბიზოსი — ნიკო გოცირიძეს.

რა აიძულებდა ამ წარჩინებულ, ცნობილ მოღვაწეებს, რომ რკინიგზის ვაგონქვეშ გამძვრალიყვნენ და რეპეტიციებსა და სპექტაკლზე მისულიყვნენ. ისინი ხომ არავითარ გასამრჯელოს არ იღებდნენ? მაგრამ ამას აკეთებდნენ საქმის სიყვარულით.

მუშა მაყურებლები ნაკლებად იცნობდნენ ქართული თეატრის დიდ მსახიობებს. ბევრს ამ თეატრის შენობაც კი არ ენახა. მუშა როგორ შესძლებდა 2 მანეთი გადაეხადა და წარმოდგენას დასწრებოდა. ბილეთების სიძვირესთან ერთად თეატრი ქალაქის ცენტრში იყო, მუშათა უბნებს ძლიერ დაშორებული...

კოტე ყიფიანის შემოქმედებაში აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში მარტო თავის საუკეთესო მთავარ როლებს კი არ თამაშობდა, არამედ ხშირად ეს როლები სცენის მოყვარულთათვის დაუთმია. მიუცია მათთვის საჭირო რჩევა-დარიგება და თვითონ რაიმე პატარა როლს დასჯერებია, რათა მისი ავტორიტეტის წყალობით, სპექტაკლებზე მეტი მაყურებელი მოსულიყო.

ამიტომ იყო, რომ 1914 წელს მისი იუბილე პროფესიულ თეატრთან ერთად ზეიმით აღუნიშნავს ნაძალადევის სახალხო თეატრსაც. საიუბილეო საღამოები გაუმართავთ სახალხო სახლში და ნაძალადევის თეატრში.

ამ პატარა სცენაზე რეჟისორობდნენ: ი. იმედაშვილი, ი. გულისაშვილი, ნ. ავალიშვილი, სოფ. მგალობლიშვილი, ი. აგლაძე, ვ. გამყრელიძე, კოტე ყიფიანი, სვიმონ სვიმონიძე, შ. დადიანი, ალ. ბადრიძე და სხვ.

როცა რეჟისორები არ ჰყავდათ პიესებს წრის წევრები დგამდნენ.

სახალხო თეატრის ისტორია არასოდეს დაივიწყებს ამ თვალსაჩინო და უანგარო მოღვაწეებს და მუდამ მადლიერებით გაიხსენებენ მათ ამაგს...

„სიფხიზლის საზოგადოების თეატრს“ დიდი დამსახურება მიუძღვის მუშების წინაშე.

1905 წლის ბოლოს, რევოლუციის დამარცხების შემდეგ, თეატრი მეფის ჯარის ბანაკად გადაუქცევიათ და რკინიგზის მუშების ეს ერთადერთი კულტურის კერა ჩამქრალა, მიუხედავად ამისა, მუშათა გათვითცნობიერებისა და პოლიტიკურად აღზრდის საქმეში სახალხო თეატრმა დიდი როლი ითამაშა.

წელს, როცა ჩვენმა რესპუბლიკამ ფართოდ აღნიშნა ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის საუკუნოვანი იუბილე, შეუძლებელია მადლიერების გრძნობით არ მოვიგონოთ მუშების მიერ დაარსებული „სიფხიზლის საზოგადოების თეატრი“, რომელმაც გარკვეული როლი ითამაშა მათი პოლიტიკური აღზრდის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგო ჭეიშვილი

სიყვარულის საგალობელი

რესპუბლიკის თეატრალურ აფიშასთან

- დავით თორაძის ოპერის „ჩრდილოეთის პატარძლის“ ახალი სიცოცხლე ქუთაისის საოპერო თეატრში გაგრძელდა.
- ქართველი დრამატურგის კიდევ ერთი პიესა რუსთაველის თეატრში.
- 20 წლის შემდეგ ქართულ საოპერო თეატრში კვლავ დაიდგა „ლუჩია დი ლამერმური“.

რუსულ ლიტერატურას ორი ტრაგიკული ბედის გენიოსი, ალექსანდრე სერგეის ძე ჰყავდა — გრიბოედოვი და პუშკინი. ორივეს სძულდა მეფე-ყანდარმი ნიკოლოზ პირველი და ორივე გასწირა ტირანმა; ორივეს ცხოვრება და შემოქმედება მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან.

ნ. ვ. გოგოლის სიტყვით, კავკასიამ განაცვიფრა პუშკინი, გამოავლინა მისი სულიერი ძლიერება და გაწყვიტა მისი თავისუფალი აზრების დამამძიმებელი უკანასკნელი ჯაჭვი. მან მთელი არსებით შეიყვარა სამხრეთი. განიმსჭვალა და გაიჟღინთა მისი ზეცით, მომხიბვლელი მიდამოებით, მშვენიერი საქართველოს ველებით... „პუშკინის მუზამ, — წერდა ბელინსკი, — თითქოს აკურთხა სინამდვილეში უკვე დიდი ხნის წინათ არსებული ნათესაობა რუსეთისა ამ მხარესთან, ხოლო გრიბოედოვმა საკუთარი სისხლითა და სულით შეადუღაბა ეს ნათესაობა — იგი სიძე გახდა საქართველოსი, იღწვოდა ქართველთა კეთილდღე-

ობისათვის, სამუდამო განსასვენებლად ქართული მიწა აირჩია“.

საქართველოსა და ამ გენიოსთა ურთიერთობაში არის მეორე და უმნიშვნელოვანესი მომენტიც — საქართველო და ქართული თემა ორივე მგოსნის შემოქმედებაში გააზრებულია, როგორც პოლიტიკური ბრძოლისა და თავისუფლების თემა, როგორც გმირულ-რომანტიკულისა და ამაღლებულის გამოვლენა.

აი, რატომ არის ქართველი ხალხისათვის განსაკუთრებით საყვარელი და ახლობელი ეს ორი სახელი.

გეორგიევსკის ტრაქტატის ორასი წლისთავის საიუბილეო დღეებში რუსი და ქართველი ხალხი არა მარტო აღნიშნავს, არამედ აჯამებს კიდეც ხანგრძლივი ძმობისა და მეგობრობის ნაყოფს, დიდების შარავანდედით ამკობს იმ სახელოვან ადამიანებს, რომელთა ღვაწლითა და რუდუნებით განმტკიცდა ორი ხალხის ნათესაური კავშირი. ამ ფონზე განსაკუთრებული ელვარადობა შეიძინა ქუთაისის საოპერო დასის ახალმა სპექტაკლმა, დავით თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალმა“, საიუბილეო თარიღს რომ მიუძღვნა.

„ჩრდილოეთის პატარძალი“ პირველად 1957 წელს დაიდგა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე (ლიბრეტო ი. ნონეშვილისა, დადგა ი. თუმანიშვილმა, დირიჟორობდა ო. დიმიტრიადი, მხატვრულად გააფორმა ს. ქობულაძემ). ამ სპექტაკლს წარმატება ხვდა წილად 1958 წელს მოსკოვში გამართულ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე. პრესამ, თეატრალურ-ფილოლოგიურ კრიტიკამ იგი შეაფასა, როგორც იდეურად და მხატვრულად აქტუალური ნაწარმოები.

ერთა შორის სოლიდარობის თემა ტრაგიკული და ორგანულია მთელი ქართული კულტურისათვის, ცხადია, იგი არც საოპერო ხელოვნებისათვის ყოფილა უცხო. დ. თორაძემ ინტერნაციონალური მეგობრობის ზოგადი მოტივები კონკრეტულ ისტორიულ სინამდვილეს დაუკავშირა — ჰანგებში აამეტყველა დიდი რუსი მწერლის ალექსანდრე გრიბოედოვისა და ნინო ჭავჭავაძის ტრაგიკული სიყვარულის ისტორია.

სპექტაკლის დამდგმელმა რეჟისორმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, ტ. შევჩენკოსა და კ. ჭარჯანიშვილის სახ. პრემიების ლაურეატმა, პროფესორმა დიმიტრი ალექსიძემ წარმოდგენის მუსიკალურ კონსულტანტთან, სსრ კავშირის სახალხო არტისტთან, ზ. ფალიაშვილის სახ. პრემიის ლაურეატთან, პროფესორ ოდისეი დიმიტრიადთან ერთად „ჩრდილოეთის პატარძალი“ გაიაზრა როგორც რუსი და ქართველი ხალხის ძმობისა და უჭკნობი სიყვარულის საგალობელი. ამ ჩანაფიქრის მიხედვით რედაქცია ვაუკეთდა ოპერას. დაიხვეწა, არაესებითისაგან განიტვირთა და აუცილებელით შეივსო ლიბრეტო. ეს რთული საქმე რეჟისორმა და დრამატურგმა სანდრო მრევლიშვილმა შეასრულა ფაქიზად, გემოვნებით, ისე, რომ არ დაურღვევია ი. ნონეშვილის პოეტური სიტყვების თვისებრიობა, ახლად დაწერილი

ტექსტი კი, სტილის თვალსაზრისით, მაქსიმალურად მიუახლოვა ლიბრეტოს საერთო ენობრივ ფაქტურას.

დრამატურგიული ქარგის შეცვლამ, ბუნებრივია, გამოიწვია ოპერის პარტიტურის რედაქტირებაც. გაჩნდა ახალი სცენები, შესწორდა და ხელახლა დაიწერა ზოგიერთი ეპიზოდი. საგრძნობლად შეესუსტდა დეკლარაციულ-პათეტიკური ადგილები, გაძლიერდა და გაჰოიკვეთა ლირიკული და დრამატული მოტივები, ერთი სიტყვით, ქუთაისის საოპერო თეატრის სცენაზე შეიქმნა „ჩრდილოეთის პატარძალის“ ახალი ვარიანტი და ამაში დიდი წვლილი უდევს სპექტაკლის დამდგმელს დიმიტრი ალექსიძეს. ამ გამოჩენილი რეჟისორის ქუთაისის საოპერო თეატრში მოსვლა უმნიშვნელოვანეს ფაქტად იქცა ახალგაზრდა შემოქმედებითი კოლექტივისათვის. ჭეშმარიტი რეჟისორული ტალანტისა და უდიდესი გამოცდილების მქონე ხელოვანმა მარტო სადადგმო ძოცანებით როდი შემოფარგლა თავისი საქმიანობა! მისი ყოველი რეპეტიცია თვალსაჩინოებით, პოეტური გზნებით, სიბრძნითა და ემოციით ალსავსე გაკვეთილი, პროფესიული ხელოვნების ღრმა საიდუმლოებათა გახსნა და განათება, დოსტატებისა და ამაღლების ახალი საფეხური იყო. მან ზუსტად განსაზღვრა პროფესიულ სიმწიფეში შემავალი დასის, საბალეტო ჯგუფისა და ორკესტრის რეალური შემოქმედებითი შესაძლებლობანი და ამის შესაბამისად წარმართა დირიჟორის, მხატვართა და ქორმაისტერთა, ქორეოგრაფის, ბალეტმაისტერის, ორკესტრის, გუნდისა და სოლისტების ერთიანი ლივი შემოქმედებითი მრომა რეალისტური სპექტაკლის შესაქმნელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ალექსიძემ არ გადატვირთა რეჟისორული ნახაზი, არ დაამძიმა იგი გართულებული მეტაფორებით. მიზანსცენების სისადავე და გრაფიკული სიმკვეთრე ორგანულად ესადაგება სპექტაკლის მუსიკალურ დრამატურგიას. წარმოდგენის ყოველი მონაკვეთი, საგუნდო სცენები, დიალოგები თუ მონოსცენები სამოქმედო ბაქანზე განლაგებულია რაციონალურად, მოქმედების ლოგიკის შესაბამისად. ის თეატრალური ხერხებით აძლიერებს მუსიკალურ გამომსახველობას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ეპიზოდი თავრიზში — ნინო ჭავჭავაძისა და ალექსანდრე გრიბოედოვის შეხვედრა ტყვე ქართველებთან, აგრეთვე საფინალო სცენა. პირველ ეპიზოდში რეჟისორი სასურველ ეფექტს აღწევს დეტალების გამოყოფის, მათი მსხვილი პლანით წარმოჩენის, გრაფიკული ძერწვისა და გათამაშების გზით; მეორე ეპიზოდში კი გუნდი — მასა (მწუხარე საქართველო) მკაცრად რეგლამენტირებული პლასტიკით, მაგრამ ოპერის მუსიკალური ტექსტის ღრმა გააზრებით მიდის მიზნისაკენ. პირველ სცენაში უღელში შებმული ჭაბუკები და ქალიშვილები, თოკებით (მძიმე საერთო ხვედრით) ურთიერთგადაკვანძული, ძალზე ინდივიდუალური გარეგნობის ადამიანები წარმოადგენენ ჟამთა სიავისაგან დაფლეთილ და წამებულ, უცხოეთის ბაზრებზე უღვთოთ გაყი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დულ მობარბაცე და განწირულ საქართველოს. რუსთა ელჩისაგან რომ ელის ხსნას... მეორე ეპიზოდში კი თალხით უნიფიცირებული მასა (ერთიანი საქართველო) ღვიძლი შვილივით გულში იკრავს მისთვის მზრუნველ რუს მგოსანს... ამ ერთიანობას ხაზს უსვამს ორი ერის დიდი შვილების — ა. პუშკინისა და ალ. ჭავჭავაძის მოკლე, მაგრამ აზრიანი მონოლოგები.

წარმოდგენის იდეური და მხატვრული ჩანაფიქრის გამოკვეთაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მ. მურვანიძისა და უ. იმერლიშვილის სცენოგრაფია. საინტერესოდ იკითხება თემატური ფარდა — ცენტრში გაშლილი მედალიონის ბუდეებში ჩასმულია ა. გრიბოედოვისა და ნ. ჭავჭავაძის პორტრეტები — ეს სპექტაკლი მათი უკვდავი სიყვარულის საგალობელია, მათი სულიერი ერთობით კი გამოხატულია ორი ერის სიახლოვე და ერთობა. მედალიონს ქვემოთ გამოლილა ამ ერთობის საყრდენი — საქართველოს მომხიბვლელი მიწა-წყალი, ცაში ატყორცნილი გუმბათებით, კიპარისებითა და რომანტიკული სივრცით. ყოველივე ამას კი მაჯლაჯუნად დასწოლია ნიკოლოზ პირველის სასახლის წრე, ფეოდალურ-ბატონყმური სამყარო, ფამუსოვთა, მოლჩალინთა, სკალოზუბთა და ძმათა მისთა ხროვა... იხსნება ფარდა და ეს ბნელეთის მოციქულები ამოძრავდებიან: გრიბოედოვის პროგრესული აზროვნებით ბოლმამორეულნი და აღშფოთებულნი ხმამაღლა მოითხოვენ მის დასჯას და უსაზღვრო კმაყოფილებით ღებულობენ საგარეო საქმეთა მინისტრის, გრაფ ნესელროდეს ცნობას იმის თაობაზე, რომ მეფემ პოეტი სპარსე-

სცენა სპექტაკლიდან „ჩრდილოეთის პატარძალი“.

თში ელჩად განაწესა... ყველამ იცის, რომ ეს ფაქტიურად პოლიტიკური გადასახლებაა! ღვარძლითაა გაჟღენთილი რეაქციული რეპლიკა — ჩვენგან შორს, სპარსეთში სწეროს თავისუფალი ლექსები!

წარმოდგენის სამოქმედო სივრცე განსაზღვრულია ორი მეტაფორული კედლით. ერთი გამოხატავს საქართველოს, მეორე — რუსეთს. ორივე გარემო ერთმანეთს უკავშირდება პეტერბურგის, წინანდლის და ა. შ. გამომსახველი პანოებით. ორივე სამყაროს აერთიანებს გრიბოედოვის ხელნაწერი ფურცლები... მეტაფორულ ჩარჩოთა ფარგალში ლაკონური საგნობრივი გაფორმება იქმნება წარმოდგენის რეალური სივრცე, კონკრეტული ისტორიულ-გეოგრაფიული გარემო მეტაფორული აზროვნება და საგნობრივი — გრაფიკული სახვითობა ორგანულად ერწყმიან ერთმანეთს, რაც აძლიერებს სპექტაკლის ემოციურ მუხტს, ამაღლებს წარმოდგენის ესთეტიკურ ხარისხს.

სპექტაკლის მუსიკალური ხელმძღვანელი თენგიზ ჭუმბურიძე პარტიტურას შინაგანი მღელვარებით, შთაგონებითა და ტემპერამენტით დირიჟორობს. მიუხედავად ერთგვარი დაძაბულობისა, მას არ უჭირს ვოკალური და საორკესტრო პლანების კოორდინირება, მათი ჰარმონიაში მოყვანა; სწორ მიმართულებას აძლევს სოლისტებს, საგუნდო და მონოსცენებს... და თუ ორკესტრის ხმოვანებაში ზოგჯერ მაინც შეინიშნება აკუსტიკური რეციდივები, ეს მარტო მისი ბრალი როდია! არც საგანგაშო: გამოცდილება, ორკესტრანტთა დაოსტატება დროის საქმეა, დრო კი როგორც ყოველთვის, არც სპექტაკლის მომზადებისათვის აღმოჩნდა საკმარისი...

დიდი შრომა გაუწევიათ ქორმაისტერებს ა. მაჭავარიანსა და ტ. თოფურიძეს. გუნდი ყოველთვის დროულად ეხმიანება წარმოდგენის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, სახოვნად გადმოგვცემს დრამატულ სიტუაციათა არსებას, სიმწვავესა და დაძაბულობას. სპექტაკლში გუნდს დიდი მხატვრული დატვირთვა აქვს, წარმოდგენის სრულქმნილ პერსონაჟადაა ქცეული და უნდა ითქვას, პირნათლად ასრულებს სერიოზულ სცენურ ამოცანებს, გვახარებს მისი მობილურობა და პლასტიკურობა. აშკარად ჩანს საგუნდო კოლექტივის ზრდა და დაოსტატება.

ეფექტურია წარმოდგენის პლასტიკური მხარე. მასის მოძრაობაში ორგანულადაა ჩასმული ქორეოგრაფიული ორნამენტები (ქორეოგრაფი ე. გუმბერიძე, ბალეტმაისტერი ლ. მარგიევა).

ა. გრიბოედოვს ორი შემსრულებელი ჰყავს — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. ლომთაძე და ბ. მელაძე. ნ. ჭავჭავაძეს — ოთხი: ფ. დუნდუა, ლ. ახალაძე, ზ. ბერულავა და ო. ჭურღულია. სარეცენზიო სპექტაკლში მოვუსმინეთ გ. ლომთაძესა და ფ. დუნდუას, ამიტომ ვერაფერს ვიტყვით სახეთა განსხვავებულ ინტერპრეტაციაზე. იგრძნობა მსახიობთა ლტოლვა ლირიკულობისაკენ, მისწრაფება ვოკალში გამოკვეთონ სახეთა ფსიქოლოგიური დეტალები და ნიუანსები...

განსაკუთრებით გამომსახველია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. ჭურღულია — ა. ს. პუშკინის როლში. მსახიობი დრამატული ექსპრესიით, ნამდვილი პოეტური არტისტიზმით აცოცხლებს დიდი რუსი პოეტის მომხიბვლელ სახეს.

იგრძნობა, რომ სპექტაკლის ყველა მონაწილე სიყვარულითა და პასუხისმგებლობით მოჰკიდებია მასზე მინდობილ საქმეს. ამას ადასტურებს ა. ფხაკაძე (ალ. ჭავჭავაძე) და ვ. მითაიშვილი (დიმიტრი ერისთავი), ე. გოტიაშვილი (გლინკა) და ა. გუჯაბიძე (ტატე), ა. გუმბერიძე (გრაფი ნესელროდე), თ. გვაზავა (სულეიმან მირზა) და სხვანი.

ცხადია, ამ სახეთა შესახებ მსჯელობა ნაადრევია, რადგან ჯერ კიდევ არაა დამთავრებული მსახიობის როლებთან შეგუებისა და შერწყმის პროცესი.

უნდა აღინიშნოს ორკესტრის კარგი ხმოვანება. იგრძნობა ცალკეული რგოლების (ვიოლინოები: თ. ვეშეკოვა და ლ. გელფანდი: ჩელო — მ. იაკობაშვილი და ა. ჯიმშელეიშვილი; კლარნეტი— ტ. ტურაბელიძე და ზ. ჭეიშვილი) სტაბილური კავშირი და შინაგანი წესრიგი. მართალა, ზოგჯერ ორკესტრის გუნთან და სოლისტებთან კონტაქტი დაირღვა, მაგრამ ეს პრემიერის მღელვარებით უნდა აიხსნას და გვწამს — აღარ განმეორდება.

„ჩრდილოეთის პატარძლის“ პრემიერა ქართველი და რუსი ხალხის ძმობისა და მეგობრობის გამომხატველ ზეიმად აქცია რსფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეთა სტუმრობამ. სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სოციალისტური შრომის გმირმა ელენა ბონგოლევამ სიბრძნით, სიყვარულითა და სითბოთი აღსავსე სიტყვებით დამსახურებული წარმატება მიულოცა სპექტაკლის შემქმნელებსა და მაყურებელს:

— ამ დღეებში, როცა ჩვენი მეგობრობის, ტრაქტატის იუბილეს ვზეიმობთ, განსაკუთრებით თვალსაჩინო და ნათელია ძმობის, მეგობრობის სიდიადე და მინდა გითხრათ, რომ ეს ყოველივე სიმბოლურად დავინახე ამ სპექტაკლში, ასე ამაღელვებლად რომ მოგვითხრობს ნინო ჭავჭავაძის და ალექსანდრე გრიბოედოვის საუკუნო სიყვარულზე. მჯერა, ეს სიყვარული ქართველ და რუს ხალხებს შორისაც მყარად იყო, არის და იქნება ასეთი ძლიერი, სუფთა და ნათელი.

ეს იყო ერთგვარი აპოთეოზი ამ საიუბილეო ზეიმისა.

ვაჟა ბრეგაძე

„უფერული და მშვიდი დღის“ ქრონიკა

ყველა თეატრი და მათ შორის რუსთაველის სახელობის თეატრი ცდილობს თანამედროვე თემაზე შექმნილი, აქტუალური პრობლემებით აღბეჭდილი პიესები იქონიოს თავის რეპერტუარში. ასეთი სურვილი მრავალი მიზეზითაა განპირობებული. პირველი და არსებითი, მაყურებლის მოთხოვნილებისადმი ყურადღებაა, რაც ყველაზე უმნიშვნელოვანესი პირობაა თეატრისათვის, რომლის დღევანდელი დღე მოითხოვს სწრაფ რეაგირებას, პუბლიცისტურ ანალიზს, მხატვრული სახეებით ცხოვრებისეული ავკარგიანობის განსჯასა და გააზრებას. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მსახიობებს ჰაერივით სჭირდებათ თანამედროვე გმირის, მათი თანამოქალაქის ხასიათის სცენურ სიცოცხლეში წარმოდგენა. ეს ერთი შეხედვით თითქოს იოლი ამოცანაა, მაგრამ ყველამ კარგად იცის რაოდენ ძნელია თანამედროვე გმირის ნიშანდობლივი თვისებების ზუსტი წარმოჩენა.

და ბოლოს — განა თეატრი შეიძლება იყოს თანამედროვე, მებრძოლი, აქტიური და ცოცხალი ორგანიზმი, თუ იგი უბირად უყურებს რაც მის გარშემო ხდება, არ გააჩნია სურვილი საკადრისი მიუზღოს დროს, რომელშიც ცხოვრობს.

მაგრამ არის მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც ხელს უშლის თეატრებს გული იჯერონ ისეთი პიესებით, თანამედროვე დრამატურგიისა და ლიტერატურის მაღალ მოთხოვნილებებს რომ აკმაყოფილებენ. ასეთი პიესები ძალზე მცირეა, მათი გამოჩენა თეატრის სცენაზე კი ეპიზოდურ ხასიათს ატარებს.

ამიტომ როცა თეატრისადმი ტრივიალურად გადაქცეულ საყვედურს წარმოთქვამენ, აქაოდა პატივს არ სცემენ თანამედროვეობას, უარს ეუბნებიან დაინტერესებულ ავტორებსო, საჭიროა ისიც ვიფიქოთ, რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის უარს ოდნავ ნორმალურ ნაწარმოებზე?! არაფერს ვამბობ საშუალო ღირსების ქმნილებაზე. ასე რომ საყვედურები უსაფუძვლოა.

თუ კი თვალს გავადევნებთ უახლოესი ოცი წლის აფიშას, რუსთაველის თეატრი გულმოდგინედ ეძებს თანამედროვე პიესას, საუკეთესო ძალებს აკისრებს მის განხორციელებას და თქვენ წარმოიდგინეთ შედეგი უმცირესი გამონაკლისის გარდა, მნიშვნელოვანია.

აქვე ერთ კანონზომიერებას შეამჩნევთ, რუსთაველის თეატრის მიერ არჩეული ნაწარმოები, შემდეგში უდაოდ საყოველთაო მოწონებით სარგებლობს და ამაში არც თუ მცირე როლი მიუძღვის თეატრის მიერ გაწეულ შემოქმედებით მუშაობას „ნედლ“ მასალაზე, მისი განხოციელების პროცესში.

დრამატურგი ალექსანდრე ჩხაიძე იმ მცირე გამონაკლისთა რიგს განეკუთვნება, რომელთაც წილად ხვდათ ბედნიერება ითანამშრომლონ რუსთაველის თეატრთან, იყვნენ მისი დრამატურგები. პიესა „სამიდან ექვსამდე“ ალ. ჩხაიძემ ახლახან დაასრულა და უკვე რამდენიმე თეატრში წარმატებით განხორციელდა.

ასეთი შესანიშნავი თემა, მოხერხებული, მოფიქრებული და თავისთავში მატარებელი კონფლიქტური სიტუაციებისა, როგორიცაა მთხოვნელთა მიღების დღე ნებისმიერ ინსტაციაში, რატომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღაც დღემდე დრამატურგების ყურადღების მიღმა დარჩა.

იმთავითვე დადგენილი წესი მიღებულ საათების ჩატარებისა, დრამატურგიულად მოწესრიგებულია და სახიერად ჩამოყალიბებული, ამავე დროს უხვ და საინტერესო მასალას იძლევა ცხოვრებისეული სიმართლის დასადგენად, მის მრავალფეროვან გამოვლინებაში.

დრამატურგს ყველაფერი ზედმიწევნით გააზრებული აქვს მიღების წესი და რიტუალი. დეტალები დაზუსტებულია, ვერვინ შეედავება.

მაგრამ რუსთაველის თეატრი როგორ უღალატებს არჩეულ გზას, პიესა ისე უნდა მოირგოს, როგორც მას გაეხარდება. უეჭველად უნდა მოუძებნოს ერთადერთი სარგო გასაღები და მოვლენები ისე განალაგოს, რომ საზოგადოებრივი აზრი ნათელი კონცეფციის წინაშე დააყენოს. სათქმელის გაბუნდოვნება მას არ ჩვევია, რადგან იცის რა არის მთავარი და რა — არსებითი.

ბადრი კობახიძე კვლავ მოგვევლინა რეჟისორად მშობლიურ თეატრში. მოგვევლინა და ჰარმონიულ მთლიანობაში ერთბაშად შეაერთა სამი მონათესავე კომპონენტი: ავტორი — რომელიც აქტუალურ თემას ამუშავებს, თეატრი — თანამედროვე ქართულ პიესას მოწყურებული მაყურებელი — წამოჭრილ აქტიური პასუხების მომლოდინე პრობლემებზე და თანამედროვეთა ცოცხალ, სცენურ სახეებთან შეხვედრას დანატრებული.

რეჟისორი სპექტაკლში თავიდანვე გაენდო მაყურებელს, თავიდანვე გაიხადა მაყურებელი მოკავშირედ, თავიდანვე შეკრა პირობა მასთან, რომ ის, რაც სცენაზე ხდება, უტყუარად მოტანილი ამბავია, რომ ეს ამბავი თეატრში თამაშდება.

დამდგმელმა რეჟისორმა ალმასკომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარის როლის შემსრულებელი მსახიობი მაყურებელთა პირველი შეხვედრისთანავე დააკავშირა, მან სცენა მოინიშნა არენად, რომელზედაც მთხოვნელთა მიღების სრული ცერემონიალი გათამაშდა. ასეთმა ხერხმა მოხსნა ის უნებლიე დაჭიმულობა, რომელიც ხშირად არსებობს სცენასა და მაყურებელთა დარბაზს შორის — შეიქმნა კეთილგანწყობისა და ურთიერთნდობის ატმოსფერო.

რეჟისორის შემოთავაზებული პირობა მისივე ჩანაფიქრის განხორციელების აუცილებლობითაა გამოწვეული, რითაც მოვლენების ლოგიკურ განვითარებას მივყავართ სპექტაკლის დამაგვირგვინებელ საფინალო სცენამდე, როცა აღმასკომის თავმჯდომარე ერთხელ კიდევ აზუსტებს მაყურებლის წინაშე მის მიერ ჩატარებული მიღების შედეგებს და დაუფარავ შეფასებას აძლევს თვითოეული მთხოვნელის საქციელს. ამ დროს ის მაყურებელთა დარბაზთან ისეა დაახლოებული, რომ მოულოდნელად შემოსწრებული შეიძლება შეცდეს კიდეც — კითხვა-პასუხის საღამოს ხომ არ ვესწრებიო.

ა. ჩხაიძის „სამიდან ექვსამდე", ერთი შეხედვით, სცენური განხორციელებისას თითქოს სირთულეებთან არ არის დაკავშირებული — კარგი სახასიათო მსახიობები და საქმიანი კაბინეტის მოწყობილობა — ეს ერთი შეხედვით. თუ უფრო დავუკვირდებით, განსხვავებული ტიპებისა და ხასიათების მიუხედავად, მაინც ერთფეროვნების საშიშროებაა მოსალოდნელი. ფაქტიურად პიესას ახლავს შინაგანი სტატიკა ძირითადი მოვლენის უცვლელობის გამო. ეს გარემოება კარგად შეუმჩნევია ბ. კობახიძეს და მისი რეჟისორული პარტიტურა მთელი სპექტაკლის მანძილზე ეწინააღმდეგება რეალურად არსებულ ამ პირობას. წინააღმდეგობაში იკვეთება პარალელური მიზანსცენები, გმირთა მოულოდნელი შეხვედრები, ეკვივალენტური ნიუანსები და ზუსტი დეტალები, სცენური მოქმედები ინტენსიურად ათვისებულია და მიღების საათის ხასიათში არსებული ერთფეროვნების საშიშროება არა თუ მოხსნილია, საერთოდ არ არსებობს.

სცენოგრაფია სპექტაკლში ძალზე გამარტივებულია. აღმასკომის თავმჯდომარის, მდივნის, საერთო სათათბირო მაგიდებს რამდენიმე სკამი, საკვამლე მილი, თეთრი ფარდა და პალმა ერთვის. კედელი და მის შუაგულში ჩასმული დიდი კარები, საკმაოდ მასიური და შთამბეჭდავია. ელექტროსაათი წუთწუთ აღნუსხავს მიღების საათის დასაწყისსა და დასასრულს. დაწვრილებით იმიტომ ჩამოვთვალეთ დეტალები და მათზე საუბარიც გაგვიგრძელდა, რომ გულისტკივილით გვსურდა აღგვენიშნა სადადგმო კულტურის დაქვეითება ამ მიმართებითაც გამორჩეულ თეატრში.

სად არის ის ნაქები პეწი და სისუფთავე შესრულებაში ამ სიტყვების სრული მნიშვნელობით? თეატრი ამჯერად მართალია, სხვის კარზე იმყოფება, მაგრამ ტრადიცია ტრადიციაა და მას გაფრთხილება სჭირდება!..

რაც შეეხება კოსტიუმებს ყველა დახვეწილი გემოვნებითა და ზუსტად ხასიათებთან მიმართებაშია შერჩეული და შექმნილი, (მხატვარი მ. ჭავჭავაძე).

სპექტაკლის უმნიშვნელოვანესს ღირსებად უნდა ჩაითვალოს რიტმი, რომელიც აქტიური პულსაციით წარმართავს მოქმედებას. სპექტაკლი გამოირჩევა ნათელი აზრით, სიხალისით და მიუხედავად უამრავი პრობლემებისა, საზეიმო განწყობილებით, სიცოცხლის სიყვარულითა და ოპტიმიზმით.

ამიტომ ცოტა დაუჯერებლად ისმის თავმჯდომარის სიტყვები „უფერულ და

მშვიდ დღეზე", ამას მაყურებელი გმირის თავმდაბლობას მიაწერს.

განსაკუთრებით უნდა ავღნიშნოთ რეჟისორის გულთბილი დამოკიდებულება სპექტაკლში მონაწილე მსახიობების მიმართ. რეჟისორის ფხიზელი თვალი უზადო გემოვნებით წარმართავს მოქმედებას, მაქსიმალურად ტვირთავს მას.

ქალაქის ალმასკომის თავმჯდომარის როლში მთელი ბრწყინვალებით მოგვევლინა ე. მაღალაშვილი. მსახიობს ამ როლში ახასიათებს ადამიანური მომხიბვლელობა, პიროვნული სიამაყე, რომელიც ფიზიკურ და სულიერ სილამაზეს ჰარმონიულ მთლიანობაში წარმოადგენს. პირველი სიტყვების წარმოთქმისთანავე მსახიობი უშინაურდება მაყურებელს და ტემპერამენტითა და რაღაც სპორტული აღტკინებით ემზადება მთხოვნელების მისაღებად.

ამ როლში ე. მაღალაშვილს დიდი დატვირთვა აქვს, ის გამუდმებით სცენაზეა, სჯის, საუბრობს, ხუმრობს, უსმენს მთხოვნელებს, ბრაზობს, იცინის და მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, ერთი წუთით არ ღალატობს აქტიორული ტაქტი, პარტნიორისადმი პატივისცემა, გემოვნება და ფიზიკური ძალა, დიახ, ასეთი როლის შემსრულებელს ეს უკანასკნელი კარგა გვარიანად ესაჭიროება. მისი წყალობით რეჟისორი ბუნებრივად ითვისებს სცენის ყველა კუნჭულს, ქმნის საინტერესო მიზანსცენებს და გაცოცხლებულ სივრცეში ანვითარებს მოქმედებას.

ე. მაღალაშვილის მიერ შექმნილი გმირი ყველა იმ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, რაც თანამედროვე გმირს მოეთხოვება. სპექტაკლში მის მიერ შექმნილი სახე, ჩემის ღრმა რწმენით, საუკეთესოა ქართული თეატრის ბოლო წლების აქტიორულ ნამუშევრებში.

რაკი რეჟისორი ბ. კობახიძე თვითონ შესანიშნავი სახასიათო მსახიობი გახლავთ, ამ გარემოებამაც განსაზღვრა სპექტაკლში ბრწყინვალე აქტიორული ანსამბლი, რომელთა ცალ-ცალკე ... სას მხოლოდ კომპლიმენტის წარმოთქმის სურვილი გვებადება. ყველა მათგანს თავისი ფერი შემოაქვს სპექტაკლში მკაფიოდ, მსუყედ და დაუმადლებლად.

ავიღოთ ვ. ნინიძე აბუთიძის როლში, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო სახეა, რაც მას რუსთაველის თეატრში მოღვაწეობის მანძილზე შეუქმნია. მსახიობმა შეძლო გმირის ხასიათში გაეცოცხლებინა წარსული, სახიერად ეჩვენებინა აწმყო, რაც შეეხება მომავალს— სკეპტიკური წერტილი დაესვა. ინტრიგანი „მოღვაწის" დაუდგრომლობა ვ. ნინიძემ უზუსტესი ნიუანსებით წარმოსახა.

რაოდენ სიხარულს და სიყვარულს ამყღავნებს მაყურებელი კ. საკანდელიძესთან და მარინე თბილელთან შეხვედრისას. ისინი შესაშური სიზუსტით, დახვეწილად, გემოვნებითა და თავშეკავებულად წარმართავენ „დუეტს" კომიკურ სიტუაციებში. მაყურებელი ტაშით, სიცილით აწყვეტინებს მოქმედებას მსახიობებს, რათა გაიხანგრძლივონ მათთან ურთიერთობით მიღებული სიამოვნება.

შთამბეჭდავია მსახიობების ხმა გმირის ხასიათისათვის ნიშანდობლივი ინტონაციებით, მოძრაობა, გამოხედვა და ხაზგასმული პიროვნული სიამაყე. „ვახტანგ ნიკოლაევიჩ", „ვახტანგ ნიკოლაევიჩ" მტკიცედ წარმოთქვამს დათუაშვილი და ჩვენს თვალწინ მსახიობი რ. მიქაბერიძე ქმნის თანამედროვე საქმოსანის „ვეშისტის" სრულყოფილ სახეს.

პიესაში არის ერთი ეპიზოდი, რომელიც ოდნავ გამოგონილის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ესაა ალმასკომის თავმჯდომარის კაბინეტის ფანჯრებთან მოყვანილი საბავშვო ბაღის ბავშვები.

მაგრამ თურმე ამ „ნაკლსაც" ეშველება, გააჩნია ქალბატონი ქეთევანის როლში ვინ იქნება!

ზინა კვერენჩხილაძე დრამატული მგზნებარებით წარმართავს როლს, არაჩვეულებრივი გულწრფელობით გამოარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩევა გმირი, სანთელივით სუფთა და შიწირულის გამომეტყველებით. ზომიერება და მოკრძალება ახლავს მსახიობის შესრულებას, გრძნობა სპექტაკლის საერთო განწყობილებისა, რბილ იუმორსაც გამოურევს აქა-იქ სცენის დიდებული ოსტატი. რეაქტიული სიჩქარით წამოსროლილი სიტყვების კორიანტელი, კომედიური აღტაცება გროტესკის ზღვარზე და მთელი წყება ოსტატური „პასაჟებისა" ვირტუოზის სიმსუბუქით შემოგვთავაზა კახი კავსაძემ.

„ავტომატურ რეჟიმში" ასეთი გამოთქმა დამკვიდრდა კოსმონავტების მიერ. თითქოს ასეთი არტახებითაა შეკრული დ. პაპუაშვილი ფაინშტეინის როლში. პროვინციაში ჩამოსული ცირკის დირექტორი ათასი გადაუწყვეტელი პრობლემითა და ფიქრითაა დატვირთული.

თითქმის ჩამოთავდა მთხოვნელთა რიგი და შეგვრჩა ერთი უცნაური კაცი აღმასკომის თავმჯდომარის წითელ ფანქარზე, შეყვარებულის აღტაცებით რომ ლაპარაკობს. ინტელიგენტური სირბილე, თავაზიანობა, მოკრძალება, პატივისცემა სიკეთისადმი მთელი სისავსით მოაქვს გ. თალაკვაძეს შალამბერიძის როლში. სწორედ, ასეთი ადამიანები ინახავენ ცხოვრებაში სიწმინდეს და პატიოსნებას.

სპექტაკლში თამამად არიან წარმოდგენილი დებიუტანტები: თ. ზაქარიაძე, რ. ვაჩნაძე, გ. მგალობლიშვილი, მ. საღარაძე, კ. თავართქილაძე. იმედიანი თვალით შევცქერით მათ და ყველას ერთად მეტყველების ხარვეზზე მივუთითებთ.

კვლავ ფინალურ სცენასთან ტრიალებს ჩვენი ფიქრი — აღმასკომის თავმჯდომარე ხალხთან, მაყურებელთან ერთად იხილავს მიღების შედეგებს. აქ იკვეთება სპექტაკლის კონცეფცია, მისი დედააზრი, გულწრფელი საუბარი, პირადი მაგალითი, გულახდილობა, ურთიერთნდობა — აი, საფუძველი წარმატებისა.

მარეხ გოძიაშვილის საღამო მოსკოვში

19 ოქტომბერს მოსკოვის ა. იაბლოჩკინას სახ. მსახიობის ცენტრალურ სახლში საქართველოს თეატრალური საზოგადოების ინიციატივით გაიმართა მ. გოძიაშვილის შემოქმედებითი საღამო.

საღამოზე, რომელიც გახსნა რსფსრ სახალხო არტისტმა, პროფესორმა, თ. იანკომ, თავი მოიყარეს მოსკოვის თეატრების წარმომადგენლებმა, ქართული მუსიკალური და საესტრადო ხელოვნების თაყვანისმცემლებმა, მეგობრებმა.

საღამოზე მ. გოძიაშვილმა ჩვეული ოსტატობით შეასრულა ქართველ, რუს და უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. მ. გოძიაშვილმა ლირიზმით, პროფესიონალიზმით, ლამაზი, გულში ჩამწვდომი ხმით, მოხიბლა მოსკოველი მსმენელები. მ. გოძიაშვილს კარგ პარტნიორობას უწევდნენ მომღერლები და გიტარისტები: ედუარდ ჯულაბაშვილი და ვატა ჩხაიძე. კონცერტმეისტერი ვალერი კაგაროვი.

საღამოს შესანიშნავად წარმართავდა და მ. გოძიაშვილის შემოქმედების ირგვლივ საუბრობდა მუსიკათმცოდნე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ე. მაჭავარიანი.

საღამოს დასასრულს მ. გოძიაშვილს მიესალმა თეატრალური კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ბ. პოიუროვსკი, მოცეკვავე თ. შახოვსკაია, რსფსრ სახ. მხატვარი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ირ. თოიძე, მსახიობის სახლის დირექტორის მოადგილე მ. ვოლოვიკოვა.

ჟანა თოდიძე

20 წლის შემდეგ

დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმურის“ ლიბრეტო ვალტერ სკოტის რომანის—„ლამერმურელი პატარძალი“ — მიხედვითაა შექმნილი. იგი მსოფლიოს თითქმის ყველა საუკეთესო საოპერო სცენაზე დაიდგა. სასიხარულოა, რომ ჩვენში ეს ოპერა მეორედ განხორციელდა — პირველად, 1851 წლის 9 ნოემბერს „ლუჩია დი ლამერმურით“ გაიხსნა პირველი საოპერო სეზონი საქართველოში. ამ ოპერას, რეჟისორისა და ანტრეპრენიორის, ბარბიერის მონაწილეობით იტალიური დასი ასრულებდა. მეორედ კი 1963 წელს დაიდგა (რეჟისორი— ჯ. ანჯაფარიძე). ხოლო ახლა, 20 წლის შემდეგ, ამჟამად ქუთაისის საოპერო თეატრის სცენაზე კვლავ აჟღერდა „ლუჩია დი ლამერმური“.

კ. სტანისლავსკი ამბობდა: „მხოლოდ და მხოლოდ არტისტის ჭეშმარიტი განცდა, შემოქმედებითი აღმაფრენა, შთაგონებას რომ ეძახიან ხოლმე, შეიძლება იქცეს ჭეშმარიტ ხელოვნებად“. ... ისის ოპერის ახალგაზრდა სოლისტები სცენაზე მართალნი და შთაგონებულნი იყვნენ. ამას ხელს უწყობდა მათი ახალგაზრდა ხმების ნათელი და ემოციური ჟღერა. შეიძლება ითქვას, რომ მაქსიმალურად გამოვლინდა ყოველი მომღერლის საშემსრულებლო ბუნება და შესაძლებლობა. ამაში უპირველესი წვლილი მიუძღვის სპექტაკლის დამდგმელს — საქართველოს სსრ სახალხო არტისტს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის სოლო სიმღერის კათედრის გამგეს, პროფესორ ნოდარ ანდღულაძეს. ჩვენ იმიტომ გავუსვით ხაზი მის თანამდებობას კონსერვატორიაში, რომ, როგორც ცნობილია, ქუთაისის საოპერო თეატრი თითქმის მთლიანად თბილისისა და ქუთაისის კონსერვატორიების კურსდამთავრებულებითაა დაკომპლექტებული. ამდენად, ახალგაზრდა მსახიობების შესაძლებლობების გათვალისწინებით, ცხადია, რეჟისორს უფრო გაუადვილდებოდა მუშაობა. სპექტაკლში მთლიანად იყო გახსნილი ყოველი შემსრულებლისა თუ გუნდის, ცალკეული არიისა თუ მთლიანი მუსიკალური ფაქტურის ინტონაციური, რიტმული და სცენური მხარეები. სპექტაკლის გადაწყვეტის მთავარ პრინციპად რეჟისორი ნოდარ ანდღულაძე მუსიკალური ნაწარმოების ყველა ელემენტთა დრამატურგიული მნიშვნელობის აღმოჩენას მიიჩნევს. ყოველი სცენის გადაწყვეტისას იგი მუსიკიდან მომდინარეობს და ამიტომ მოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედებიდან მოქმედებამდე ოპერა იმდენად დინამიურად ვითარდებოდა, რომ ამაღელვებელ, ძლიერ დრამად გადაიქცა. ეს კი რეჟისორთან ერთად დირიჟორის, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის თ. კობახიძის დამსახურებაცაა, მათმა ერთობლივმა მუშაობამ, შემოქმედებითმა სულისკვეთებამ, თეატრის კოლექტივშიც ჯანსაღი ატმოსფერო შექმნა.

განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ამ დადგმაში თოთქმის მთლიანად ახალგაზრდობა გახლდათ დაკავებული. რეჟისორმა მათ პროფესიული პასუხისმგებლობა დააკისრა.

ედგარ რავენსვუდის დასამახსოვრებელი სახე შექმნა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ა. ჭურღულიამ. მისი ღირსეული პარტნიორი იყო ჰენრიხ ასტონის როლის შემსრულებელი საქართველოს სსრ დამსახ. არტისტი გ. ლომინაძე, რომელიც კარგად ფლობდა სიმღერისა და სიტყვის კულტურას, მისი ხმა ნათლად და თავისუფლად ჟღერდა. შესანიშნავი სამსახიობო მონაცემებით, ლამაზი ხმითა და მუსიკალობით განსაკუთრებით აღაფრთოვანა მსმენელი ლუჩიას პარტიის შემსრულებელმა — ნიჭიერმა მომღერალმა ფ. დუნდუამ — კარგად იმღერეს ახალგაზრდა მომღერლებმა ა. გუჯაბიძემ და ნ. ხიზანიშვილმა. ინტონაციურად სუფთად და მწყობრად ჟღერდა გუნდი, ასევე ანსამბლი და დუეტები, რაც ქორმეისტერების — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახ. მოღვაწის ა. მაჭავარიანისა და ო. თოფურიძის დამსახურებაა.

საკმაოდ საინტერესო იყო ბალეტის ქტაკლის დეკორაცია და კოსტუმები (მხატვარი — თ. არსენიძე). მოდერნიზებული, აბსტრაქტული, მარტივი დეკორაცია კარგად ეთანხმებოდა ოპერის მუსიკის მინორულ ტონალობას. ზოგიერთი ნაკლოვანების მიუხედავად, რომლებიც თითქმის ყოველთვის ახლავს ხოლმე პირველ სპექტაკლებს, პრემიერამ კარგად ჩაიარა.

დღესდღეობით ქუთაისის ოპერის თეატრს ბევრი გადაუჭრელი პრობლემა აქვს, რომლებიც დღითიდღე უფრო სერიოზულ და საპასუხისმგებლო ხდება და რომლებმაც არ შეიძლება ყოველ წარმოდგენას თავისი დაღი არ დაასვას (თუნდაც ის, რომ თეატრს არ ჰყავს მთავარი რეჟისორი). მაგრამ თეატრის ახალგაზრდული კოლექტივი, ცდილობს სიყვარულითა და შემოქმედებითი ენერგიით დასძლიოს ყოველგვარი წინააღმდეგობა. ქუთაისი ხომ ნამდვილად მუსიკალური ქალაქია და შეუძლებელია, რომ მაღალი მუსიკალური დონის საოპერო თეატრი არ ჰქონდეს. ქუთაისის ფილარმონიაში ყოველთვის იმართებოდა ესტრადის საუკეთესო ოსტატთა კონცერტები, ვოკალის საღამოები, სიმფონიური და საფორტეპიანო კონცერტები. რაც შეეხება ხალხურ ფოლკლორს, იმერული სიმღერები ხომ ოდითგანვე იპყრობდა მსმენელს თავისი მრავალხმიანობით. სწორედ ამიტომაა საჭირო რომ ამ ქალაქში არ დაირღვეს ძველი მუსიკალური ტრადიციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ



ᲙᲝᲢᲔ
ᲜᲘᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘᲡ ᲛᲠᲬᲐᲛᲡᲘ

გიორგი გეგეჭკორი ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია ქართველ მსახიობთა იმ თაობისა, რომელთაც წილად ხვდათ რუსთაველის თეატრის ტრადიციების განვითარება... გიორგი გეგეჭკორს არც აკაკი ხორავა შეუცვლია რუსთაველის თეატრის სცენაზე და არც აკაკი ვასაძე, მან თავისი ადგილი დაიმკვიდრა აქტიორული მაღალნიჭიერებით, გამორჩეული პიროვნული ღირსებებით, მდიდარი შინაგანი ბუნებით და შემოქმედებითი მისწრაფებებით.

გ. გეგეჭკორი დიმიტრი ალექსიძის აღზრდილია. მის მოწაფეღ ითვლება, მაგრამ ახალგაზრდა მსახიობის აქტიორული ინდივიდუალობის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ორმოციან წლებში რუსთაველის სახ. თეატრალურ ინსტიტუტში თავმოყრილმა ქართველი მეცნიერების, თეატრმცოდნეების პედაგოგიურმა მოღვაწეობამ. ასევე ნაყოფიერი იყო გიორგი ტოვსტონოგოვის მიერ თეატრალურ ინსტიტუტში დადგმულ სპექტაკლებში მონაწილეობა.

გ. გეგეჭკორის დებიუტი რუსთაველის თეატრში შესდგა 1944 წელს გლუმოვის როლში (ა. ოსტროვსკის „ზოგჯერ ბრძენიც შეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდება". დამდგმელი დ. ალექსიძე) იმთავითვე იგრძნობოდა გ. გეგეჭკორის შემოქმედებითი პოტენციური ძალა. აშკარა გახდა, რომ ეს-ალგაზრდა კაცი თეატრისათვის იყო დაბადებული.

ჩვენი თაობის სიყმაწვილის ძლიერ თეატრალურ შთაბეჭდილებას მიეკუთვნება გ. გეგეჭკორის ნიკოლოზ ბარათაშვილი. ბავშვობაში ნანახი ფერადი სიზმარივითაა ეს შთაბეჭდილება, როგორც მწერალმა ნოდარ წულეისკირმა თქვა ერთხელ.

სულ ახლახან, ანჩისხატის განახლებულ უბანში, ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლმუზეუმში, მოეწყო სპექტაკლ „ბარათაშვილის" დამდგმელ ჯგუფთან შეხვედრა. შეხვედრაზე გ. გეგეჭკორმა თქვა: „დ. ალექსიძის ჩანაფიქრით ბარათაშვილში მთავარი იყო, რომ ჭეშმარიტ ნიჭს ვერ ჩაახშობს ვერავითარი წინააღმდეგობა, იგი უეჭველად დაიმკვიდრებს თავის ადგილს ერის ცხოვრებაში. ბედის უკულმართობამ, ოჯახის სიდუხჭირემ, ჩინოვნიკურმა სამსახურმა და პირადმა ტრაგედიამ ვერ ჩაუკლა გენიალურ პოეტს დიდი სულიერი შეუპოვრობა"... სწორედ ასეთ პიროვნებად შეძორჩა ქართულ თეატრს გ. გეგეჭკორის ლეგენდარული ბარათაშვილი.

იმ პერიოდში უკვე ნათლად გამოვლინდა გეგეჭკორის თვითმყოფადობა. თანდათან გამოიკვეთა მისი ინდივიდუალობა და მდიდარი აქტიორული შესაძლებლობანი: კლასიკური, ჰეროიკული კომედიის ჟანრისათვის აუცილებელი სილაღე და ფსიქოლოგიური დრამისათვის საჭირო ანალიტიკური განსჯა.

გ. გეგეჭკორის ყველა სცენური სახე, სრულქმნილი და ნაკლებად სრულყოფილიც კი, შექმნილია სიმსუბუქით, ძალდატანების გარეშე. ყველაზე თამამი, გამძაფრებული შტრიხიც კი გასაოცარი ბუნებრიობით არის შესრულებული. სახის გრიმით გადატვირთვა არ უყვარს (გამონაკლისს წარმოადგენს თეატრალურ ინსტიტუტში შესრულებული ერნსტ ბივერსი — ჯ. პრისტლის „დრო და კონვეის ოჯახი"; ზოლოდნიკოვი — თ. სოლოგუბის „ნაზი გულის ბრალია"; კავალერი რიპაფრატა კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი" და რუსთაველის თეატრში ნათამაშევი; ბლაგოი — ბ. ნუშიჩის „ფილოსოფიის დოქტორი", ბოპერტუი — ე. ლაბიშის „ჩალის ქუდი"). ბოლო წლებში შესრულებულ როლებში მისი სახე მხოლოდ გრიმის მსუბუქი შტრიხებით იცვლება. რაღაც სხვაგვარი გარეგნული პეწი ახლავს გ. გეგეჭკორის სცენურ გმირებს. როგორ ელეგანტურად ატარებდა დონ სეზარ დე ბაზანის ესპანურ ტანსაცმელს, რა ჩინებულად ხმარობდა დაშნას და რა ლამაზად აკეთებდა რევერანსს, რარიგად მოხდენილი იყო მისი მიხრა-მოხრა, რაინდული გახლდათ მისი მანერები. ამ მოხდენილ ერს საზღვრავდა მსახიობის სხეულის პლასტიურობა. გ. გეგეჭკორი არ გამოირჩევა ათლეტური გარეგნობით, მაგრამ გაიხსენეთ მისი გმირების აღნაგობა სცენაზე...

გ. გეგეჭკორი ხალხის საყვარელი მსახიობია, ყოველ უმნიშვნელო ეპიზოდში გამოსვლის დროსაც კი, მაყურებელთან კონტაქტს ამყარებს, სცენაზე გამოჩენისთანავე იგი ყურადღების ცენტრში ექ-

ცევა. უდიდესი პატივისცემა და მოკრძალება სჩვევია ავტორისეული სტილის თავისებურებათა მიმართ და საერთოდ, ლიტერატურული მასალისადმი. გ. გეგეჭკორი მუდამ გამოირჩევა პიესის ტექსტისადმი სათუთი მოპყრობით. სპექტაკლ „ჭინჭრაქაში“, სადაც ყოველი რიგითი წარმოდგენა ახალ-ახალ კვიმატურ, გონებამახვილურ რეპლიკებს წარმოქმნიდა. აქტიორული იმპროვიზაციით მოზღვავებულ სპექტაკლში მონაწილე მსახიობები გატაცებით ეძლეოდნენ ამგვარ ოხუნჯობას. გ. გეგეჭკორი არასოდეს აჭყოლია ცთუნებას. მასში ღრმად არის გამჯდარი ერთგულება ავტორის ტექსტისადმი, ერთხელ მიგნებულის განმტკიცება. ყველა ეს თვისება ჰარმონიულად არის შეთანხმებული მის მოქალაქეობრივ პოზიციასთან.

ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში გ. გეგეჭკორმა გულწრფელობითა და თბილი იუმორით შექმნა კოტე მათიაშვილის იერსახე (გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი“) და ალექსი (ვ. როზოვის „ხალისიანი მეგობრები“) ორივე სპექტაკლის დადგმა აკ. დვალიშვილს ეკუთვნოდა, რომლის რეჟისორული პრინციპი მოითხოვდა ცხოვრების სიმართლესთან მიახლოებას. გ. გეგეჭკორის შესრულებაში თვალში გხვდებათ ხაზგასმული უბრალოება და გამოძსახველი ფერების სისადავე.

ფრიად საგულისხმო ფსიქოლოგიური წიაღსვლებით ხასიათდებოდა გ. გეგეჭკორის ვახტანგ ნიჟარაძე (გ. ხუხაშვილის „ზღვის შვილები“. დამდგმელი მ. თუმანიშვილი). გ. გეგეჭკორის შემოქმედებით ლაბორატორიაში ჩახედვის შესაძლებლობას გვაძლევს მისი შემოქმედების მკვლევარი, თეატრმცოდნე ლალი ყურულაშვილი. დიდი სიყვარულით დაწერილ მონოგრაფიაში ავტორს ხშირად მოჰყავს შემოქმედის აზრები თუ ფიქრები, სადაც თვალსაჩინო ხდება მსახიობის ნათელი, ლოგიკური აზროვნება, მოქალაქეობრივი დამოკიდებულება მხატვრული სახისადმი — „მისი (იგულისხმება ვახტანგ ნიჟარაძე) წარსული შეცდომების მონანიება უნდა ხდებოდეს მეტად თანმიმდევრულად. ხაზი უნდა გაესვას, რომ იგი ობიექტური მიზეზების გამო დაადგა ასეთ გზას. ხასიათიც ამ ობლობამ და უსახლკაროობამ ჩამოუყალიბა, რწმენა შეურყია. როლის პერსპექტივას ამ მხატვრულ სახეში დიდი მნიშვნელობა აქვს... მისი ფუნქციაც ამ ორ დროში უნდა ვეძიოთ, მის პერსპექტივაში — წარსულში გზას აცდენილი, უიმედოდ შეყვარებული ახალგაზრდის შეცოდება და დაღი, მისი წარსული შეცდომებისა...“

ექვთიმე ქათამაძის როლში (კ. ბუაჩიძის „ამბავი სიყვარულისა“) გ. გეგეჭკორმა შინაგანი გარდასახვის შესაშური უნარი გამოამჟღავნა. მან ჩვეულებრივ ყოფით დეტალებში მარტოხელა კაცის უძლურ თვისებებში არაჩვეულებრივი აღმოაჩინა! ამავე დროს ინარჩუნებდა ავტორისეულ სევდანარევ ღიმილს და თავის მხრივ მკვეთრ გროტესკულ ხერხებს იყენებდა. როგორც სპექტაკლის რეჟისორი მ. თუმანიშვილი აღნიშნავდა, ამ როლში გ. გეგეჭკორისათვის დამახასიათებელი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე გარეგნული ფორმის ჩამოყალიბება კი არ მოხდა, პირიქით: „მან გამოძებნა თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისი გმირის მოქმედების მახვილი, ნათელი გამომხატველობა
ფორმა. იგი შეესისხლხორცა ამ გარეგანს საკუთართან სრულ
შერწყმამდე“... აქტიორული ოსტატობის ფეიერვერკი იყო სპე-
ქტაკლში ივლიტე ბოსტოღანაშვილის გამოცდის, შემდეგ პაე-
მანის და ახალ ბინაში შესახლების სცენები. გასაოცარი იყო
გ. გეგეჭკორი-ქათამაძის მეტყველების და სიარულის მანერა. იუმო-
რი, რომელიც მაყურებლის გულღია სიცილს იწვევდა.

გ. გეგეჭკორის შემოქმედებითი გამარჯვება იყო თომა ჩუკაკი-
ძის სახე არჩ. ჩხარტიშვილის მიერ დადგმულ ვ. კანდელაკის პიესაში
„ერთხელ დახოცილები“. მიუხედავად იმისა, რომ არც დრამატული
მასალა, და არც სპექტაკლი მაღალმხატვრულობით არ გამოირჩეოდა,
პიესაში დასმული პრობლემა აქტუალური იყო. ეს გახლდათ ქართ-
ველი ხალხის გამრავლების საკითხი. თომა ჩუკაკიძეს ყველაზე მე-
ტად გვარის უმემკვიდროდ გადაშენება აწუხებდა. ამის გამო დღე-
ნიადაგ უკიჟინებდა უკვე ხანში შესულ დაოჯახებულ შვილს. დრამა-
ტული და კომედიური ინტონაციების შეზავებით განსაკუთრებით
შთამბეჭდავი იყო გ. გეგეჭკორის — თომა ჩუკაკიძის და ე. მანჯ-
გალაძე ასკალონ ჩუკაკიძის სცენები. თვით თომა ჩუკაკიძე — გ. გე-
გეჭკორი ახალუხში და აზიურ ჩექმებში ლაზათიანად გამოწყობი-
ლი, ლამაზად მოგდებული ყაბალახით ღრმად ხანდაზმული, მაგრამ
მკვირცხლი მოხუცი, შემთხვევას არ უშვებდა ქალისათვის მოჟუჟუ-
ნე თვალები რომ არ შეევლო...

რობერტ სტურუას ადრეულ, ანსამბლურობით შთამბეჭდავ სპე-
ქტაკლებში გ. გეგეჭკორი (ვ. როზოვის „ვახშმობის წინ“ გადმოქარ-
თულებული ჯ. ჩარკვიანის მიერ) მიხეილ ყიფშიძის სცენურ სახეში
სრულიად განსხვავებულ აქტიორულ ფერებს და ნიუანსებს იყენებ-
და, ხოლო დუმბაძისეული პროფესორის („მზიანი ღამე“) და ტიგრან
გულოიანის („საბრალდებო დასკვნა“) სცენური სახეები კიდევ ერ-
თხელ მეტყველებდა მსახიობის გარდასახვის დიდ ოსტატობაზე.

რეჟისორ თემურ ჩხეიძესთან საინტერესო მუშაობის შედეგი
იყო პროფესორ გიორგის სცენური სახე თ. ჭილაძის დღევანდელო-
ბის ამსახველ მწვავე პრობლემურ პიესაში „მოულოდნელი სტუმა-
რი“.

გ. გეგეჭკორის შემოქმედებით გამარჯვებად ითვლება ბილ სტა-
რბაკი (რ. ნეშის „წვიმის გამყიდველი“), რომელიც ბ. კობახიძის მი-
ერ დადგმულ სპექტაკლში განასახიერა. ერთი შეხედვით არაამქვეყ-
ნიური, მაგრამ საკუთარი რწმენით ანთებული, მეოცნებე გეგეჭკო-
რი — სტარბაკი ადამიანში სიკეთის, იმედის გაღვიძებას ესწრაფოდა.
ბილ სტარბაკის განსახიერებაში, შესრულების მანერის მხრივ ბარა-
თაშვილის და დონ სეზარის სცენური სახეების რაღაც გამოძახილი
მოჩანდა.

გროტესკული გამომსახველობითი საშუალებების უხვად გამო-
ყენებით, ირონიული სცენური ხედვის სიმახვილით, მხატვრული სა-
ხის გარეგნული ფორმის დახვეწილი შტრიხებით, პიესის ჟანრის
ცხადი შეგრძნებით საინტერესოა გიორგი გეგეჭკორის ბლაგოი (ბ.

ნუშიჩის „ფილოსოფიის დოქტორი“) და მგელი გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“ (ორივე სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია მიხეილ თუმანიშვილი) გიორგი გეგეჭკორის ბლაგოის უცნაური, გაშარჟებული გრიმით, წაწვეტებული ცხვირით, ჯაგარივით უხეში წარბებით, აშკარად ხელოვნური თმით უმალ შეიცნობდით გრიმის გრძნობათა ბუნების ამოხსნის ხერხს.

ჩვენს მეხსიერებას არ სცილდება გიორგი გეგეჭკორის მხარმოქცეული, კუჭგამხმარი, კოპლებიანი ხილაბანდით ყბააკრული, ჩამოფხატული ფაფახით, გაპრანჭული სიარულით და მეგრული აქცენტით მოლაპარაკე მგელი, კლუბში გუნდის რეპეტიციის დროს.

გიორგი გეგეჭკორის ბახვა ფულავა (გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“. დამდგმელი რეჟისორი დ. ალექსიძე), ორმოცდაათიან წლებში და გლოსტერი (უ. შექსპირის „მეფე ლირი“. დამდგმელი რეჟისორი მ. თუმანიშვილი) სამოციან წლებში ქართველი მაყურებლის უსაზღვრო თანაგრძნობით იყო გარემოსილი.

იმის თქმა, რომ გიორგი გეგეჭკორს ბოლომდე გამოუვიდა ჰამლეტი ან ექიმი სტოკმანი, არ იქნება სამართლიანი. დასრულებული სახე არ ჰქონდა არც მის კასიუსს (უ. შექსპირის „იულიუს კეისარი“), არ დასცალდა აღიარება გ. გეგეჭკორის დემეტრიუსსაც (უ. შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“). ხანმოკლე სიცოცხლე ჰქონდა ბესემენოვს (მ. გორკის „მდაბიონი“, დამდგმელი რეჟისორი გ. ტოვსტონოგოვი). გ. ტოვსტონოგოვის მოუცლელობის გამო რეპეტიციებზე მას სცვლიდა რეჟისორი რ. სიროტა, და იქნებ ამის გამოც ჩანაფიქრი სრულყოფილად ვერ იქნა რეალიზებული. თუმცა, გ. ტოვსტონოგოვის მიერ ჩატარებულმა რამდენიმე რეპეტიციამ დიდი შემოქმედებითი კმაყოფილება მოჰგვარა გიორგი გეგეჭკორს.

ნათან ბრძენის (ლესინგის „ნათან ბრძენი“. დამდგმელი რეჟისორი ვ. ვაქსმუტი, გფრ) შინაგანი სიდარბაისლე და კაცთმოყვარე ბუნება გიორგი გეგეჭკორის მიერ ძუნწი ფსიქოლოგიური ნიუანსებით და თავშეკავებული ემოციით იყო გამოვლენილი. მაგრამ სცენაზე მსჯელობას მიუჩვეველი ჩვენი მაყურებელი ნაკლებად ააღლვა სპექტაკლის გამომსახველობითმა სტატიკურობამ.

ჭეშმარიტი ხელოვანის შემოქმედებით ბიოგრაფიაში ნებისმიერ, თუნდაც წარუმატებელ ნამუშევარს დიდი მნიშვნელობა აქვს აქტიორული ინდივიდუალობის განვითარებისა და დახვეწის, გამოცდილების დაგროვებით თუ შემოქმედებითი პალიტრის გამდიდრების თვალსაზრისით, რომელიც შემდგომში უთუოდ იჩენს თავს მსახიობის სხვა ნამუშევრებში.

ნამდვილად სამახსოვრო სახეა გიორგი გეგეჭკორის პლატონ სამანიშვილი. ნატიფი შესრულების მანერით, უნიკალური ზომიერებით და ზუსტად მიგნებული სევდანარევი ღიმილით აცოცხლებს იგი კლდიაშვილისეულ გმირს. რაც ასე აუცილებელია ჭეშმარიტი წარმოსახვისათვის. გიორგი გეგეჭკორს უხილავი ნიუანსებთ გადავყავართ ავტორისეული თხრობიდან პლატონის სულიერ სამყაროში

— ეს პროცესი იშვიათი სიფაქიზით მიმდინარეობს და სცენური სიმართლით იწყება. მსახიობი გულდაგულ მიჰყვება რეჟისორებს (თ. ჩხეიძე, რ. სტურუა) ორიგინალურ ჩანაფიქრს, ხატოვნად წარმოაჩენს სცენურ მეტაფორებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლატონ სამანიშვილის როლი თვისობრივად ახალი მომენტი იყო გიორგი გეგეჭკორის შემოქმედებაში.

რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე ნოდარ წულეისკირის „ძველი სამრეკლოს“ დადგმა ლილი ილოსელიანმა დაიწყო. მოხდა ისე, რომ რეპეტიციები შეწყდა. გიორგი გეგეჭკორს, რომელიც მთავარ როლს ასრულებდა მაინც აწუხებდა სპექტაკლის ბედი, ღელავდა არ დაკარგულიყო მეტად საჭირბოროტო პრობლემაზე სცენიდან თქმის საშუალება. ამიტომაც იკისრა თავად დაემთავრებინა სპექტაკლი.

პანტე ჯაავას ხასიათი, გმირის სატკივარი და სიხარული, მახლობელია გ. გეგეჭკორის პიროვნებისათვის, მისი მოქალაქეობრივი მისწრაფებისათვის. პანტე ჯაავას ეროვნული ძეგლების დაცვა საკუთარ მოვალეობად გაუხდია. ისტორიული მნიშვნელობის ქვაზე ზრუნვას საშვილიშვილო საქმედ მიიჩნევს. ამიტომაცაა, რომ ასე გატაცებით, გულწრფელად, მთელი არსებით ცხოვრობს სცენაზე გ. გეგეჭკორის პანტე ჯაავა. იგი უკომპრომისო და თავდადებულია საკუთარი რწმენისადმი. მხატვრული გმირისა და მსახიობის სათქმელში გამოსჭვივის მკვეთრად განსაზღვრული მოქალაქეობრივი პოზიცია.

გ. გეგეჭკორს განზრახული აქვს „ძველი სამრეკლო“ საქართველოს ყველა ისტორიული ძეგლების შემოგარენში გათამაშდეს, სპექტაკლის შემოსავალი კი ისევ ამ ძეგლების მოვლა-პატრონობას და სარესტავრაციო სამუშაოებს მოხმარდეს. მსახიობს ამ ოცნების განხორციელება მამულიშვილურ საქმედ მიაჩნია.

ეროსი მანჯგალაძეს აუხდენელ ოცნებად დარჩა კინომსახიობთა თეატრში მოხუცი რეჟისორის თანაშემწის როლის თამაში ამერიკელი მწერლის ტ. უაილდერის ნაწარმოებში „ჩვენი პატარა ქალაქი“. რომელიც მისივე თხოვნით რ. გაბრიაძემ გადმოაქართულა და პიესაც დაწერა. მ. თუმანიშვილმა ე. მანჯგალაძის ხსოვნის საპატივცემულოდ მაინც გადაწყვიტა სპექტაკლის დადგმა. რეჟისორის თანაშემწის როლზე კი ეროსის მეგობარი და პარტნიორი გ. გეგეჭკორი მოიწვია. გ. გეგეჭკორს უჭირდა დათანხმება ორი გარემოების გამო — ეძნელებოდა ეროსისათვის განკუთვნილი როლის თამაში და მეორეც — უნდა ემუშავნა უცხო დასთან ერთმორწმუნე ახალ თაობასთან, მაგრამ რადგან მ. თუმანიშვილი გახლდათ მოთავე ამ სპექტაკლისა შეეძლო მინდობოდა მას. მიენდო კიდეც... პრემიერაზე მრავალი თაყვანისმცემელი უკრავდა ტაშს კინომსახობთა ახალგაზრდა მსახიობთა შორის ჩვეული მორიდებით ჩამდგარ, თავდაბრილ ოსტატს. როცა საგრიმიორო ოთახში გ. გეგეჭკორი მილოცვებს იღებდა, ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, თითქოს ეროსის ხსოვნას რაღაც მნიშვნელოვანი შემატაო.

მიუხედავად იმისა, რომ ეკრანზე, ტელევიზიაში და რადიოში ყოველთვის თავდადებით თანამშრომლობს თეატრი მისთვის ბეჯითი ვარი და უპირველესი ასპარეზია. მართალია იგი არ არის რუსთაველის თეატრის დღევანდელი სცენური ესთეტიკის აქტიური გამომხატველი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, პლატონ სამანიშვილის სცენური სახის შემქმნელი მსახიობი, მალე კვლავ ახალი ძალით გაიბრწყინებს ქართულ სცენაზე...

გ. გეგეჭკორი, როცა თეატრის რეპერტუარში ინტენსიურად არ არის დაკავებული (იყო წლები როცა თეატრის მთელი რეპერტუარი მის მხრებს აწვა), მისთვის ძვირფასი ქართული მწერლობის ნიმუშების სცენურ ვარიანტებზე მუშაობს. შეიძლება მათგან ზოგიერთმა რამპის შუქი ვერც კი იხილოს, მაგრამ ლიტერატურული ნაწარმოების გასცენიურების პროცესი უქმად როდი იკარგება მსახიობისათვის.

გ. გეგეჭკორი, იდეალური პროფესიონალია სცენაზე, ცხოვრებაშიც ბევრი სანიმუშო თვისებებით არის შემკული. იგი ადამიანებისადმი იშვიათი გულისხმიერებით გამოირჩევა. არ მახსოვს ვისმეზე ძვირი წამოსცდენოდეს. ზოგჯერ არ მოსწონს რეჟისორის გადაწყვეტა, თუ რომელიმე მსახიობის მიერ გახსნილი სცენური სახე, მაგრამ ყოველთვის ცდილობს გააცნობიეროს წარუმატებლობის მიზეზები. აუგად არ მოიხსენიებს ხელოვანის ნაღვაწს, კარგად იცის შემოქმედის შრომის ფასი. ეს მარტო მისი იშვიათი კოლეგიალობის შედეგი როდია — მისი დიდბუნებოვნების ნაყოფია. გიორგი გეგეჭკორი როგორც მაყურებელი საქართველოს სხვადასხვა თეატრის ხშირი სტუმარია, და შეუძლია კოლეგის მიერ წარმატებით შესრულებული როლით აღფრთოვანების, გულწრფელი სიხარულის გამოხატვა.

მშობლიური ერის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით არის აღსავსე გიორგი გეგეჭკორი. იგი ყოველთვის ანთებულია სასიკეთო საქმით. საზოგადო მოღვაწისათვის აუცილებელი თვისებებით არის დაჯილდოებული. საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი ყველა საჭირბოროტო საკითხს ძირისძირობამდე ჩასდევს. მოკამათეთა შორის ისეთი ტაქტით იცის ჩარევა, უმალ დააცხრობს დავას და მშვიდი გონიერი მსჯელობისათვის განგაწყობთ. სანიმუშო თავაზიანობა ამშვენებს მის პიროვნებას.

ამასწინათ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ კორესპონდენტთან საუბარში გიორგი გეგეჭკორმა განაცხადა: „ქართული თეატრი, როგორც ამბობდნენ მარჯანიშვილი და ახმეტელი, სანახაობრივად ძალიან საინტერესო უნდა იყოს, რადგან მას მუდამ მრავალფეროვანი სასცენო პალიტრა ჰქონდა, თუმცა სიფრთხილე ამაშიც გვმართებს, რათა თეატრი გასართობს არ დავამსგავსოთ.

და რაც მთავარია, სცენიდან უნდა გვესმოდეს ქართული სიტყვა, ქართული მეტყველება... უნდა ვხედავდეთ ქართულ ხასიათს და არა სიმბოლოებს და მინიშნებებს...“ ეს გულია, დაუფარავი აზრები გიორგი გეგეჭკორის მოქალაქისა და შემოქმედის მრწამსია.

საქართველოს სსრ სახელმწიფო თეატრებში წარმოდგენილი რუსული და მოძმე რესპუბლიკების დრამაturგია

(1981 წლის ციფრობრივი მონაცემები)

ავტორი	პიესის დასახელება	რამდენ თეატრში დაიდგა	სპექტაკლების რაოდენობა	მაყურებელი
ვ. აგრანოვსკი	შეაჩერეთ მალახოვი!	1	32	1.400
ს. ალიოშინი	თემა ვარიაციებით	1	2	800
ნ. გერნეტი, ტ. გურევიჩი	ბატის ჭუკი	2	60	8.300
ა. დანილოვი	მილიციის კომისარი	2	57	15.400
ვს. ვიშნევსკი	ოპტიმისტური ტრაგედია	1	14	4.200
ვ. კოროსტილოვი	მარტოობის დღესასწაული (ფიროსმანი)	1	8	2.300
ვ. კოროსტილოვი	მე მჯერა შენი	2	68	21.500
ბ. ლავრენიოვი	რ ღ ვ ე ვ ა	1	9	3.400
ვ. ლივშიცი მ. კიჩანოვა	იდუმალი ჰიპოპოტამი	1	4	1.200
ლ. ლოპაისკაია გ. კრჩულოვა	პატარა წერო და საფრთხობელა	1	3	1.100
გ. მამლინი	დინოზავრებს გაუმარჯოს!	1	14	14.600
გ. მამლინი	შენ ეი, გამარჯობა!	1	5	2.100
ნ. მიროშნიჩენკო	მესამე თაობა	1	28	15.200
ს. მიხალკოვი	სამი გოჭი	1	26	4.900
ს. მიხალკოვი გ. სპერანსკი	მხიარული ზღაპრები	1	42	14.200
ალ. ოსტროვსკი	უდანაშაულო დამნაშავენი	1	19	4.800
ნ. ოსტროვსკი	როგორ იწრთობოდა ფოლადი	1	27	17.000
ლ. ფუხოვეცკი	ცისფერი ირემი	1	87	30.200
ვ. რასპუტინი	იცოცხლე და გახსოვდეს	1	14	4.400
ო. სოსინი	ეს მოხდა	1	34	15.800
ჩ. სპერანსკაია	არაჩვეულებრივი შეჯიბრება	1	24	3.600
გ. სუპონინი	ბ უ ტ ი ა	1	1	300
ალ. ფადეევი	ახალგაზრდა გვარდია	2	26	15.200

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. შატროვი	30 აგვისტო	1	2	1.000
ე. შვარცი	წითელქუდა	2	60	28.700
	თოვლის დედოფალი	1	2	800
	ჩ რ დ ი ლ ი	1	9	300
ვ. შუკშინი	ენერგიული ადამიანები	1	3	700
ე. ჩეპოვეცკი	აი და, მიციკ!	1	8	2.600
ა. ცუკანოვი	ძალიან ეშმაკური ზღაპარი	1	55	18.900
ა. ხმელიკი	კოკისპირულად წვიმდა	1	29	13.600
ა. აბდულინი	მეცამეტე თავმჯდომარე	4	93	43.400
ა. არგუნი	სიმღერა დედაზე	1	35	14.900
რ. იბრაგიმბეკოვი	ჟამი ჭეშმარიტებისა	1	22	6.100
ა. მაკაიონოკი	ტრიბუნალი	1	34	16.300
ა. მხითარიანი	დამიბრუნეთ ჩემი ბებია	2	39	6.400
ვ. ბალჩისკაიტე	ფეთხუმები	1	15	5.200
გ. სუნდუკიანი	პ ე პ ო	1	4	2.200
ფ. ტუგლასი	ი ლ ი მ ა რ ი	1	26	4.900
ა. ქალანტარიანი	ზარი ზემოდან	1	4	2.200
მ. შავლოხოვი	ს ა ს ი ძ ო	1	1	200
მ. შამხალოვი	დედამთილი	2	67	23.600
რ. ჩოჩიევი	კ ო ს ტ ა	1	11	1.200
გ. ხუგაევი	ჩ ე ფ ე ნ ა	1	13	4.800
გ. ხუგაევი	შემოდგომის სევდიანი სიმღერა	1	31	12.400

უცხოური დრამატურგია ქართულ თეატრში

ჰ. ანდერსენი	თვალმარგალიტზე ძვირფასი	1	7	2.800
ა. ბაიერი	ი ნ ც ი დ ე ნ ტ ი	1	1	0.200
ტ. ბრანდონი	ჩარლის დეიდა	3	47	10.800
ბ. ბრეხტი	კავკასიური ცარცის წრე	1	123	64.900
კ. გოლდონი	მშვენიერი ქართველი ქალი	1	28	15.100
	მხიარული შემთხვევა	1	11	0.700
	ორი ბატონის მსახური	1	31	9.000
კ. გუცკოვი	ურიელ აკოსტა	1	4	2.400
ა. დიუმა	ალფრედი და ვიოლეტა	1	128	5.900
ფ. დიურენმატი	რომულუს დიდი	1	10	3.000
	ფიზიკოსები	2	8	3.900
ნ. იორდანოვი	ამოუხსნელი სიყვარული	1	1	0.300
	ყარყატების ჩვენ არ გვჯერა	1	37	11.500
ხ. კარახი	ძ ა ლ ო ს ნ ე ბ ი	1	28	1.200

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ლინდგრენი	ბიჭუნა და კარლსონი	1	25	11.900
უ. ლიუსი	ამჰესტის მშვენება	1	2	0.700
ლოპე დე ვეგა	ცეკვის მასწავლებელი	1	1	0.200
ფ. გ. ლორკა	ბერნარდა ალბას სახლი	1	26	16.100
პ. მერიმე	კლარა გაზულის თეატრი	2	32	6.700
ჟ. მოლიერი	ტ ა რ ტ ი უ ფ ი	1	8	2.800
	ძალად ექიმი	2	115	44.700
ო' ნილი	სიყვარული თელებქვეშ	1	3	1.200
ო' ჰენრი	წითელკანიანთა ბელადი	1	28	13.6
ჯ. პატრიკი	უცნაური მისის სევიჯი	1	2	2.900
ა. პოპესკუ	მზის სხივი	1	23	8.000
	ცისფერი ზღარბი	1	23	8.000
ვ. რაბადანი	პატარა ფერია	1	48	16.000
ჯ. როდარი	ჩიპოლინოს გაუმარჯოს!	1	7	4.700
სარდუ, ვ. მორო	მადამ სან ჟენი	1	38	19.700
სერვანტესი	მწუხარე სახის რაინდი	1	24	2.800
პ. ტრავერსი	მერი პოპინსი	1	10	3.900
შექსპირი	რიჩარდ III	1	114	100.900
	კორიოლანოს	1	12	8.900
	ჭირვეულის მორჯულება	1	3	0.900
ვ. შროპფერი	ზღაპარი ზარმაც მეფე მაიერზე	1	3	0.700
მ. ჩიკამაცუ	შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე	1	8	4.100
კ. ხოინსკი	ღამის ამბავი	1	22	7.900
ი. ჰაშეკი	შ ვ ე ი კ ი	1	1	0.100
ს. ჰეირი	წმინდა ინგლისური მკვლელობა	1	24	8.900

მეგობრობის მღელვარე ფურცლები

ჩვენი რესპუბლიკა პირნათელი შეხვდა ქართველი და რუსი ხალხის დამეგობრების— გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყველა გამოკვლევას, რომელშიც ინტერნაციონალური მეგობრობის საკითხებია გაშუქებული.

სწორედ ამ მხრივ არის საინტერესო ნელი ჩაფიძის წიგნი — „ქართული და მოძმე ეროვნულ კულტურათა დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების ისტორიის პრობლემები" (1921-1958 წ), რომელიც გამოსცა გამომცემლობა „მეცნიერებამ" (1982 წ.)

ავტორის კვლევის წყარო ერთობ ფართოა. იგი ეხება ჩვენს ქვეყანაში ინტერნაციონალური კულტურის მშენებლობის საკითხებს, ქართულ და მოძმე ეროვნულ კულტურათა დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების პრობლემებს.

ავტორი სწორად განიხილავს კვლევის დროს წამოჭრილ საკითხებს. აღნიშნავს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ერთიანი მრავალეროვანი სოციალისტური კულტურა ჯერ არ არსებობდა, საჭირო იყო ბრძოლა შოვინიზმის ყოველგვარ გამოვლინებასთან. ამ ბრძოლაში კომუნისტურმა პარტიამ სრულ წარმატებას მიაღწია. გადაიდგა პირველი ნაბიჯები ერთა დამეგობრების, მათი კულტურის ურთიერთდაახლოების საქმეში.

წიგნში ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი ფუტურიზმსა და სხვა ლიტერატურულ მიმდინარეობებს („ცისფერყანწელები", „აკადემიური ასოციაცია"; „მემარცხენეები", „არიფიონი"), რომლებიც რა თქმა უნდა, განსხვავდებოდა სოციალისტური რეალიზმისაგან. მათ გაბედულად დაუპირისპირდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია. ცხოვრების სოციალისტური რეალიზმის მეთოდით ასახვისაკენ სწრაფვა სრულყოფილ სახეს იღებს 1934 წელს გამართულ საბჭოთა მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის შემდეგ.

ეს ის პერიოდია, როდესაც მყარი საფუძველი ჩაეყარა მოძმე ხალხების ლიტერატურათა დაახლოების პროცესს, რასაც თავისთავად მოჰყვა ეროვნულ ლიტერატურათა გამდიდრება.

წიგნში სწორადაა დანახული რუს მწერალთა როლი მოძმე ხალხთა ლიტერატურის განვითარებაში. სამართლიანადაა მითითებული, რომ მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის საწყისებთან ვ. მაიაკოვსკი მ. გორკისთან ერთად დგას, როგორც ცენტრალური ფიგურა და მათმა შემოქმედებამ დიდი გავლენა იქონია ქართული საბჭოთა მწერლობის შემდგომ განვითარებაზე.

წიგნში ვრცლადაა მოთხრობილი იმ დიდ წვლილზე, რაც ნ. ტიხონოვმა, პ. ანტოკოლსკიმ, ნ. ზაბოლოცკიმ, ბორის პასტერნაკმა და ვიქტორ გოლცევმა დასდეს ქართული მხატვრული სიტყვის პოპულარიზაციის საქმეს. ქართველმა ხალხმა თავისი მადლიერება გამოჩენილი რუსი პოეტის ნ. ტიხონოვისადმი იმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხატა, რომ მას მიაკუთვნა თავისი ყველაზე სანუკვარი ჯილდო — შოთა რუსთაველის პრემია.

საინტერესოა წიგნის ის ადგილი, სადაც მოთხრობილია, თუ რა როლი შეასრულა რუსი და ქართველი მწერლების სულიერ დაკავშირებაში 20-იან წლებში სერგეი ესენინის ლექსმა „საქართველოს პოეტებს", რომელიც პირველად თბილისში დაიბეჭდა. სამწუხაროდ, არაფერია ნათქვამი სერგეი ესენინის საკმაოდ გახმაურებულ ნაწარმოებზე „ანა სნეგინა"-ზე, რომელიც ქ. ბათუმში დაიწერა. ასევე სასურველი იყო მოკლედ, თუნდაც ორიოდე სიტყვით მაინც მინიშნებულიყო ს. ესენინის მეგობრობაზე პაოლო იაშვილთან, ტიციან ტაბიძესთან და სხვა ქართველ მწერლებთან.

წიგნში ცალკე თავი აქვს დათმობილი დიდი სამამულო ომის პერიოდში ქართველი და მოძმე საბჭოთა ხალხების ეროვნულ კულტურათა დაახლოების საკითხს.

წიგნში მოყვანილი ზოგიერთი ფაქტი მოითხოვს მეტ კონკრეტულობასა და დაზუსტებას. კერძოდ: წიგნში დასახელებულია, რომ გიორგი მდივნის „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ" პირველი პიესა იყო სამამულო ომის თემაზე. ეს სწორია, მაგრამ სასურველი იყო აქვე განმარტებულიყო, რომ გიორგი მდივანმა „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ" ომის დაწყებიდან 12 დღეში დაწერა, და 1941 წლის სექტემბერში დაიდგა მოსკოვის პუშკინის სახელობის თეატრში. ამ პიესას გაზეთმა „პრავდამ" მაღალი შეფასება მისცა. ეს პიესა ქვეყნის 500-ზე მეტმა თეატრმა განახორციელა, ხოლო ქართულ თეატრში პირველად ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში დაიდგა.

კარგი იქნებოდა, ავტორი ვრცლად შეჩერებულიყო გიორგი მდივნის შემოქმედებაზე. მან ხომ ღრმა კვალი დაავლო ქართულ-რუსული კულტურის დაახლოებისა და განვითარების საქმეში.

მართალია ავტორი მოიხსენებს გიორგი მდივნის პიესას „მოსკოვის ცის ქვეშ" მაგრამ არაფერს ამბობს მისსავე პიესებზე, „მოსკოვის ბჭესთან", „პარტიზანები", რომლებიც სამამულო ომის თემას ეძღვნება.

წიგნში გაკვრით არის აღნიშნული, რომ სამამულო ომის პირველ დღეებში თბილისში ჩამოვიდა მოსკოვის სამხატვრო თეატრის შემოქმედთა ერთი ჯგუფი სსრ კავშირის სახალხო არტისტის ნემიროვიჩ-დანჩენკოს ხელმძღვანელობით, 30 კაცის შემადგენლობით. ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა ნაჩვენები ყოფილიყო ის გულითადობა, ჭეშმარიტი ქართული სტუმართმოყვარეობა, სითბო და სიყვარული, რაც ამ სახელოვანი მხატვრული კოლექტივის წინაშე გამოხატა ქართველმა ხალხმა ომის მძიმე დღეებში.

წიგნის ფურცლებზე მოხსენებულია სსრ კავშირისა და საქართველოს სახალხო არტისტები ა. ხორავა, ა. ვასაძე, შ. ღამბაშიძე, თ. ჭავჭავაძე, გ. ვენაძე, გ. საღარაძე, სტ. ჯაფარიძე, მ. კვალიაშვილი, მ. თარხნიშვილი, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ომის პერიოდში სამხედრო ნაწილებსა და ჰოსპიტლებში დაჭრილი ჯარისკაცებისადმი მომსახურების საქმეში. რა სამწუხაროა, რომ მათ გვერდით არ იხსენიება: ვერიკო ანჯაფარიძე, დავით ანდღულაძე, პეტრე ამირანაშვილი, ბათუ კრავეიშვილი, მერი შილდელი, ვასო გოძიაშვილი, აკაკი კვანტალიანი და ალ. გომელაური, ერთობ პოპულარული მსახიობი ქალი ოლღა დოლიძე და სხვები, რომელთაც არანაკლები წვლილი მიუძღვით ომის წლებში სამხედრო ნაწილებისა და დაჭრილი მეომრების მხატვრული მომსახურების საქმეში. ასევე არაფერია ნათქვამი ომის წლებში რესპუბლიკის წამყვანი თეატრების (ბათუმის,

სოხუმის, ცხინვალის, ქუთაისის, ქ. ფოთის) კოლექტივების საშეფო მუშაობაზე.

კერძოდ, სამამულო ომის წლებში საქართველოში ძალზე პოპულარული იყო ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრთან არსებული საშეფო მხატვრული ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი იპოლიტე ხვიჩია და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ალ. ჩიქვინიძე. ბრიგადამ ომის წლებში 3000-ზე მეტი საშეფო კონცერტი გამართა სამხედრო ნაწილებსა და ფრონტზე დაჭრილი მეომრებისათვის.

წიგნში საერთოდ არაფერია ნათქვამი იმ პერიოდის თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაზე, იმ როლზე, რაც მას თავის სცენაზე ქართული დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშების პოპულარიზაციაში და საერთოდ იმ სიყვარულზე, რითაც ეს სახელოვანი კოლექტივი სარგებლობს ქართველ მაყურებელში.

ეხება რა მუსიკალური კულტურის განვითარების საკითხებს, ავტორი ჩერდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 10 თებერვლის დადგენილებაზე ვ. მურადელის „დიადი მეგობრობის" შესახებ. ნელი ჩაფიძის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ორიგინალობით" ვ. მურადელმა გვერდი აუარა კლასიკური ოპერის ტრადიციებს, საერთოდ და, კერძოდ რუსული კლასიკური ოპერის ტრადიციებს. სასურველი იყო წიგნის ავტორს აქვე მიეთითებინა — რომ ვანო მურადელმა გაითვალისწინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებანი და გადაამუშავა, დახვეწა ოპერა, რის შემდეგ „დიადი მეგობრობა" წარმატებით იდგმებოდა დიდი თეატრის სცენაზე. ვფიქრობთ ამის აღნიშვნა აუცილებელი იყო.

წიგნში საერთოდ არ არის მოხსენებული სსრ კავშირის სახალხო არტისტების მიხეილ გელოვანისა და ვლადიმერ კანდელაკის მოსკოვში მოღვაწეობის პერიოდი. პირველი მათგანი წლების [illegible] მოღვაწეობდა კინოსტუდია „მოსფილმში" და სამხატვრო თეატრში, ხოლო ვლადიმერ კანდელაკი თითქმის 30 წელიწადი იყო მოსკოვის ოპერის თეატრის მთავარი რეჟისორი, სამხატვრო ხელმძღვანელი და წამყვანი მსახიობი. იგი ახლაც განაგრძობს შემოქმედებით მოღვაწეობას. წიგნში არაფერია ნათქვამი და საერთოდ მოხსენებული არ არის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინგრადის დიდი დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორის და სამხატვრო ხელმძღვანელის გ. ტოვსტონოგოვის შემოქმედებითი ცხოვრება და მოღვაწეობა, მას ხომ დიდი წვლილი მიუძღვის რუსული და ქართული კულტურების განვითარებისა და დაახლოების საქმეში.

ვფიქრობთ, ყოველივე ამის აღნიშვნა კიდევ უფრო სრულყოფილად წარმოაჩენდა რუსი და ქართველი ხალხის შემოქმედებით თანამეგობრობის ღრმა ფესვებს, რამეთუ დიდმა შოთამ ბრძანა: „არ დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა".

დასასრულს კი დავსძენთ, რომ ნ. ჩაფიძის ნაშრომი საყურადღებო გამოკვლევაა, შენიშვნების გათვალისწინება კი ალბათ, კიდევ უფრო საინტერესოს გახდის მას.

ზაალ მესენგისერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება . . . 3
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მხატვრული კოლექტივების საქართველოს სს რესპუბლიკა შიბსფს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ 8
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რუსეთის სფსრ ᲫᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ კავშირებისა და სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ 9

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვს 10
სამარადჟამოდ ერთად (საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა 13
განუყრელი დღესასწაული 19
რუსული თეატრალური კულტურა ჩვენს შემოქმედებით პრაქტიკაში 23
სამეცნიერო სესია 32
სრულად ავსახოთ ჩვენი თანამედროვეობა (საქართველოს თეატრალური საზოგადოების IX მოწვევის IV პლენუმი) 33
რესპუბლიკის თეატრების 1982-83 წლების სეზონის შედეგები და ახალი ამოცანები სკკპ ცკ ივნისისა და საქ. კპ ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შუქზე (ი. გამრეკელის მოხსენება) . . 37
გ. ენუქიძე — ქართული თეატრის შემდგომი აყვავებისათვის . . . 61
ნადია შალუტაშვილი — დიდმნიშვნელოვანი შენაძენი 67
მზია ბედიაშვილი — პირველი დღე 73
თამარ გომართელი — საუკუნოვანი ქარხნის თეატრი 74

რესპუბლიკის თეატრალურ აფიშასთან

სერგო ჭეიშვილი — სიყვარულის საგალობელი 77
ვაჟა ბრეგაძე — „უფერული და მშვიდი დღის“ ქრონიკა 83
მარეხ გოძიაშვილის საღამო მოსკოვში 87
ჟანა თოიძე — 20 წლის შემდეგ 88

შემოქმედებითი პორტრეტი

კოტე ნინიკაშვილი — მსახიობის მრწამსი 90
საქართველოს სსრ სახელმწიფო თეატრებში წარმოდგენილი რუსული და მოძმე რესპუბლიკების დრამატურგია (1981 წლის ციფრობრივი მონაცემები) 97
ზაალ მესენგისერი — მეგობრობის მღელვარე ფურცლები 100

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეკანის მეორე გვერდზე:

ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს ძეგლი მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედში.

გარეკანის მესამე გვერდზე:

სცენა თელავის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლიდან ვლადიმერ იაქაშვილის „ქართლ-კახეთის სამეფოს უკანასკნელი წლების ქრონიკა“

გარეკანის მეოთხე გვერდზე:

სცენა კოტე მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლიდან მიხეილ ლერმონტოვის „თავადის ასული მერი“.

БЮЛЛЕТЕНЬ ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ „ТЕАТРАЛУРИ МОАМБЕ“

Тбилиси — 1983

№ 5 (135)

ფასი 40 კაპ.

გადაეცა წარმოებას 24/X-83 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/XII-83 წ.
საალრიცხვო-საგამომც. თაბახი 7,24
ნაბეჭდ თაბახთა რაოდენობა 6,5
ქაღალდის ზომა 60×90 1/16

შეკვეთა № 3229 УЭ 09914 ტირაჟი 1500

საქართველოს თეატრალური საზოგადოების სტამბა, თბილისი, გორკის ქ. № 3.
Типография Театрального Общества Грузии, Тбилиси, ул. Горького № 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა